ლიბერალი
№ 88 / 8-14 აგვისტო / 2011

მთავარი თემა: ტურიზმის პოლიტიკა გვ. 24
ტურისტული მარშრუტები – „ლიბერალის“ ათეული გვ. 36
რესტორნის ბიზნესიდან ციფრულ მაუწყებლობამდე გვ. 16
ორი აზრი: ახალი წესები სატყეო მეურნეობაში გვ. 06
„ეგვიპტის უკანასკნელი ფარაონის“ სასამართლო პროცესი გვ. 08
მერდოკგეიტი 2011 გვ. 12
ანდერს ბრეივიკი – შეურაცხადობის ლოგიკა გვ. 10
გაორებული ამერიკა გვ. 48

ფასი 2 ლარი
ISSN 1987-7528
9 771987 752008

© Khatia Psuturi

ლიბერალი

№ 88 / 8-14 აგვისტო / 2011

ნომერში:

02 გამოხმაურება
04 მოკლედ
06 **ორი აზრი**
შესაძლებელია თუ არა სატყეო მეურნეობაში შექმნილი პრობლემების მოგვარება ახალი გეგმის მიხედვით?
საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
VS რეზო გეთიაშვილი
მსოფლიო
08 „ეგვიპტის უკანასკნელი ფარაონის“ სასამართლო პროცესი
ნორვეგია
10 ანდერს ბრეივიკი – შეურაცხადობის ლოგიკა
რუპერტ მერდოკი
12 მერდოკგეიტი 2011
ეკონომიკა
16 ერთი ნაბიჯი რესტორნის ბიზნესიდან ციფრული მაუწყებლობის სერვისამდე
საქართველოს რკინიგზა
20 შეფერხებული სესხი
მთავარი თემა
24 ტურიზმის პოლიტიკა
თვალსაზრისი
30 ურბანული ღირსშესანიშნაობები
კოკა ამირეჯიბი
თვალსაზრისი
32 რა აკლია საქართველოს ინოვაციური ტურიზმის დასანერგად
კობა არაბული
ტურიზმის პოლიტიკა
36 ტურისტული მარშრუტები – „ლიბერალის“ ათეული
თვალსაზრისი
48 გაორებული ამერიკა
გიორგი ცხადაია
კულტურა
50 ცეკვები სიზმარსა და ცხადში
52 **ტექნოლოგიები**
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
54 საზამთრო
სპორტი
56 იწყება

გარეკანზე:

ფოტო: თემო ბარძიმაშვილი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად,, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის განცხადება ჟურნალ "ლიბერალის" 2011 წლის 1-7 აგვისტოს N87 ნომერში გამოქვეყნებული სტატიაზე

"GMG-ის ექსკლუზივი"

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირების (საკაბელო ოპერატორების) აბონენტებისა და თავად ჟურნალ „ლიბერალის“ მკითხველის ინტერესებიდან გამომდინარე, მიიღონ ჯეროვანი და ზუსტი ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ნებისმიერ საკითხზე, ყველა დაინტერესებულ პირს აცნობებს, რომ ჟურნალ ლიბერალის“ №87 ნომერში სტატია „GMG-ის ექსკლუზივი“ შეიცავს გარკვეულ უზუსტობებს.

1. ჟურნალისტი, მკითხველს ატყობინებს, რომ სს „ჯი-ენ-ენ“-ს «Медия ТВ»-თან 2011 წლის 1 აპრილს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება, სამაუწყებლო არხ «Футбол»-ის საქართველოში ტრანზიტის შესახებ, რომლის ასლიც კომისიაშიც ყოფილა წარმოდგენილი. სტატიაში არ იყო ნათქვამი, რომ თავად სს „ჯი-ენ-ენ“-მა კომისიაში წარმოადგინა 2011 წლის 24 ივნისის «Медия ТВ»-ს შეტყობინება, ამ უკანასკნელსა და სს „ჯი-ენ-ენ“-ს შორის გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შეჩერების თაობაზე, რისი საფუძველიც გახდა სწორედ სამაუწყებლო არხის ბადეში განთავსებული რიგი, მათ შორის საფეხბურთო ჩემპიონატების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების უფლებამოსილებასთან დაკავშირებული პრობლემები; ასევე, არ იყო ნათქვამი, რომ კომისიაში 2011 წლის 7 ივნისს შემოსული იყო „TRANS WORLD INTERNATIONAL. INC. IMG SPORTS MEDIA“-ს წერილი (8/95-11) სადაც აღნიშნულია, რომ არგენტინის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების ექსკლუზიური უფლებამოსილება გადაცემული აქვს მხოლოდ შპს „გლობალ მედია ჯგუფს“;

2. ავტორი აცნობებს მკითხველს, რომ „GMG“-ის არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების ჩვენების ექსკლუზიური უფლებამოსილების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მას არ უნახავს, თუმცა ოფიციალური მოთხოვნის შემთხვევაში ეს დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

3. ჟურნალისტი მკითხველს ატყობინებს, რომ „ჯი-ენ-ენი“ სანქციის

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნანა საჯაია** / ვებგვერდის რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**
ჟურნალისტები: მაია წიკლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონტრიბუცია: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარეული, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექიშვილი, დანიელ ნიჩი, ნიკო ნერგაძე
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ღონღაძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

გადახდას არ აპირებს და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კომისიაში აპირებს გასაჩივრებას. გვინდა განვმარტოთ, რომ კომისია დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოა, რომელსაც არ ჰყავს არც ზემდგომი ორგანო და არც ზემდგომი თანამდებობის პირი. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საჩივრდება მხოლოდ სასამართლო წესით;

4. არასწორი ინტერპრეტაციით არის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი განმარტებული. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპადაა აღიარებული ავტორიზებული პირებისათვის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მინიჭებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით საქმიანობისას ექსკლუზიური ხელშეკრულებების დადების დაუშვებლობა, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს ეკრძალება, ავტორიზებული პირებისათვის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მინიჭება ან მათთან ექსკლუზიური ხელშეკრულებების გაფორმება. სტატიაში კი ნათქვამია, თითქოს ინტელექტუალური საკუთრების საკითხებზე დაუშვებელი იყოს ექსკლუზიური ხელშეკრულებების დადება;

6. სტატიის ავტორი მკითხველს «НТВ+»-ს პაკეტში შემავალი 3 არხის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის შეწყვეტას უკავშირებს კომისიის აქტივობებსა და ბაზარზე „GMG“-ის შემოსვლას. «НТВ+»-ს პაკეტში შემავალი სამივე არხის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტი საკაბელო ოპერატორების მიერ ხორციელდებოდა არამართლზომიერად, სათანადო ხელშეკრულებების გაფორმების გარეშე (რაც, სხვათა შორის, დამრღვევ პირთა მიერაც არ გამხდარა სადავო, სხდომის ოქმების ამოღება შეიძლება და მოსმენა);

7. ჟურნალისტი სტატიის ბოლოს გადადის კომისიის წევრთა ინტერესთა კონფლიქტის საკითხზე და აცხადებს, რომ კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი ჩიქოვანს ინტერესთა კონფლიქტი გააჩნია დაკავებულ თანამდებობასთან, ვინაიდან იგი სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი -2“-ის დირექტორ გიორგი გეგეშიძის ბიზნეს-პარტნიორია შპს „მაგი-სტილში“. მაგრამ შპს „მაგი-სტილს“ არც ელექტრონულ კომუნიკაციებთან და არც მაუწყებლობასთან არანაირი კავშირი არა აქვს. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ვ)“ ქვეპუნქტის თანახმად კი, კომისიის წევრს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, თუ იმავდროულად აქვს ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს.

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 505 955

ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

დიმიტრი მედვედევი საქართველოს შესახებ

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა რუსულენოვან ქართულ ტელეარხ „პიკს“, „რაშა თუდეის“ და რადიო „ეხო მოსკვის“ ინტერვიუ მისცა. მედვედევის თქმით, რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე საქართველოსთან შეთანხმება შესაძლოა ათვლის წერტილად იქცეს ორ ქვეყანას შორის „ნორმალური“ სავაჭრო ურთიერთობების და ასევე დიპლომატიური ურთიერთობების აღსადგენად.
რუსეთის პრეზიდენტმა საუბრისას 2008 წლის აგვისტოს ომი გაიხსენა. მისი თქმით, 8 აგვისტოს ღამე მის ცხოვრებაში უმძიმესი იყო.
„ჩვენი მიზანი არასდროს ყოფილა რომელიმე ქალაქის აღება. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ სამხედრო მანქანა შეგვეჩერებინა, რომელიც იმ დროისთვის ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ იყო მიმართული“, – აღნიშნა მედვედევმა.
მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საერთაშორისო ტრიბუნალმა უნდა გაასამართლოს იმის გამო, რომ მან 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში ომი გააჩაღა; თუმცა, რუსეთის პრეზიდენტის აზრით, ამგვარი სცენარი ირეალურია.
„მე მიმაჩნია, რომ ეს იყო საერთაშორისო სამართლის ნორმების აღმაშფოთებელი დარღვევა. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აქ ნაკლებად სავარაუდოა მხოლოდ რუსეთის პოზიციაზე დაყრდნობა, ვფიქრობ, ასეთი ტრიბუნალის შექმნა ამ მომენტისთვის ირეალურია; საბოლოო განაჩენს ისტორია გამოიტანს, ხოლო შუალედურ სასამართლოს კი საქართველოს ამომრჩევლები ჩაატარებენ; მათ უნდა ამოირჩიონ, როგორ და რა მიმართულებით განვითარდნენ“, – განაცხადა მედვედევმა.
რუსეთის პრეზიდენტმა ისაუბრა სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთების პერსპექტივაზე. მისი თქმით, საამისოდ არანაირი წინაპირობა არ არსებობს.
პრეზიდენტ მედვედევის განცხადებით, ის „აბსოლუტურად გულგრილია“ ამერიკის სენატის მიერ 29 ივლისს მიღებული იმ რეზოლუციის ფორმულირების მიმართ, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სეპარატისტულ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ“ რეგიონებად აღიარებს.

აბვისტოს ომის სამი წლისთავი

2011 წლის 8 აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის დაწყებიდან 3 წელი სრულდება. 2008 წლის აგვისტოში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად რუსულმა ჯარებმა ქართული ჯარები ახალგორიდან და კოდორის ხეობიდან განდევნეს. 12 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწიეს. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო. იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ომამდე საქართველო აკონტროლებდა, რუსული ჯარი კვლავ რჩება.

საარჩევნო კოდექსი ოქტომბერში შეისწავლება

საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტს პარლამენტში 20 სექტემბერს წარადგენენ. პროექტში ყველა ის პუნქტი აისახება, რაზეც მმართველი პარტიისა და ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები 24 ივნისს შეთანხმდნენ. დოკუმენტი კანონპროექტის სახეს მას შემდეგ მიიღებს, რაც მას აგვისტოს ბოლოს ვენეციის კომისია განიხილავს, პროექტზე მომუშავე სარედაქციო ჯგუფი კი საბოლოო სახეს მისცემს.

AMNESTY INTERNATIONAL-ი დევნილთა ბასახლებაზე

Amnesty International-ი საქართველოს მთავრობას დევნილთა იძულებითი გამოსახლების შეწყვეტისკენ მოუწოდებს. ორგანიზაციის მიერ 5 აგვისტოს გავრცელებულ წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობამ იძულებით გადაადგილებულ პირთა ადეკვატური საცხოვრებლით უზრუნველყოფის პირობა და საერთაშორისო ვალდებულებები დაარღვია. გამოსახლებებით იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაწილის მდგომარეობა გაუარესდა.

„ომის გამო გადასახლებულ ადამიანებს ესაჭიროებათ სტაბილური გარემო თავიანთი ცხოვრების ხელახლა ასაწყობად“, – წერია ორგანიზაციის განცხადებაში.

Amnesty International-მა სეპარატისტული ხელისუფლებების წარმომადგენლებსაც მოუწოდა, რომ პატივი სცენ დევნილთა თავიანთ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლებას.

26 მაისს ღამისვებულ შვიდ პირს ბრალი ნაუყენეს

2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე მყოფ პირთა სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების გამო პროკურატურამ ბრალდება შვიდ სამოქალაქო პირს წაუყენა. ხუთმა დანაშაული აღიარა და საპროცესო შეთანხმებაც გააფორმა. საქალაქო სასამართლომ ილია ზივზივაძეს 2 წლით, კობა კობაურს 3 წლით, ამირან მერებაშვილს 4 წლით, ნიკოლოზ ზაუტაშვილს და ალექსანდრე ბიბილურს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და თითოეულს 5 წლიანი პირობითი მსჯავრი შეუფარდა. ზაქარია ზურაშვილისა და ივანე ჩიღვინაძის საქმეზე გამოძიება გრძელდება. ორივე მათგანი ბურჯანაძის პარტიის წევრია. გამოძიების ცნობით, ბრალდებულები ბურჯანაძის კორტეჟის ორ მანქანას მართავდნენ და 26 მაისის ღამეს ორი პოლიციელი იმსხვერპლეს. ჩიღვინაძემ ბრალი ტელევიზიით გავრცელებულ ჩვენებაში აღიარა.

მენისპალეს ბაღებში ბადასახადი იზრდება

2011 წლის სექტემბრიდან მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში ინდივიდუალური გადასახადი გაიზრდება. თბილისის მერიის ცნობით, ტარიფს თავად ბაღები დაადგენენ. შესაძლოა მინიმალური გადასახადი 50 ლარი, მაქსიმალური კი 100 ლარი გახდეს.

მერიაში ამბობენ, რომ საბავშვო ბაღების „მეთოდოლოგიური და ადმინისტრაციული მართვის სფეროში“ რეფორმების გატარებას გეგმავენ.

„შეიქმნა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი – თბილისის საბავშვო ბაღების სააგენტო, რომელიც თბილისელებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის, ახალი მეთოდოლოგიით სწავლებასა და გაუმჯობესებულ მომსახურებას შესთავაზებს“, – წერია თბილისის მერიის ვებგვერდზე.

ციფრები

8,5
პროცენტამდე შემცირდა ივლისში ბიუჯეტის წლიური ინფლაციის დონე.

6
პროცენტით გაიაფდა ერთი ბარელი ნავთობი მსოფლიო ბაზარზე.

29
ათასზე მეტი 5 წლამდე ასაკის ბავშვი სომალიში ბოლო 90 დღის განმავლობაში შიმშილის გამო დაიღუპა.

სიტყვები

„ის არსება“, რომელმაც ნორვეგიაში ტერაქტი მოაწყო, ნამდვილი ცხოველია. ნანახი მაქვს ნორვეგიული ციხეები, რომლებიც სანატორიუმებს უფრო მოგვაგონებს. არც კი ვიცი, იმ „სანატორიუმში“ რა სასჯელი უნდა მოიხადოს იმ ცხოველმა და როგორ არის ეს ადეკვატური დასჯა იმისთვის, რაც მან ჩაიდინა“.

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი

„მასზე საუბრის დასასრულს შემიძლია ვთქვა ერთი რამ, სააკაშვილი ჩემთან ვალშია, მან უნდა აღიაროს, რომ რაღაც მომენტში მე შევაჩერე ჯარები. ისინი რომ თბილისში შესულიყვნენ, დღეს საქართველოს სხვა პრეზიდენტი ეყოლებოდა“.

დიმიტრი მედვედევი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი

„ვფიქრობ, რომ სენატის ეს ფორმულირებები არაფერს ეფუძნება; მასში ასახულია სენატის ცალკეული ხანშიშესული წევრების გემოვნებები, რომლებიც სუბიექტური მიზეზების გამო ამა თუ იმ ხალხის მიმართ გამოხატავენ სიმპათიას. ეს მათი საქმეა, ეს უცხოური პარლამენტია, მე მათთან არანაირი საქმე არ მაქვს. მოდი, ასე ვთქვათ, მე მათი ფორმულირებების მიმართ გულგრილი ვარ“.

დიმიტრი მედვედევი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი

კი

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

შესაძლებელია თუ არა სატყ
პრობლემების მოგვარება

გეგმის მიხედვით, მოიჯარის ვალდებულებებში შევა ტყის უკანონო ჭრისგან დაცვაც. ინვესტორი ასევე აიღებს ვალდებულებას, რომ ე.წ. სოციალური ჭრებისთვის სპეციალური ტერიტორია გამოყოს. სამინისტროს გეგმის მთავარი პრინციპია, რომ მოიჯარემ ტყე მუდმივად განაახლოს.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ახალი „ტყის კოდექსის“ დამუშავებას და პარლამენტისთვის წარდგენას გეგმავს. სამინისტროს გეგმის მიხედვით, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ტყეები გრძელვადიანი – 49-წლიანი იჯარით უნდა გაიცეს.

კერძო სექტორს ეძლევა საშუალება, ტყეების 100% გრძელვადიანი იჯარით აიღოს.

მიწები კერძო მფლობელებს აუქციონის წესით უნდა გადაეცეთ. აუქციონზე გამოტანილი ტყის მონაკვეთის მფლობელი გახდება ის, ვინც მეტს გადაიხდის. ხელშეკრულების ხელმოწერიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სანამ მოიჯარე არ შეაფასებს ტერიტორიას და არ წარმოადგენს მისი მართვის გეგმის პროექტს, მას ხის მოჭრის უფლება არ ექნება. მოიჯარის ვალდებულებები კონკრეტული ტერიტორიის მართვის ხელშეკრულებაში ჩაიწერება და აისახება კანონში.

მოიჯარის ვალდებულებები შემდეგნაირად განისაზღვრება: სატყეო ფართობის მოვლა, ტყის გაწმენდა და სანიტარული ჭრების წარმოება. მოიჯარის მიერ ვალდებულებების აღსრულებას სააგენტო გააკონტროლებს. ტყის კერძო მფლობელმა ინფრასტრუქტურა მდგრადი განვითარებისათვის უნდა მოაწყოს და დაიცვას ტყე ხანძრისგან.

„ჩვენთან ხანძარი რატომაა ასე პრობლემური? იმიტომ, რომ არ არსებობს ტყეში მისასვლელი გზები. ავსტრიაში პირადად ვნახე 2300 მეტრ სიმაღლეზე არსებული ტყე და უღრან ტყეში „მერსედესით“ ვიყავით მისულები. ვაკვირდებოდით 50-გრადუსიანი დახრის ფერდობზე როგორ ახორციელებდნენ შერჩევით ჭრას – ანუ ეს შესაძლებელია და შეგვიძლია, ჩვენც გავიზიაროთ ეს გამოცდილება“, – აღნიშნა მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

სამინისტროს გეგმის მიხედვით, მოიჯარის ვალდებულებებში შევა ტყის უკანონო ჭრისგან დაცვაც. ინვესტორი ასევე აიღებს ვალდებულებას, რომ ე.წ. სოციალური ჭრებისთვის სპეციალური ტერიტორია გამოყოს. მოსახლეობას დაუბრკოლებლად უნდა შეეძლოს ამ ტერიტორიაზე შესვლა, გასათბობად შეშის მოჭრა, ფიჩხის, სოკოს შეგროვება, თევზის ანკესით დაჭერა და საქონლის შეყვანა. ოღონდ არა იმ ტერიტორიაზე, სადაც ტყის განახლება მიმდინარეობს. სამინისტროს გეგმის მთავარი პრინციპია, რომ მოიჯარემ ტყე მუდმივად განაახლოს.

...ეო მეუჩნეობაში შექმნილი ...ახალი ბებმის მიხედვით?

რეფორმა სპობს დეცენტრალიზაციის შესაძლებლობებს. რეგიონები ბუნებრივი რესურსების გარეშე რჩება. შემოსავლები მიდის ცენტრალურ ბიუჯეტში, ადგილობრივი კი უკვე სამუდამოდ ხდება დამოკიდებული ტრანსფერებზე.

არა
რეზო გეთიაშვილი
CENN

ხელისუფლებას ტყის მართვის ავსტრიული მოდელი გადმოაქვს, მაგრამ უარს ამბობს იმ ძირეულ საკითხებზე, რაც ავსტრიაში მდგრად მეტყევეობას უზრუნველყოფს: წინასწარი ინვენტარიზაცია, კატეგორიზაცია, ტყეების მართვისა და განვითარების ნაციონალური გეგმა, სახელმწიფო მონიტორინგის მექანიზმები.

ტყეები ისევ წინასწარი შეფასების (ინვენტარიზაციის) და განვითარების ნაციონალური გეგმის გარეშე გაიცემა; არ არსებობს სატყეო პოლიტიკა, სტრატეგია, კატეგორიზაცია; უცნობია გასაცემი რესურსის ოდენობა, ტყეების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ღირებულება. თანაც საუბარია არა მარტო ტყეების, არამედ ტყით დაფარული ფართობების (მდინარეთა აუზების) გაცემაზე თავისი ყველა რესურსით, რომლის რეგულაციის გარეშე მართვამ შესაძლოა ეკოსისტემაში სერიოზული დისბალანსი გამოიწვიოს.

ევროპული კანონმდებლობით და პრაქტიკით, საქართველოს ტყეების 61.6 %-ის სამეურნეო ათვისება აკრძალულია. თუ გარემოს ეროვნული სააგენტოს სტატისტიკასაც მოვიშველიებთ, ტყეების აბსოლუტური უმეტესობა აკრძალვის ზონაში მოხვდება. ტყეებმა, რომლის გაიჯარებასაც ვგეგმავთ, 1990-2005 წლებში სერიოზული დეგრადაცია განიცადა. შედეგად, გააქტიურდა ბუნებრივი კატასტროფები, რაც ქვეყანას ყოველწლიურად ასობით მილიონი ლარი უჯდება.

იჯარით უნდა გაიცეს „ველური ტყეებიც“, რომელთა ფართობიც 500-600 ათასი ჰექტარია. ასეთი ტყეები ევროპაში საერთოდ არ დარჩა. ეს ნიშნავს იმას, რომ აღარასოდეს შეიქმნება დაცული ტერიტორიები, მათ შორის, ფშავ-ხევსურეთის, ცენტრალური კავკასიონის, სამეგრელოს, მაჭახელას გეგმარებითი დაცული ტერიტორიები, რომლებზეც უკვე მომზადებულია კანონპროექტები, ზოგ შემთხვევაში კი მართვის გეგმებიც.

რეფორმა სპობს დეცენტრალიზაციის შესაძლებლობებს. რეგიონები ბუნებრივი რესურსების გარეშე რჩება. შემოსავლები მიდის ცენტრალურ ბიუჯეტში, ადგილობრივი კი უკვე სამუდამოდ ხდება დამოკიდებული ტრანსფერებზე. რეგიონული თუ მუნიციპალური განვითარების გეგმებში მხოლოდ ფორმალურად იქნება წარმოდგენილი ისეთი პრიორიტეტები, როგორიცაა ტყე, წყალი, მინერალური რესურსები, ეკოტურიზმი... ადგილობრივ მოსახლეობას მნიშვნელოვნად შეუმცირდება კერძო ინიციატივების შანსი 49 წლის განმავლობაში.

გაუგებარია ერთ მოჭრილ ხეზე სამის დარგვის ვალდებულებაც. ერთ ჰექტარზე საშუალოდ 200 ხეა, ტყის გაშენებისას კი მინიმუმ 3 000 ნერგი ირგვება. ამ უხეში არითმეტიკით, ერთ მოჭრილ ხეზე, მინიმუმ 15 უნდა დაირგას. თუმცა, მანამდე უნდა გავარკვიოთ, სად ვჭრით და სად ვრგავთ.

ეგვიპტე

"ეგვიპტის უკანასკნელი ფარაონის" სასამართლო პროცესი

3 აგვისტოს ეგვიპტეში ჰოსნი მუბარაქის სასამართლო პროცესი დაიწყო. თანამედროვე არაბული სამყაროს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა დიქტატორს საკუთარი მოსახლეობა ასამართლებს.

ვასო კუჭუხიძე

ჰოსნი მუბარაქის სასამართლო პროცესი კაიროს პოლიციის აკადემიის შენობაში მიმდინარეობს. ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტს, ალბათ, ირონიად ეჩვენება, რომ სულ რამდენიმე თვის წინ ეს აკადემია მისი სახელობის გახლდათ, დღეს კი ის აქ ბრალდებულთათვის გამოყოფილ გალიაში წევს. 83 წლის მუბარაქი აპრილში დააპატიმრეს, თუმცა აქამდე, მძიმე ავადმყოფობის გამო, ვერ ხერხდებოდა მისი შარმ ელ შეიხიდან კაირომდე გადაყვანა. რამდენიმე დღის წინ ეგვიპტის ჯანდაცვის მინისტრმა მუბარაქის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია იმისთვის, რომ ის სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო.

მართალია, მუბარაქი სრულ გონებაზეა, მაგრამ სიარული და დგომა არ შეუძლია, ამიტომაც, სასამართლო პროცესში ის გისოსებში ჩასმული საწოლიდან მონაწილეობს. ყოფილი პრეზიდენტის გარდა სასამართლო მისი ორი ვაჟის, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრისა და შვიდი მაღალი რანგის პოლიციელის საქმესაც განიხილავს.

სასამართლო პროცესი საკმაოდ მაღალ დონეზეა ორგანიზებული. პოლიციის აკადემიის გარეთ ისევე, როგორც თაჰრირის მოედანზე, დამონტაჟებულია უზარმაზარი მონიტორები, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ტელევიზია პირდაპირ ეთერში გადასცემს სასამართლო პროცესს. მოვლენების განვითარებით დაინტერესებულ ათიათასობით ეგვიპტელს 10 თებერვლის შემდეგ, როდესაც სატელევიზიო

ხალხი უყურებს მუბარაქის სასამართლო პროცესს პირდაპირ ეთერში

გამოსვლაში მუბარაქმა გადადგომაზე სასტიკი უარი განაცხადა, პირველად მიეცა საშუალება, ეხილა ყოფილი პრეზიდენტი.

მოსახლეობის დიდი ნაწილი მოუთმენლად ელის განაჩენს და იმედი აქვს, რომ ყოფილი დიქტატორი მაქსიმალურ სასჯელს მიიღებს. ეს ეგვიპტელ ხალხს სასამართლოს მიმართ ნდობას აღუდგენს და მომავლის იმედს გაუღვივებს. მოსახლეობის მეორე ნაწილი კი პოლიციის აკადემიის შენობასთან მუბარაქის სურათებითა და მისი მხარდამჭერი ტრანსპარანტებით შეიკრიბა. ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის რამდენიმე სერიოზული შეტაკებაც კი მოხდა, თუმცა სამართალდამცველებმა დროული ჩარევით მოახერხეს ყველა ინციდენტის განეიტრალება და მომავალი ექსცესების თავიდან აცილების მიზნით, მათ შორის ცოცხალი კედელი აღმართეს.

მუბარაქი ქვეყანას 1981 წლიდან მართავს. აბსოლუტური ძალაუფლებისა და უდიდესი სიმდიდრის გამო მას „ეგვიპტის უკანასკნელი ფარაონიც“ კი შეარქვეს. მმართველობის 30-წლიან პერიოდში ის სასტიკად უსწორდებოდა ოპოზიციონერებს, ახშობდა დემოკრატიის ნებისმიერ გამოვლინებას, ხელს უწყობდა ნეპოტიზმისა და კორუფციის აყვავებას, თუმცა ინარჩუნებდა სტაბილურობას ქვეყნის შიგნით და „მეგობრობდა“ ისრაელთან, რის გამოც დასავლეთი მის ავტორიტარიზმზე თვალს ხუჭავდა. ბოლო წლების განმავლობაში მუბარაქზე ათი თავდასხმა განხორციელდა, რომელსაც იგი უვნებელი გადაურჩა. თუმცა, ვეღარ გადაურჩა 2011 წლის ზამთარში საკუთარი ხალხის 18-დღიან უპრეცედენტოდ მასშტაბურ საპროტესტო გამოსვლებს.

ყოფილ პრეზიდენტს ბრალი რამდენიმე სერიოზულ დანაშაულში წაუყენეს. მათ შორისაა კორუფცია, პოლიტიკური რეპრესიები, 850 მომიტინგის მკვლელობა 2011 წელს და სახელმწიფო ინტერესების ღალატი, რაც ისრაელისთვის გაზის დაბალ ფასად მიყიდვაში გამოიხატება. ამ ბრალდებების დამტკიცების შემთხვევაში მუბარაქს სიკვდილით დასჯიან. იგივე განაჩენი ელის ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ ჰაბიბ ელ-ადლის, რომელსაც ბრალი მომიტინგეთა დახოცვაში ედება.

ეგვიპტელები ასევე დიდი სიხარულით შეხვდნენ მუბარაქის ვაჟების დაპატიმრებას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სწორედ გამალ მუბარაქი აქეზებდა მამას მომიტინგეთა დარბევისაკენ. ის ასევე მაქსიმალურად ცდილობდა მუბარაქს თანამდებობა არ დაეკარგა, რადგანაც სწორედ გამალი ბურჯს ტურიზმი წარმოადგენს. წელს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა კი ტურისტთა რაოდენობა კატასტროფულად შეამცირა, რაც ქვეყანაში არსებულ რთულ სოციალურ-ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს.

ასევე დასარეგულირებელია ქვეყნის შიდა პოლიტიკური ვითარება. მუბარაქის გადაგდების შედეგად წარმოშობილი პოლიტიკური ვაკუუმი სწორედ იმ ძალამ უნდა შეავსოს, რომელიც ეგვიპტეს უკეთესი მომავლისკენ გაუძღვება.

მართალია, მუბარაქი სრულ გონებაზეა, მაგრამ სიარული და დგომა არ შეუძლია, ამიტომაც, სასამართლო პროცესში ის გისოსებში ჩასმული საწოლიდან მონაწილეობს.

მიიჩნეოდა მამის შემცვლელად. სასამართლო მუბარაქის შვილებს ბრალს მხოლოდ მამის ძალაუფლების საკუთარი მიზნების გამოყენებისათვის უყენებს, რაც დამტკიცების შემთხვევაში 15 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მართალია, ამჟამად ხელისუფლებაში მყოფი სამხედრო საბჭო გარკვეულ მომენტამდე მუბარაქის ერთგული იყო, მაგრამ ახლა მათ ინტერესებშიც შედის ყოფილი პრეზიდენტის სამაგალითოდ დასჯა. ამით სამხედროები მოსახლეობის მხარდაჭერას მოიპოვებენ და ქვეყანაში არსებულ მღელვარებას დააცხრობენ. სტაბილურობა კი ეგვიპტეს უახლოეს მომავალში ისე სჭირდება, როგორც არასდროს. შემოდგომაზე დაგეგმილია საპარლამენტო არჩევნები, რასაც მომავალი წლის დასაწყისში საპრეზიდენტო არჩევნებიც უნდა მოჰყვეს. სწორედ ამ ორ მოვლენაზეა დამოკიდებული ის კონსტიტუციური ცვლილებები, რომლის გამოც ეგვიპტელი ხალხი ასე მედგრად იბრძოდა. ორივე არჩევნის წარმატებით ჩატარებისთვის კი ქვეყანაში სტაბილურობა აუცილებელია.

სიმშვიდე და სტაბილურობა ასევე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ეგვიპტის ეკონომიკისთვის, რომლის ძირითად ამ მისიის შესასრულებლად კი ერთმანეთს რამდენიმე ძალა ებრძვის, მათ შორის არიან ლიბერალები ელ ბარადეის ხელმძღვანელობით; კონსერვატორები ამრ მოუსას მეთაურობით და, რა თქმა უნდა, მუსლიმური საძმო, რომლის ძალაუფლებაც მუბარაქის გადადგომის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა.

გარდა ამისა, მუბარაქისთვის მაქსიმალური სასჯელის შეფარდებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ასპარეზზეც. ეს პირველი შემთხვევა იქნება, როცა არაბული სამყაროს დიქტატორს ქვეყნის შიგნით გაასამართლებენ. მართალია, ერაყშიც დასაჯეს სიკვდილით სადამ ჰუსეინი, მაგრამ იმ შემთხვევაში ძირითადი ფუნქცია მის დამხობასა და გასამართლებაში ვაშინგტონმა შეასრულა. ტუნისელებმა კი რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ვერ მოახერხეს სასამართლოს წინაშე დაეყენებინათ ყოფილი დიქტატორი ზინე ელ-აბიდინე ბენ ალი, რომელიც თავს საუდის არაბეთს აფარებს.

მუბარაქის პროცესი შეიძლება მაგალითი აღმოჩნდეს მოამარ კადაფისა და ბაშარ ალ-ასადის რეჟიმებისთვის. მათ კარგად უნდა დაინახონ, თუ რა ელით დიქტატორულ რეჟიმებს, როდესაც ხელს საკუთარ მოსახლეობაზე აღმართავენ.

ნორვეგია

ანდერს ბრეივიკი - შეუსაბამობის ლობიჯა

22 ივლისს ოსლოში ჩადენილი ცივსისხლიანი მასობრივი მკვლელობის შემდეგ ანდერს ბრეივიკი მსოფლიოს შოკირებას განაგრძობს.

ვასო კუჭუხიძე

ანდერს ბრეივიკი

დაკავებიდან რამდენიმე დღეში 32 წლის ანდერს ბრეივიკის ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფის მოთხოვნების ჩამონათვალი გაახმოვანა. სია ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ისეთი საყოფაცხოვრებო მოთხოვნების ჩამონათვალია, როგორიცაა სიგარეტი, ტანსაცმელი და ა.შ. სიის მეორე ნაწილში 69 ადამიანის მკვლელობაში ბრალდებული საკუთარი თავის ნორვეგიული არმიის მეთაურად დანიშვნას ითხოვს. ბრეივიკი ასევე კატეგორიულად მოითხოვს ნორვეგიის ლეიბორისტული ხელისუფლების გადადგომას, ევროპის საზოგადოებაში ცვლილებების დაწყებას და მეფე ჰაროლდ მეხუთის ქვეყნიდან გაძევებას.

ამ მოთხოვნების აბსურდულობამ კიდევ ერთხელ დააყენა ეჭვქვეშ ბრეივიკის გონებრივი ჯანმრთელობა. მისი ადვოკატის, გაირ ლიპესტადის განცხადებით, რომელიც ნეო-ნაცისტების ერთ-ერთ უძლიერეს დამცველად ითვლება ჩრდილოეთ ევროპაში, ბრეივიკის ეს მოთხოვნები კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ის ვერ აანალიზებს, რა მდგომარეობაში იმყოფება. ეს კი, ადვოკატის მტკიცებით, ხაზს უსვამს მის შეურაცხადობას. ნორვეგიის კანონმდებლობით, თუკი ბრეივიკის გონებრივი შეურაცხადობა დამტკიცდა, იგი ციხის ნაცვლად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდება.

სასამართლომ უკვე დაუნიშნა დამნაშავეს ორი ფსიქიატრი, რომელთა წინასწარი შეფასებითაც ბრეივიკი სავსებით ჯანმრთელია. ფსიქიატრები ამბობენ, რომ მასობრივ მკვლელობაში ბრალდებულის ყველა ნაბიჯი გათვლილია და უკვე შემუშავებული გეგმის ნაწილს წარმოადგენს. ნორვეგიელ ფსიქიატრთა დიდი ნაწილის განცხადებით, ფსიქიური აშლილობის შემთხვევაში სრულიად შეუძლებელი იქნებოდა ურთულესი გეგმის ისე დეტალურად განსაზღვრა და განხორციელება, როგორც ეს ბრეივიკმა გააკეთა. საბოლოო სამედიცინო დასკვნას სასამართლო 1 ნოემბერს ელოდება. თავად ბრეივიკი კი ერთ-ერთ მოთხოვნად აყენებს, რომ ის იაპონელმა ფსიქიატრებმა შეამოწმონ. მისი აზრით, იაპონელ ხალხს ყველაზე უკეთ ესმის ღირსების საკითხი და მისი ფასი.

მოთხოვნების დაკმაყოფილების სანაცვლოდ, ბრეივიკი პირობას დებს, რომ გამოააშკარავებს ქსელს, რომლის ნაწილიც ის არის. მისი განცხადებით, ქსელი 80-მდე დამოუკიდებელი ინდივიდისა და მცირე ჯგუფისაგან შედგება, რომელთაც ერთი იდეა აერთიანებს. ქსელის მიზანი ევროპის სხვადასხვა ნაწილში რადიკალური ქმედებებით ხელისუფლებისა და საზოგადოების გამოფხიზლებაა. ბრეივიკის ამ განცხადებამ აუცილებელი გახადა მისი ხელმეორედ დაკითხვა, თუმცა სპეცსამსახურები ჯერ არ ადასტურებენ, მართლაც ფლობს ბრეივიკი რაიმე ინფორმაციას თუ უბრალოდ მისი აუდიტორიის დატერორებას განაგრძობს.

ბრეივიკი რვაკვირიან წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, რომლის პირველ ოთხ კვირას იგი სრულ იზოლაციაში გაატარებს. პარალელურად, მიმდინარეობს საქმის წინასწარი მოსმენები, რომელიც ნორვეგიის უმაღლესი სასამართლოს

გადაწყვეტილებით, დახურულ კარს მიღმა იმართება. ამ გადაწყვეტილებამ ნორვეგიული საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მოსახლეობის ერთი ნაწილის განცხადებით, სასამართლო პროცესის გამჭვირვალობა დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია და მისი უგულებელყოფით ნორვეგია საკუთარ საერთაშორისო იმიჯს საფრთხის ქვეშ აყენებს.

ანალიტიკოსთა აზრით კი, ნორვეგიის სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ უკვე დაუნიშნა დამნაშავეს ორი ფსიქიატრი, რომელთა წინასწარი შეფასებითაც ბრეივიკი სავსებით ჯანმრთელია. ბრეივიკი კი ერთ-ერთ მოთხოვნად აყენებს, რომ ის იაპონელმა ფსიქიატრებმა შეამოწმონ. მისი აზრით, იაპონელ ხალხს ყველაზე უკეთ ესმის ღირსების საკითხი და მისი ფასი.

რაციონალური და პრაგმატულია. ისინი თვლიან, რომ ბრეივიკი შემუშავებული გეგმის თანახმად მოქმედებს, რომლის პირველ ნაწილსაც მან წარმატებით გაართვა თავი. გეგმის მეორე ნაწილის განხორციელებას კი ცივსისხლიანი დამნაშავე ღია სასამართლო პროცესის საშუალებით შეეცდებოდა. ბრეივიკის მიზანი საკუთარი იდეოლოგიის საზოგადოების ყველა წარმომადგენლამდე მიტანაა. ღია სასამართლო კი ამისთვის შესანიშნავი ტრიბუნა იქნებოდა. არაოფიციალური ინფორმაციით, სასამართლო ამ გადაწყვეტილებამდე ბრეივიკის 1518 გვერდიანი მანიფესტის პოპულარობამ მიიყვანა. ინტერნეტში გამოქვეყნებული მანიფესტისადმი ინტერესი მთელ მსოფლიოში უსაზღვროა.

ბრეივიკმა ჩადენილი ქმედებები აღიარა, თუმცა თავს დამნაშავედ არ თვლის. ფსიქიატრთა აზრით, ის აანალიზებს საკუთარი ქმედების სასტიკ ხასიათს, თუმცა მას მომავალი კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით გაწეულ მსხვერპლად მიიჩნევს და არანაირ სინანულს არ განიცდის. იგი იმდენად დარწმუნებულია საკუთარი იდეის სისწორეში, რომ აღელვების არანაირ ნიშანს არ ამჟღავნებს. კუნძულზე გამართული ხოცვა-ჟლეტის დროს ბრეივიკის უემოციობა იმდენად არაბუნებრივი ჩანდა, გავრცელდა მოსაზრება, რომ იგი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, თუმცა მოგვიანებით ჩატარებულმა ანალიზმა ეს ვერსია გამორიცხა.

ფსიქიატრთა გაოცებას ასევე იწვევს ის სიმშვიდე, რომელსაც ბრეივიკი ბავშვების ხოცვის დროს იჩენდა. თვითმხილველთა განცხადებით, იგი მოღიმარი სახით ესროდა გაქცეულ ახალგაზრდებს და მშვიდად იმეორებდა: „თქვენ ყველანი უნდა მოკვდეთ“. საკუთარ მანიფესტში ბრეივიკი აცხადებს, რომ როგორც ყველა ადამიანს, მასაც გააჩნია შიში და მომავალი გეგმების განხორციელების დროს იგი სიამოვნებით მოუსმენდა ჩლინტ Mansell-ის Lux Aeterna-ს, რომელიც მას შიშის დაძლევაში ეხმარება. ტაქსის მძღოლმა, რომლის მანქანითაც მასობრივი მკვლელობის წინა დღეს ბრეივიკმა იმგზავრა, განაცხადა, რომ ის მშვენიერ ხასიათზე იყო. ხუმრობდა, საუბრობდა სხვადასხვა თემაზე, თუმცა მომავალ გეგმებზე სიტყვა არ დაუძრავს და არც ნერვიულობის ეტყობოდა რამე.

კრიმინალისტთა აზრით, ბრეივიკის უემოციობა დაუღალავი ვარჯიშის შედეგია. როგორც ჩანს, ბოლო წლებს ის მხოლოდ მანიფესტის წერას არ უთმობდა და სერიოზულად ემზადებოდა „ჯვაროსნული ლაშქრობისთვის“. ცნობილი გახდა, რომ ის 2005 წლიდან ოსლოს მსროლელთა კლუბის წევრი იყო, სადაც საუკეთესო შედეგებით გამოირჩეოდა. სხვა მხრივ, ის ასკეტურ, მაგრამ არაფრით გამორჩეულ ცხოვრებას ეწეოდა. ფერმაც სწორედ იმიტომ იყიდა, რომ სასუქებთან ჰქონოდა შეხება და მათგან ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადება ესწავლა.

ბრეივიკს საკმაოდ კარგი განათლება აქვს მიღებული. მან ოსლოს ყველაზე პრესტიჟული სკოლა დაამთავრა, სადაც თავად ნორვეგიის კრონპრინციც სწავლობდა. მსახურობდა ჯარშიც, არ იყო ნასამართლევი და გაიზარდა საკმაოდ გავლენიან ოჯახში. მამამისი 1960-90-იან წლებში ხელმძღვანელობდა ნორვეგიის დიპლომატიურ მისიებს თეირანში, პარიზსა და ლონდონში. სწორედ ეს იწვევს საზოგადოების გაოცებას. როგორც ერთ-ერთმა პოპულარულმა ჟურნალისტმა პეტერ სვარმა განაცხადა, „ყველაზე მეტად ის მაშინებს, რომ ის არ არის მონსტრი, ის ჩვეულებრივი ნორვეგიელი ბიჭია“.

ნორვეგიელი სპეცსამსახურების მიერ უკვე ჩატარებულმა მოკვლევამ აჩვენა, რომ ბრეივიკს ცხოვრების არცერთ პერიოდში პრობლემები არ ჰქონია მუსლიმებთან, რასაც შეიძლება მათ მიმართ სიძულვილი გამოეწვია. მისი ანტიისლამური იდეოლოგია მხოლოდ თეორიული მიზეზებით არის გამოწვეული. ბრეივიკის განცხადებით, ის ხედავს იმას, რასაც ევროპა მხოლოდ 60 წლის შემდეგ დაინახავს. გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში ანდერსი დიდ აგრესიას იჩენდა ფემინიზმისა და სექსუალური აღვირახსნილობის წინააღმდეგ.

ბრეივიკის ქმედებით შოკირებული მსოფლიო მისთვის მაქსიმალური სასჯელის მიცემას ვარაუდობს. თუმცა, ნორვეგიის ჰუმანური კანონმდებლობით, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაშიც კი ბრეივიკს მხოლოდ 30-წლიანი პატიმრობა ელის. ხოლო თუკი ის ტერორიზმის ბრალდებით გაასამართლეს, რისი ალბათობაც ძალიან დიდია, ბრეივიკი 21 წლის შემდეგ ისევ თავისუფალი იქნება. რაც შეეხება თავად სასამართლო პროცესს, ნორვეგიის გენერალური პროკურორის განცხადებით, წლის ბოლომდე ყველა პროცედურა სრულად იქნება გავლილი და სასამართლო მხოლოდ 2012 წლიდან დაიწყება. მანამდე კი მსოფლიო მედია უამრავი ახალი და საინტერესო დეტალის გახმაურებას ელოდება.



რუპერტ მერდოკი

მეიდოსბეიტი 2011

უკანონო სატელეფონო მოსმენების გამოაშკარავება მერდოკის იმპერიის ნგრევის წინაპირობა გახდა. ბრიტანეთში ტაბლოიდური მედია ტრადიციულ ძალაუფლებას კარგავს.

დიანა ჩაჩუა

მედიამაგნატის რუპერტ მერდოკის News of the World-ის სკანდალის ატეხამდე ერთი თვით ადრე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი და „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი ედვარდ მილიბენდი ტაბლოიდის საზაფხულო წვეულებას ესწრებოდნენ. როგორც მსახიობი ჰიუ გრანტი იხსენებს, საპატიო სტუმრები „მასპინძლებს თავმომწონედ უღიმოდნენ“.

ჰოლივუდის მსახიობი News of the World-ის უკანონო მეთოდების ერთ-ერთი მსხვერპლია. სწორედ მან წამოიწყო კამპანია, რომელიც ამ ტიპის საქმიანობების აღკვეთას მოითხოვს. მიმდინარე წელს ჰიუ გრანტმა News of the World-ის ყოფილი ჟურნალისტის პოლ მაკმულანის დაყოლიება შეძლო, რათა ამ უკანასკნელს ინფორმაციის მოძიების შიდა მეთოდებზე მოეყოლა. გრანტმა ფარულად ჩაიწერა ეს საუბარი და ამის შესახებ გაზეთ New Statesman-ს ესაუბრა.

„სკოტლანდ იარდის თანამშრომლების 20 პროცენტი ქრთამს იმაში იღებს, რომ თვალი დახუჭოს ტაბლოიდების მიერ უკანონო მოსმენების ჩატარებაზე. საერთოდაც, რა შავდება ამით? ეს არავის აყენებს ზიანს. რა თქმა უნდა, ამას შესაძლოა ვინმეს კარიერა შეეწიროს, მაგრამ ყველა მაინც ეშმაკთან ცეკვას ირჩევს,“ – უყვებოდა მაკმულანი ჰოლივუდის მსახიობს.

რუპერტ მერდოკი

„მე არ ვიღებ პასუხისმგებლობას ამ ყველაფერზე. მომხდარზე პასუხისმგებელნი არიან ადამიანები, რომელთაც მე ვენდობოდი. აშკარაა, რომ ჩვენ თავგზა აგვიბნიეს და ახლა პოლიციამ უნდა გაარკვიოს, ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული“.

მაკმულანი ცდებოდა. News of the World-ის უკანონო სატელეფონო მოსმენებმა კარიერის შეწირვის გარდა, რამდენიმე ათეულ ადამიანს სერიოზული ფსიქოლოგიური ზიანიც მოუტანა.

2002 წლის 21 მარტს 13 წლის ბრიტანელი მილი დოულერი სკოლიდან სახლისკენ მომავალ გზაზე გაიტაცეს. გოგონას გვამი სექტემბერში იპოვეს. 2011 წლის 4 ივლისს ბრიტანულმა The Guardian-მა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სკოტლანდ იარდის გამოძიების თანახმად, გოგონას გაუჩინარების პერიოდში დოულერის ტელეფონის ხმოვანი ფოსტას News of the World-ის ჟურნალისტები და გამომძიებელი გლენ მულკერი უსმენდნენ. გოგონას ტელეფონის ხმოვანი ფოსტა გადავსებული იყო, ამიტომაც ჟურნალისტები გარკვეულ შეტყობინებებს შლიდნენ ხოლმე, რაც დეტექტივებისთვის პოტენციურ სამხილებს წარმოადგენდა. ზოგიერთი შეტყობინების გაქრობამ მაშინ ოჯახის წევრები და მეგობრები შეცდომაში შეიყვანა, რადგან ისინი ჯერ კიდევ ფიქრობდნენ, რომ გოგონა ცოცხალი იყო.

გრაჰამ ფულკსის 22 წლის ვაჟი დევიდი ერთ-ერთი იყო იმ 52 ადამიანიდან, რომელიც ექვსი წლის წინ ლონდონში ტერორისტმა მოკლა. ამ მოვლენებიდან რამდენიმე დღეში პოლიციამ დაღუპულის ოჯახს შეატყობინა, რომ დაღუპულის მობილურს შესაძლოა გამომძიებელი გლენ მულკერი უსმენდა, რომელიც ტრანსკრიპტებს News of the World-ს უგზავნიდა.

„ეს თავზარდამცემია. გგონია, რომ ამაზე უარესი ვერაფერი მოხდება და უცებ აცნობიერებ, რომ იქ, სადღაც არსებობს ვიღაც, რომელსაც შეუძლია შენი ცხოვრება უარეს საშინელებად აქციოს,“ – ეუბნებოდა ფულკსი BBC-ს.

ბრიტანეთის პოლიციას 4 ათასი ადამიანის სია აქვს, რომლებიც სხვადასხვა დროს ისმინებოდნენ ან ტაბლოიდის მომავალ სამიზნეებს წარმოადგენდნენ. მათ შორის არიან მსახიობები, სპორტსმენები, პოლიტიკოსები და კრიმინალური შემთხვევების მსხვერპლები.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი მედიასთან საუბარში იხსენებდა თუ რა რეაქცია ჰქონდათ მას და მის მეუღლეს, როდესაც Sun-ის რედაქტორმა რებეკა ბრუკსმა დაურეკა და კომენტარი სთხოვა მათი 4 თვის შვილის კისტური ფიბროზის დაავადების შესახებ. ამის შესახებ იქამდე საზოგადოებისთვის ცნობილი არ ყოფილა. წყვილს შვილის მდგომარეობის გახმაურება არ სურდა. ბრაუნმა News International-ი სასურველი ინფორმაციის მისაღებად კრიმინალების გამოყენებაში დაადანაშაულა.

„თუ მე, მთელი ამ დაცვის და უსაფრთხოების წყალობით, რაც პრემიერს გააჩნია, ასეთი დაუცველი ვარ ამ უნამუსო, ამორალური მეთოდების წინაშე, რაღა უნდა ვთქვათ რიგით მოქალაქეებზე?“ – ამბობდა ბრაუნი.

News of the World-ის სკანდალს რუპერტ მერდოკმა ტაბლოიდის დახურვით უპასუხა.

„დიდი მადლობა და მშვიდობით“ – 168 წლის შემდეგ 7,5 მილიონ ერთგულ მკითხველს ჩვენს სევდიან, თუმცა ამაყ გამოსამშვიდობებელ სიტყვას ვეუბნებით“, – მსოფლიოში ყველაზე ძველი ტაბლოიდის ბოლო ნომრის ყდაზე მკითხველებს ასეთი სათაური დახვდათ.

რუპერტ მერდოკმა ბოდიში მოიხადა, რომ მისმა ლონდონურმა ტაბლოიდმა 13 წლის გარდაცვლილი გოგონას ტელეფონი უკანონოდ მოისმინა, თუმცა ბრიტანეთის საპარლამენტო მოსმენაზე თავი იმით გაიმართლა, რომ მას ვერ ეცოდინება, თუ რას აკეთებს მსოფლიოს მასშტაბით მის კომპანიებში დასაქმებული 53 ათასი ადამიანი.

„მე არ ვიღებ პასუხისმგებლობას ამ ყველაფერზე. მომხდარზე პასუხისმგებელნი არიან ადამიანები, რომელთაც მე ვენდობოდი. აშკარაა, რომ ჩვენ თავგზა აგვიბნიეს და ახლა პოლიციამ უნდა გაარკვიოს, ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული“, – აღნიშნა დიდი ბრიტანეთის პარლამენტში დასაკითხად მიწვეულმა რუპერტ მერდოკმა.

კიდევ ერთი ფიგურა, რომელიც ლოგიკურად News of the World-ში უკანონო მოსმენებზე უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი, 2000-2003 წლებში გაზეთის რედაქტორი რებეკა ბრუქსი იყო. თუმცა

როგორც მისი ჩვენებიდან გაირკვა, უკანონო სატელეფონო მოსმენების შესახებ „არც მან იცოდა რამე“.

ბოდიშებს იძულებითი გადადგომები მოჰყვა: რებეკა ბრუქსი და News Corporation-ის ერთ-ერთი აღმასრულებელი თანამდებობებს გამოემშვიდობნენ. ორი დღის შემდეგ მათ რიგებს სერ პოლ სტივენსონი შეუერთდა. სკოტლანდ იარდის კომისარმა თავისი გადაწყვეტილება პოლიციის ამ სკანდალში ჩართულობის ბრალდებით ახსნა.

რუპერტ მერდოკის აზრით, სკანდალში გასარკვევად ის საუკეთესო კანდიდატია, შესაბამისად, არ აპირებს გადადგომას.

„გულახდილად რომ გითხრათ, მე საუკეთესო კანდიდატი ვარ, რომელსაც ამის მოგვარება შეუძლია“. ბევრს ამის მოსმენამ რიჩარდ ნიქსონის შემთხვევა გაახსენა, რომელმაც 1973 წელს უოტერგეიტთან დაკავშირებით საკუთარი გამოძიების ჩატარება შესთავაზა.

მერდოკის დაკითხვის მეორე დღეს პოლიციამ News of the World-ის ყოფილი რეპორტიორი შონ ჰოარი საკუთარ სახლში მკვდარი იპოვა. ის პირველი იყო, ვინც რედაქციაში უკანონო სატელეფონო მოსმენების წინააღმდეგ გამოვიდა. ჰოარი მედიასთან ინტერვიუებში აცხადებდა, რომ სენსაციებზე გამოდევნებული რედაქციისთვის სატელეფონო მოსმენები ჩვეული პრაქტიკა იყო და ამას იმაზე უფრო ხშირად მიმართავდნენ, ვიდრე ტაბლოიდის რედაქცია აღიარებდა.

უკანონო სატელეფონო მოსმენების გარშემო სკანდალი ჯერ კიდევ 2006 წელს დაიწყო, როცა NoW-ის ორი თანამშრომელი დააკავეს და სამეფო ოჯახის წევრების სატელეფონო საუბრების არალეგალურად მოსმენაში ცნეს დამნაშავედ. 2007 წელს თანამდებობიდან გადადგა გაზეთის მთავარი რედაქტორი ენდი კულსონი, რომელიც ამტკიცებდა, რომ უკანონო მოსმენების შესახებ არაფერი იცოდა. რამდენიმე თვის შემდეგ კულსონი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის ლიდერის და ამჟამად ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, დევიდ კამერონის მრჩეველი გახდა.

უკანონო მოსმენების შესახებ ახალი დეტალები ივლისის დასაწყისში გახდა ცნობილი. გაირკვა, რომ გაზეთის ჟურნალისტები ლონდონში 2005 წლის 7 ივლისს მომხდარი აფეთქების მსხვერპლთა ოჯახის წევრების სატელეფონო საუბრებსაც უსმენდნენ. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. გაირკვა, რომ გამოცემა ასობით ცნობილი ადამიანის, პოლიტიკოსების, მეტოქე ჟურნალისტების, ბრიტანეთის დაღუპული მეომრებისა და მოკლული თინეიჯერის სატელეფონო შეტყობინებებს ისმენდა.

ჩვენებების მიცემის და კომენტარების კეთების პარალელურად, ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტები გამოიკვეთა. საპარლამენტო კომიტეტის წინაშე, მამის გვერდით მჯდომმა ჯეიმს მერდოკმა აღნიშნა, რომ მათ საქმიანობასთან დაკავშირებით დამალული აღარაფერი დარჩა. თუმცა მომდევნო დღეებში News of the World-ის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორების განცხადებებმა საეჭვო გახადა უმცროსი მერდოკის ჩვენებები. ისინი ამბობდნენ, რომ ჯეიმს მერდოკი ბოლომდე გულახდილი არ იყო და შეცდომაში შეიყვანა კომისია, როცა აღნიშნა, რომ არ იცოდა სატელეფონო მოსმენების და ასევე 2008 წელს მსხვერპლთათვის ფულადი კომპენსაციების გადახდის შესახებ. პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმაც კი, რომელიც სკანდალის შემდეგ აქტიურად ცდილობდა თავის მერდოკის ოჯახისგან გამიჯვნას, განაცხადა, რომ ჯეიმს მერდოკის მიმართ კითხვები არ ამოწურულა და მას მათზე პასუხის გაცემა მოუწევდა.

19 ივლისს პარლამენტის სამსაათიანი მოსმენა ბევრისთვის იმის დემონსტრაცია გახდა, თუ როგორ მოახერხა ერთმა მედია კორპორაციამ ბრიტანეთის სამი განზომილების – პოლიტიკური სისტემის, მედიისა და პოლიციის მოცვა და კონტროლი.

Time-ის თანახმად, ბრიტანულ პოლიტიკაში ამ სკანდალამდე სამი ძირითადი ძალა არსებობდა: კონსერვატორები და ლეიბორისტები, რომლებიც მონაცვლეობით მოდიოდნენ ხელისუფლების სათავეში და ასევე, რუპერტ მერდოკი და მისი News of the World და the Sun.

ის, რომ რუპერტ მერდოკი წლების განმავლობაში დაუნინგ სთრითის 10 ნომერში ხშირი სტუმარი იყო, არავისთვის ყოფილა საიდუმლო, თუმცა ახლა ეს გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. პირველ რიგში, თავად დაუნინგ სთრითის 10 ნომრის ბინადრისთვის, რომელსაც თავი უნდა გაემიჯნა მერდოკის იმპერიისგან.

„სიმართლე ის არის, რომ ყველანი ვიყავით ამაში ჩართულნი, პრესა, პოლიტიკოსები და პარტიის ლიდერები, დიახ, ჩემი ჩათვლით“, – აცხადებდა 8 ივლისის პრესკონფერენციაზე დევიდ კამერონი.

ავსტრალიელი რუპერტ მერდოკი მედია ბიზნესში 1953 წელს, მამისგან მემკვიდრეობით მიღებული გაზეთით მოვიდა. 1950 და 1960-იან წლებში ის ავსტრალიის და ახალი ზელანდიის კრიზისში მყოფ გაზეთებს ყიდულობდა. 1969 წელს მერდოკი ბრიტანულ ბაზარზეც შევიდა და News of the World და The Sun შეისყიდა, რომლებიც ბრიტანეთის ყველაზე გაყიდვად ყოველდღიურ გაზეთებად აქცია. მერდოკის ოჯახი ამერიკით ოდნავ მოგვიანებით, 1974 წელს დაინტერესდა. 1985 წელს რუბერტმა აშშ-ის მოქალაქეობა მიიღო. 1981 წელს კომპანიების ჩამონათვალს ბრიტანეთის The Times მიემატა. შემდეგ იყო Twentieth Century Fox (1985), HarperCollins (1989) daThe Wall Street Journal (2007). 2000 წლისთვის მერდოკის News Corporation მსოფლიოს 50 ქვეყანაში 800 კომპანიას ფლობდა, რომლის ჯამური ღირებულებაც 5 მილიარდ დოლარს აღწევდა.

2006 წელს ტელეკომპანია „იმედის“ აქციების საკონტროლო პაკეტის ყიდვის შემდეგ მერდოკის კორპორაცია პირველი უცხოური მედია ორგანიზაცია იყო, რომელიც საქართველოს ბაზარზე შემოვიდა. თავის მხრივ, „იმედიც“ გარკვეულწილად განსხვავებული შენაძენი იყო მერდოკისთვის და არა მარტო გეოგრაფიული თვალსაზრისით. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რუპერტ მერდოკის მედიაიმპერიაში ტელეკომპანია ძალის გამოყენებით დახურეს.

„სკოტლანდ იარდის თანამშრომლების 20 პროცენტი ქრთამს იმაში იღებს, რომ თვალი დახუჭოს ტაბლოიდების მიერ უკანონო მოსმენების ჩატარებაზე. საერთოდაც რა შავდება ამით? ეს არავის აყენებს ზიანს. რა თქმა უნდა ამას შესაძლოა ვინმეს კარიერა შეეწიროს, მაგრამ ყველა მაინც ეშმაკთან ცეკვას ირჩევს“.

2007 წლის მოვლენების დროს „იმედის“ მაუწყებლობის შეჩერების შემდეგ რუპერტ მერდოკის ტელედაჯგუფების BSKyB-ის აქციები ლონდონის ბირჟაზე 2,5%-ით დაეცა.

რუპერტ მერდოკის გავლენა მედიის პარალელურად პოლიტიკაშიც იზრდებოდა. როგორც Time წერს, მერდოკის ზარებს ნებისმიერ კონტინენტზე პირადად პრემიერ-მინისტრები და პრეზიდენტები პასუხობდნენ. გამონაკლისი არც ბრიტანეთის პრემიერია, რომელიც გამოცემის თანახმად, ავსტრალიელის ზარებს ყველაზე დიდი ხალისით პასუხობდა.

დევიდ კამერონის კომუნიკაციების დირექტორი იანვრამდე News of the World-ის ახალი ამბების ყოფილი რედაქტორი ენდი კულსონი იყო. სატელეფონო მოსმენების სკანდალის აგორების პარალელურად კულსონს თანამდებობიდან გადადგომა მოუწია, 8 ივლისს კი დააპატიმრეს.

2009 წელს, როდესაც რებეკა ბრუკსი News International-ის რედაქტორად დანიშნეს, ჩარლი ბრუკსთან მის ქორწილს სხვა სტუმრებთან ერთად მოქმედი პრემიერი გორდონ ბრაუნი და დევიდ კამერონიც ესწრებოდნენ. გასულ დეკემბერს კამერონი და მისი მეუღლე სამანტა ბრუკსის ოქსფორდშირის სახლში საიდუმლო ვახშამსაც ესწრებოდნენ ჯეიმს მერდოკთან ერთად.

ის, რომ პოპულარული ტაბლოიდების არასერიოზულად აღქმა დაუშვებელია, ბრიტანეთში მარტივი ჭეშმარიტებაა. ეს განსაკუთრებით კარგად პოლიტიკოსებს ესმით. 1992 წლის არჩევნებზე მერდოკის Sun-მა ყდაზე გამოიტანა ლეიბორისტების ლიდერის ნილ კინოკის ფოტო, რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონდა: „თუ დღეს კინოკი მოიგებს, ძალიან გთხოვთ, ბოლო ვინც გახვალთ ქვეყნიდან, შუქის ჩაქრობა არ დაგავიწყდეთ“. მაშინ კონსერვატორებმა მოიგეს. სამი წლის შემდეგ კიდევ ერთი ლეიბორისტი გაეშურა ავსტრალიაში News Corp.-ის კონფერენციაზე სიტყვით გამოსასვლელად და მერდოკის მხარდაჭერის მისაღებად. News International-ის მაშინდელი სათაურები ნათლად მიუთითებდა მერდოკის ლობისტობაზე. 1997 წელს არჩევნებში ტონი ბლერმა გაიმარჯვა.

Time-ს ეჭვი არ ეპარება, რომ ვესტმისტერზე მერდოკის გავლენა შემცირდა. გარკვეული ხმები ამბობენ, რომ ის დარჩენილი ბრიტანული გაზეთების გაყიდვასაც აპირებს. ჩვეულებრივ, მსგავს სიტუაციებში კორპორაციებში დირექტორთა საბჭო ერევა და მენეჯმენტის ბერკეტებს საკუთარ თავზე იღებს. თუმცა საქმე ის არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ მერდოკებს ძირითადი აქციების მხოლოდ 12 პროცენტი ეკუთვნით, მათია იმ აქციების 40 პროცენტი, რომელიც ხმის მიცემის საშუალებას იძლევა. ეს კი სრულებით საკმარისია ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის.

„გასული კვირის მოვლენებიც კი შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს პოლიტიკური კლასების გასაჩერებლად, რომლებიც ამომრჩევლების გულის მოსაგებად ტაბლოიდებს საწოლში უხტებიან. ეს ერთადერთი გზაა, რაც მათ იციან“, – წერს Time.

ოპოზიციის ლიდერმა ედვარდ მილიბანდმა განაცხადა, რომ მერდოკს მედია ჰოლდინგში „არაჯანმრთელი“ წილი გაჩნია და მონოპოლისტების შეზღუდვის ახალი წესების შემოღების ინიციატივით გამოვიდა. მოგვიანებით მას ამაში მხარი პრემიერ-მინსიტრის თანაშემწემ ნიკ კლეგმაც დაუჭირა.

„ერთი კვირის განმავლობაში, მთავრობა და ოპოზიცია სამარცხვინო მხდალებისგან მებრძოლ ჯვაროსნებად იქცნენ, რომლებმაც ახლა News International-ის ეშმაკებს უნდა აჰხადონ ფარდა. მაგრამ ახლა საკითხავი ისაა, რამდენად შეიძლება მათი ნდობა?!“ – ამბობს ჰიუ გრანტი.

ბრიტანული არატაბლოიდური მედია მოწმობს, რომ ბრიტანეთის მთავრობისა და პოლიციის მიმართ ნდობა მხოლოდ ჰოლივუდის ვარსკვლავს არ შერყევია.

ტელე-კომუნიკაციები

ეროვნული ნაბიჯი ჩესტოჩნის ბიზნესიდან სიფხიერი მაუწყებლობის სერვისამდე

საქართველოს მთავარი საკომუნიკაციო ობიექტის ახალ მმართველს 12 მილიონი დოლარის დახარჯვა იმ ტექნიკის განახლებისთვის მოუწევს, რაც მისი მმართველობის დასასრულს შეიძლება გამოუსადეგარი გახდეს.

ანიტა თვაური

ფანჯრებით გარშემორტყმული გრძელი დერეფნის გაყოლებაზე საბჭოთა დროის, გამოუსადეგარ დანადგარებს თანამედროვე ელექტრონული გადამცემები ცვლის. შემინულ კარადებში ჩაწყობილ გადამცემებს სხვადასხვა წარწერა აქვთ – „იმედი“, „მიუზიქ ბოქსი“, „მწვანე ტალღა“, „არ დაიდარდო“, „მაესტრო“, „მზე“ და ასე, დერეფნის ბოლომდე.

სანამ მუსიკა ან ტელეგამოსახულება მაუწყებლიდან თქვენამდე მოაღწევს, ჯერ აქ გაივლის, გაძლიერდება, „ფიდერის“ საშუალებით ანტენებს მისწვდება და მთელ საქართველოზე გადაიცემა.

თბილისის ტელეანძის თანამშრომლებისთვის სამუშაო დღე ყველა გადამცემის გამართული მუშაობის შემოწმებით იწყება. 24-საათიანი მორიგეობისას კი მათი მთავარი პასუხისმგებლობა უწყვეტი კომუნიკაციის კონტროლია, თუ რამე დაზიანდა, განგაში ტყდება.

ტელეანძის პერსონალი 16 ტელევიზიისა და 30-ზე მეტი რადიოს მაუწყებლობის შეუფერხებელ მუშაობაზე აგებს პასუხს. ფუნიკულიორის მთაზე მდგარი ტელე-ანძის გარდა ტექნიკური პერსონალი საქართველოს 35 მცირე ზომის ანძასაც ემსახურება.

მთელი ქვეყნის მასშტაბით შეუფერხებელ მაუწყებლობაზე 330 ადამიანი ზრუნავს. თითოეული თანამშრომელი ოთხდღიანი როტაციით სადღეღამისო მორიგეობით მუშაობს, მათი საშუალო ხელფასი 500 ლარია.

თბილისი, მესტია, ფოთი, ზუგდიდი, ჭიათურა, ონი, ყვარელი, თიანეთი, წალკა, სიღნაღი, თელავი, დმანისი, ხულო და საქართველოს კიდევ 23 ქალაქში განლაგებულ მთავარ საკომუნიკაციო ანძებს შპს „ალფა-კომი“ განკარგავს. ის საქართველოს საკომუნიკაციო მონოპოლისტია. 1 აგვისტომდე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფო იყო.

274.5 მეტრიანი ლითონის კონსტრუქცია, თბილისის ტელეანძა, ტელე და რადიოსიგნალების გარდა, სატელეფონო და ინტერნეტ კავშირის მთავარი რგოლიც არის. ის ქვეყნის მთავარ სატელეფონო და ინტერნეტ კომპანიებს „მაგთის“ „ჯეოსელს“, „ბილაინს“, „საქართველოს ტელეკომს“, სილქნეტს“, „კავკასუს ონლაინსა“ და „გლობალ ერთსაც“ ემსახურება.

ანძის სრული პარალიზების შემთხვევაში ქვეყნის მოსახლეობა ინტერნეტის გარდა ყველანაირი კომუნიკაციის გარეშე დარჩება. ტელე და რადიო მაუწყებლებისგან განსხვავებით, ინტერნეტ პროვაიდერებს გავრცელების დამოუკიდებელი წყაროებიც აქვთ.

ანძის ყველაზე მაღალ სართულზე ახლა რემონტია, ახალი ტექნიკა მოაქვთ, თუმცა ამას ტელეანძის ახალი მმართველის მიერ განახლებითი სამუშაოების დაწყებასთან კავშირი არ აქვს.

„ჯერ არ ვიცით, ვინ არის მმართველი, არავინ მოსულა და არ დაუთვალიერებია აქაურობა“, – გვეუბნება ერთ-ერთი ტექნიკოსი. მან ჯერ არ იცის, რომ საქართველოს მთავარი საკომუნიკაციო ობიექტის ოთხწლიანი მართვის უფლება სასტუმროებისა და რესტორნების ქსელის მეპატრონემ ელექტრონული აუქციონის მეშვეობით შეიძინა.

აუქციონის ბუნდოვანი პირობები

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ელექტრონულ აუქციონზე „ალფა-კომი“ 18 ივლისს, საწყის ფასად – 100 ათას ლარად გამოიტანა. სახელმწიფომ მთავარი საკომუნიკაციო ინსტრუმენტი ისე შეიტანა გასაყიდი ობიექტების ნუსხაში, რომ ამის შესახებ საჯაროდ ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

ელექტრონულ აუქციონზე სახელმწიფომ თავის საკუთრებაში არსებული შპს „ალფა-კომ“-ის 100% გაიტანა. ეს მოიცავს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 358 114.11 კვ.მ მიწას და 91 შენობა-ნაგებობას. კომპანიის

ანძის სრული პარალიზების შემთხვევაში ქვეყნის მოსახლეობა ინტერნეტის გარდა ყველანაირი კომუნიკაციის გარეშე დარჩება. ტელე და რადიო მაუწყებლებისგან განსხვავებით, ინტერნეტ პროვაიდერებს გავრცელების დამოუკიდებელი წყაროებიც აქვთ.

ფოტო ანრეა ციკური

თბილისის სატელევიზიო ანძა

დავალიანება დაახლოებით სამი მილიონი ლარია, მის მიმართ მომხმარებლების დავალიანება კი ორჯერ მეტი – შვიდი მილიონი ლარია.

აუქციონის პირობები 4 წლიანი მმართველობის უფლების მომპოვებელ კომპანიას შემდეგ პირობებს უყენებდა: ობიექტის პროფილის შენარჩუნება; 4 წლის განმავლობაში საერთო ღირებულების ეტაპობრივი გადახდა და ამ ოთხ წელიწადში 12 მილიონი დოლარის ინვესტიცია. გადაწყვეტილების მისაღებად მყიდველებს მხოლოდ 11 სამუშაო დღე ჰქონდათ.

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეფასებით, აუქციონის პირობები არაადეკვატური და ბუნდოვანი იყო.

ერთი მხრივ, სახელმწიფომ შემსყიდველისგან საწარმოს პროფილის შენარჩუნება მოითხოვა, თუმცა აუქციონში გასაყიდი ობიექტის საქმიანობის სფერო არ მიუთითებია. ვებგვერდზე არსად იყო აღნიშნული, რომ საკომუნიკაციო ანძები იყიდებოდა.

ერთი შეხედვითაც ჩანდა – ყველაზე სოლიდური ინვესტორისთვისაც კი არასაკმარისი იყო 11 დღე იმისათვის, რომ შეესწავლა „ალფა კომის“ ფინანსურ-ტექნიკური მდგომარეობა და 12 მილიონიანი ინვესტირების მომგებიანი ბიზნეს გეგმა შეედგინა.

ეკონომიკის სამინისტრომ აუქციონის დასრულების მეორე დღეს გაავრცელა განცხადება, რომ „ალფა-კომი“ „უახლოეს მომავალში დაიწყებს კომპანიის ფინანსური და ტექნიკური მდგომარეობის დეტალურ შესწავლას“. კითხვაზე, თუ რატომ წარადგინა აუქციონზე სახელმწიფომ შეუსწავლელი ქონება, ეკონომიკისა და მდგარადი განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტის პრესსპიკერი გიორგი კალანდაძე არ პასუხობს.

„მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტ აუქციონი გამჭვირვალე პროცესია, პრივატიზების პირობები და ბიჯის გასაკეთებლად შემოთავაზებული უკიდურესად მცირე დრო, არ უზრუნველყოფს სამართლიან და კონკურენტულ გარემოს“, – წერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ სტატიაში „ვინ განკარგავს საქართველოს საჰაერო ტალღებს? ალფა-კომის პრობლემატური პრივატიზება.“

აუქციონის ვებგვერდზე, ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ცხელი ხაზის ნომერი იყო მითითებული. ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი ამბობს, რომ ამ ნომერს არავინ პასუხობდა. ის ერთ-ერთია მედიის წარმომადგენლებს შორის, ვინც აუქციონის ჩატარებას ეწინააღმდეგებოდა.

აუქციონის გაუქმების მოთხოვნა

მედიის წარმომადგენლებმა მათი საქმიანობისთვის სასიცოცხლოდ მნიშ-

ვნელოვანი საკომუნიკაციო ცენტრის კერძო მფლობელისთვის გადაცემაში საფრთხე დაინახეს. ტარიფების გაზრდისა და თანაბარ პირობებში ჩაყენების გარანტიას მათ არც აუქციონის პირობები და არც კანონი უქმნის.

„რადგან აუქციონის პირობებში არაფერი წერია სატარიფო ან ხარჯებთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და ვალდებულებებზე, ახალ მფლობელს საშუალება ექნება გაზარდოს ტარიფები და არათანაბარ პირობებში ჩაყენოს მედია საშუალებები", – ამბობს გაზეთ „რეზონანსის" ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე. ის ერთ-ერთი იყო იმ მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც აუქციონის გადატანისა და გასაყიდი პირობების დაზუსტების მოთხოვნით რამდენიმე საპროტესტო აქცია გამართეს.

კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისთვის", რომელიც მედია გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობასა და ჟურნალისტთა უფლებების დაცვას ისახავს მიზნად ეკონომიკის სამინისტროს გამოცხადებული ონლაინ აუქციონის შეჩერებაც კი მოითხოვა.

„დაჩქარებულად, ყოველგვარი წინასწარი საჯარო დისკუსიის გარეშე გამოცხადებული ონლაინ აუქციონი და მისი ბუნდოვანი პირობები არ არის საკმარისი წინაპირობა შპს „ალფა კომის" მართვის უფლებით ოთხი წლით გადაცემისთვის", – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში, რომელსაც ხელს 11 ორგანიზაცია აწერს, მათ შორის „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია", „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი", ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო" და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი".

რეგიონული, მცირეშემოსავლიანი მაუწყებლები ტარიფის გაზრდის შემთხვევაში განსაკუთრებულად მძიმე შედეგებს ვარაუდობენ. „ახლა თვეში დაახლოებით 1500 ლარს ვიხდით, რაც მნიშვნელოვანი თანხაა ჩვენისთანა ტელეკომპანიისთვის, ამ ტარიფის კიდევ უფრო გაზრდა კი სერიოზულად აისახება რეგიონული მედიის ფინანსურ მდგომარეობაზე", – განუცხადა ბათუმის 25-ე არხის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მერაბ მერკვილაძემ „მედია-ჯი"-ს.

„ალფა-კომის" მიმართ დაგროვებული 7 მილიონიანი დავალიანებიდან 4 მილიონი ლარი „საზოგადოებრივ მაუწყებელს" აქვს, 450 ათასი ლარი – ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ს, „ტელეიმედს" – 220 ათასი ლარი, „პირველ სტერეოს" – 80 ათასი ლარი", მწვანე ტალღას" – 70 ათასი ლარი, „პირველ რადიოს" – 70 ათასი ლარი და „მზეს" – 38 ათასი ლარი.

იმ დროს, როდესაც ეკონომიკის სამინისტროს წინ, საპროტესტო აქცია „სტოპ ვერა" მიმდინარეობდა, „ალფა-კომის" ოთხწლიანი მმართველობის უფლება დათქმულ დროს, 1 აგვისტოს, 5 საათზე გაიყიდა.

„ალფა-კომის" ახალი მმართველი

ელექტრონულ აუქციონში შპს „გოლდენ კომ"-მა გაიმარჯვა. ის ერთადერთი კომპანიაა, ვინც ამ ლოტზე ბიჯი გააკეთა. აუქციონის გამოცხადებამდე 10 დღით ადრე დარეგისტრირებულმა შპს „გოლდენ კომ"-მა „ალფა კომის" აუქციონის გამოცხადებიდან მეოთხე დღეს საწყის ფასს 100 ათას ლარს 10 ათასი დაუმატა. აუქციონში მას კონკურენტი არ ჰყოლია.

შპს „გოლდენ კომ"-ის ხელმძღვანელი 58 წლის ბიზნესმენი – ვასილ ბოლაშვილია. ის სიღნაღსა და თბილისში რამდენიმე რესტორანსა და სასტუმროს ფლობს, მათ შორის „ფიროსმანს", „ლევილსა" და „გოლდენ პალასს". შპს „გოლდენ კომი" თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მეხუთე კილომეტრზე მდებარეობს – ეს მისამართი საჯარო რეესტრის მონაცემებშია მითითებული.

„ამერიკის ხმის" ქართული სამსახური წერდა, რომ ვასილ ბოლაშვილს, ნინო ბურჯანაძის რეკომენდაციით, 2008 წელს „ნაციონალური მოძრაობის" სიღნაღის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად უნდა ეყარა კენჭი. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მაშინდელ პარლამენტის თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძეს შორის უთანხმოების გამო, ვასილ ბოლაშვილი საარჩევნო სიიდან ამოიღეს.

2009 წლის მარტში ნინო ბურჯანაძის ოპოზიციაში მყოფი პარტიის „დემოკრატიული საქართველოს" ათამდე წევრთან ერთად ვასილ ბოლაშვილის შვილი – გიორგი ბოლაშვილი იარაღის შეძენის ბრალდებით დაუკავეს. გიორგი ბოლაშვილმა ციხეში ექვსი თვე გაატარა და პირობითი სასჯელით, სოლიდური თანხის გადახდის შემდეგ საპროცესო შეთანხმებით გათავისუფლდა.

„მას არავითარი ინტერესი და მართვის გამოცდილება ანძასთან დაკავშირებთ არ აქვს. გამოვრიცხავ, რომ ბოლაშვილს ისეთი ბიზნესი ჰქონდეს, რომ ანძაში 12 მილიონი დოლარის ინვესტირება შეეძლოს. ეს არის ბლეფი", – განუცხადა „ამერიკის ხმას" პარტია „დემოკრატიული საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.

კიდევ ერთი დოკუმენტი, სადაც ბოლაშვილის სახელი ფიგურირებს „ნაციონალური მოძრაობისთვის" გადარიცხული შეწირულობის ნუსხაა. 2011 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ" ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგინა სია, სადაც ჩამოთვლილია ის იურიდიული და ფიზიკური პირები, ვინც პარტიას 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობისათვის თანხა ჩაურიცხა.

ამ სიის მიხედვით, 2010 წლის 4 მარტს ვასილ ბოლაშვილმა სასტუმრო „ფიროსმანის" სახელით, „ნაციონალურ მოძრაობას" წინასაარჩევნო კამპანიისთვის 2 000 ლარი გადაურიცხა.

ციფრული მაუწყებლობა – 2015 წელი

ელექტრონული აუქციონის დამთავრებიდან მეორე დღეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განცხადება გაავრცელა.

„ახალი ინვესტორი „ალფა-კომში" უახლოესი 4 წლის მანძილზე 12 მი-

ლიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს, მოხდება ანძის ტექნიკური გადაიარაღება და დაინერგება დღეს არარსებული ახალი ტიპის სატელეკომუნიკაციო სერვისები და გაუმჯობესდება არსებული“, – წერია განცხადებაში.

გაუგებარია, რის საფუძველზე ჰპირდება ეკონომიკის სამინისტრო მოქალაქეებს „არარსებული ახალი ტიპის სატელეკომუნიკაციო სერვისების“ დანერგვას, როდესაც არც აუქციონის პირობები ავალდებულებს ამას ახალ მმართველს და სამინისტროს წარმომადგენლების მტკიცებით, ინფორმაციას შპს „გოლდენ კომ“-ის საქმიანობის შესახებ არ ფლობენ.

2006 წელს საქართველომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პირობა დადო. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეზობელი ქვეყნების ციფრული სიხშირეები ქართული არხებისთვის გამოყოფილ სიხშირეებს გადაფარავს და მაყურებელი მაუწყებლობის გარეშე დარჩება. გეგმის მიხედვით, ეს პროცესი 2015 წელს უნდა დასრულდეს.

ამ დრომდე სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს გეგმა, თუ ვინ იქნება ციფრული სიგნალის გამავრცელებელი – ტელევიზია თუ საგანგებოდ ამ ფუნქციით შექმნილი პროვაიდერი.

ამ საკითხზე არც საკანონმდებლო ცვლილება განხორციელებულა და არც ფართო საჯარო დისკუსია დაწყებულა. თბილისის ტელე-ანძის ტექნიკური ოპერატორი გვიხსნის, რომ ციფრული სიგნალის გასავრცელებლად ერთი დანადგარი ყველა სამაუწყებლო სერვისის მომსახურებას შეძლებს და ლოგიკურად ფასი არ უნდა გაიზარდოს, თუმცა ფასის რეგულირება მაინც ახალ მმართველზე იქნება დამოკიდებული. „ჯერ უნდა გაირკვეს სახელმწიფო პოლიტიკა – კერძო მაუწყებლები შეიძენენ თუ ჩვენ დაგვევალება ახალი დანადგარის ყიდვა“, – ამბობს იგი.

ოთხი წელი დარჩა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად. ზუსტად ამ ვადით გაიყიდა საკომუნიკაციო მონოპოლისტის „ალფა-კომ“-ის მართვის უფლება. იმ შემთხვევაში თუ მაუწყებლები კერძო გადამცემების დაყენებას ამჯობინებენ, „ალფა-კომში“ ახალი მმართველის მიერ ტექნიკურ გადაიარაღებაში ჩადებული ფული უსარგებლო გახდება.

სტატიაზე მუშაობდა მაია წიკლაური

თბილისის ტელეანძა

თბილისში პირველი ანძის პროექტირება 1953 წელს დაიწყო. 1956 წელს დასრულებული პირველი სატელევიზიო ანძის სიმაღლე 185 მეტრი იყო. აქვე მოეწყო ერთადერთი 50 კვ მეტრიანი სტუდია, საიდანაც 1956 წლის 30 დეკემბერს პირველი გადაცემა გავიდა ეთერში. პირველი ანძა ხარისხიან გავრცელებას ვერ უზრუნველყოფდა. ის დემონტაჟის შემდეგ გორში დაიდგა.

ახალი ანძის მშენებლობა 1972 წელს დაიწყო და სამ წელს გაგრძელდა. პროექტი „კიევის საპროექტო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში“ შეიქმნა. სამშენებლო ჯგუფის უფროსი მარკ გრინბერგი იყო, ანძის მშენებლობას კი პროექტის ერთ-ერთი ავტორი – ბორის ბუტი ხელმძღვანელობდა. სამუშაოებს რუსთავის სამშენებლო საწარმო, თბილისის, კიევის, ხარკოვის, მოსკოვის, ლენინგრადის, როსტოვისა და ჩელიაბინსკის ბრიგადები ასრულებდნენ. ლითონის კონსტრუქციები ჩელიაბინსკში დამზადდა და თბილისში რკინიგზით გადმოიტანეს. თავდაპირველად განთავსდა სამაუწყებლო სატელევიზიო ანტენები ოთხი პროგრამისთვის და ოთხი ულტრამოკლეტალღოვანი რადიოსამაუწყებლო ანტენა, ასევე სპეციალური დანიშნულების მოწყობილობები.

თბილისის ტელეანძის საძირკველი 9 მეტრია. ანძის ლითონის კონსტრუქცია საყრდენისა და ორი დამხმარე ფეხისგან შედგება. მთავარი ნაგებობის 77-ე და 164-ე მეტრზე აშენებულ სართულებს უწოდებენ „სამკუთხედს“ და „მრგვალს“. აქ არის განთავსებული საკომუნიკაციო გადამცემები, ამოდის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები და რადიო სარელეო ხაზები. ორივე ნაგებობა – მრგვალიც და სამკუთხედიც – მხოლოდ გადამცემი მოწყობილობებისა და დანადგარებისათვის არის განკუთვნილი.

1994 წელს ოქტომბრის საღამოს, მთაწმინდის პლატოზე ლითონის ვეებერთელა კონსტრუქციაზე ხანძარი გაჩნდა. ელექტროსადენების სიმრავლის გამო წყლის გამოყენება შეუძლებელი იყო. რამდენიმე საათში ცეცხლი ჩააქრეს, თუმცა დამწვარ სადენებს ოთხი დღე შავი კვამლი ასდიოდა. ხანძრის დაწყებიდან 8 საათში დროებითი ანტენები დამონტაჟდა და ორპროგრამიანი მაუწყებლობა აღდგა. ხანძრის გამო დაზიანდა ლიფტი, და აღდგენითი სამუშაოებისათვის მასალის ატანა მუშებს ხელით უწევდათ.

ტელეანძა თბილისს და მის შემოგარენს დაახლოებით 60 კილომეტრიან რადიუსში ემსახურება. ანძას მხოლოდ მთამსვლელები ღებავენ. ანძის შეღებვას სულ ცოტა ორი თვე და სამ ტონამდე საღებავი სჭირდება. ქარიან ამინდში ან ჭექა-ქუხილის დროს ანძაზე ნებისმიერი გარე სამუშაოები დაუშვებელია.

2007 წელს უკრაინის საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლებმა თბილისის ტელეანძაზე შემოწმების ორკვირიანი სამუშაოები ჩაატარეს. დადგინდა, რომ კონსტრუქცია კარგ მდგომარეობაშია.

2015 წელს თბილისის ტელეანძა 40 წლის გახდება.

საქართველოს რკინიგზა

შეფეხებული სესხი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში საქართველოდან რამდენიმე საჩივარი შევიდა. წერილები რკინიგზის შემოვლითი გზის პროექტის უსაფრთხოებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ცირა გვასალია

ფოტო ცირა გვასალია

სესიტაშვილების ოჯახის კაკლის პლანტაცია თბილისის ზღვასთან. ორ წელიწადში, ახალი რკინიგზის ლიანდაგი პლანტაციას თითქმის ორად გაყოფს

ლალი ჯაკობია ერთ–ერთი მათგანია, ვინც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს საჩივრით მიმართა. ჯაკობია თვლის, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი მის საცხოვრებელ გარემოს დააზიანებს.

ორსართულიანი, კეთილმოწყობილი საზაფხულო სახლი ქალაქის ცენტრიდან დაახლოებით 20 წუთის სავალზეა, თბილისის ჩრდილოეთით, ზემო ავჭალაში მდებარეობს და დაახლოებით 600 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. გვიან ზაფხულს, სახლის ეზოში, იასამნები და იელები ყვავის. ალუბლის, ლეღვის, მუშმალას, ტყემლის ხეებს ნაყოფი გამოუსხამს. ოჯახმა მიწა 90–იანი წლების ბოლოს შეიძინა.

„ეს სახლი იმისთვის ავაშენეთ, რომ თბილისის მტვრისა და ხმაურისგან თავი დაგვეღწია“, – ამბობს დიასახლისი.

სამი თვის წინ ზემო ავჭალის მოსახლეობის ცხოვრება შეიცვალა. რკინიგზის კომპანიამ ახალი მარშრუტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ავჭალის ტერიტორიაზე ყოველდღე სატვირთო მანქანები, ტრაქტორები და სხვა მძიმე ტექნიკა დადის.

„ჩემი სახლისხელა ტრაქტორები დადიან“, – ამბობს ეთერ დოიჯაშვილი, ლალი ჯაკობიას მეზობელი. – „დილიდან საღამომდე ფანჯრებს ვერ ვაღებ, მტვრის, ნაგვისა და ხმაურის გამო. ხალხი უკვე გაბრაზდა“.

ბანკთან გაგზავნილ საჩივარს ხელი დოიჯაშვილმაც მოაწერა. ავჭალის მცხოვრებლებმა წერილში აღწერეს, რომ პროექტი სათანადოდ არ ითვალისწინებდა იმ საფრთხეებს, რაც მათ საცხოვრებელ სახლს და გარემოს ელოდება ახალი რკინიგზის აშენების შემდეგ. საჩივრის წერილის ავტორები განსაკუთრებულად შეწუხებულნი იმის გამო არიან, რომ მათი სახლის წინ 18–20 მეტრის სიმაღლის მიწაყრილს აშენებენ. მიწის გორები ახლომახლო უკვე დგას.

„არ მინდა რგინიგზის ქვეშ ცხოვრება. თუ ავარია მოხდება, ნავთობი დაიღვრება და ჩემს მიწას გაანადგურებს“, – ამბობს ლალი ჯაკობია.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში, მოსახლეობის გარდა, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ საჩივარიც შევიდა.

მოსახლეობის უსაფრთხოების არასათანადო შეფასება, დაგეგმილი რკინიგზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის ქონების გაუფასურება, განსახლების სამოქმედო გეგმის არარსებობა, თბილისის ზღვის ნავთობისა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებისაგან დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებების არარსებობა, მყარი ნარჩენების მართვის გეგმის არარსებობა, პროექტის განხილვის დროს ხალხის არასათანადოდ ინფორმირება – ასე გამოიყურებოდა „მწვანე ალტერნატივას“ საჩივრის შინაარსი.

საჩივრის მიღებიდან 5 თვის შემდეგ, ბანკმა, რომელიც 100 მილიონი ევროს სესხს გამოყოფს რკინიგზის პროექტისთვის, ჩათვალა, რომ საჩივრები გონივრულობას მოკლებული არაა და

სამი თვის წინ ზემო ავჭალის მოსახლეობის ცხოვრება შეიცვალა. რკინიგზის კომპანიამ ახალი მარშრუტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ავჭალის ტერიტორიაზე ყოველდღე სატვირთო მანქანები, ტრაქტორები და სხვა მძიმე ტექნიკა დადის.

პროექტი გადახედვას მართლაც საჭიროებს.

„სრულიად ნათელია, რომ წარმოდგენილი საჩივრები აკმაყოფილებს ყველა ზოგადად მისაღებ კრიტერიუმს, რომელსაც ბანკის პროცედურები ითვალსწინებს საჩივრის მიღების შემთხვევაში“, – ნათქვამია ბანკის განცხადებაში.

ამიტომაც, ბანკის პროექტის განხილვის მექანიზმის გადაწყვეტილებით, 2011 წლის სექტემბერში საქართველოში ექსპერტი გრეჰემ ქლევერლი ჩამოვა. ქლევერლი 60 სამუშაო დღის განმავლობაში, ე.წ. შესაბამისობის ანგარიშს შეადგენს.

შესაბამისობის ანგარიში, მომჩივნების პრეტენზიებსა და რეალობას ერთმანეთს შეადარებს: მართლა არასაკმარისად იყო გათვალისწინებული მოსახლეობის უსაფრთხოება, როგორც ეს ავჭალის მოსახლეობის საჩივარშია ნათქვამი? იყო თუ არა მოსახლეობა სრულად ინფორმირებული? რამდენად სწორად იყო გათვლილი ჰაერის, წყლის დაბინძურების დონე? შეფასდა თუ არა პროექტის ალტერნატივები? ხომ არ დაირღვა ეროვნული კანონმდებლობა?

სპეციალისტი შეხვდება მოსახლეობას, ადგილზე გაეცნობა მათ პრობლემებს, მოელაპარაკება კომპანიას, შეამოწმებს მისი მოვალეობის შესრულების შედეგებს. შედეგების ანალიზს კი ბანკის მენეჯმენტს გააცნობს.

ეს ნიშნავს, რომ საქართველოს რკინიგზის პროექტის დაფინანსება რამდენიმე თვით უნდა შეფერხდეს.

„რკინიგზას, ბანკსა და მოსახლეობას შორის კიდევ დაიწყება არსებულ პრობლემებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები“, – ამბობს დავით ჭიპაშვილი, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგრამის კოორდინატორი, – „გადაიდება თუ არა სესხის გადმორიცხვის პროცესი და რამდენი ხნით, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარიმართება მოლაპარაკებები და რას დაადგენს ექსპერტი“.

ლალი ჯაკობია ამბობს, რომ რკინიგზის წარმომადგენლები მათთან არასოდეს მისულან, მათ ჩივილებს და მოთხოვნებს არ გაცნობიან. სახლის მეპატრონე იმაზეც წუხს, რომ მისი სახლი და ფართი, რომელიც რკინიგზიდან სულ რამდენიმე ათეული მეტრითაა დაშორებული, ამ არასახარბიელო ადგილმდებაროების გამო გაიაფდა და ამბობს, რომ თუ თვით

კომპანიამ არ გადაუხადა გაიაფებული ქონების კომპენსაცია, ქონების გაყიდვა გაუჭირდება.

„ნავთობის სუნი, ხმაური, მტვერი აქაურობას გაანადგურებს“, – ამბობს ჯაკობია, –„არც ჩემი ქონების შეძენა მოუნდება ვინმეს“.

რკინიგზის ახალი მარშრუტის 300 მილიონი ევროს ღირებულების პროექტს 100%–ით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანია „საქართველოს რკინიგზა“ ასრულებს. პროექტის დასრულების შემდეგ, 2013 წელს, თბილისის რკინიგზის ცენტრალური სადგური გაუქმდება. პროექტის მიზნებში წერია, რომ ახალი მარშრუტი ხელს შეუწყობს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მიერ ქალაქის გაყოფილი ნაწილების ინტეგრირებას, შეამცირებს რკინიგზის ფუნქციონირებით გამოწვეულ ეკოლოგიურ პრობლემებს და განტვირთავს ქალაქს რკინგზის ტრანსპორტის მოძრაობისგან. ქალაქის განვითარებისთვის გამოთავისუფლდა 100 ჰექტარი მიწა.

„ამგვარი პროექტები ახალი სამუშაო ადგილებისა და ეკონომიკური განვითარების საწინდარია. ამის გარეშე, ეკონომიკურ განვითარებაზე ვერც ვიოცნებებთ“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2011 წლის 12 თებერვლის საპარლამენტო გამოსვლაში.

27 კილომეტრის სიგრძის ახალი ორლიანდაგიანი გზა არსებულ ხაზს ზაჰესთან გამოეყოფა, გაივლის ავჭალისა და გლდანის ტერიტორიებს, თბილისის ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობს და კახეთის არსებულ რკინიგზის ხაზს სადგურ ლილოსთან შეუერთდება.

სესიტაშვილების ოჯახის მიწას ახალი ლიანდაგის მარშრუტი სწორედ თბილისის ზღვის ამ ნაწილს შეეხო. ოჯახის კუთვნილ კაკლის პლანტაციას შემაღლებული გორაკიდან რომ შეხედოთ, შეამჩნევთ, როგორ უახლოვდება ყვითელი ესკავატორი მწვანე ნარგავებს და მიწაზე ყავისფერ, გადათხრილ ნაკვალევს ტოვებს. ზუსტად ამ ნაკვალევზე 2 წელიწადში კაკლების ნაცვლად ახალი რკინიგზა იქნება. სესიტაშვილების კუთვნილ 20 ჰექტარ კაკლის პლანტაციას ახალი რკინიგზა შუაზე გაკვეთს. პლანტაციის ქვედა ნაწილი, დაახლოებით 2 ჰექტარი ფართობის მიწა, გამოუყენებელი დარჩება.

კომპანია „საქართველოს რკინიგზა“ სესიტაშვილების ოჯახს გამოუყენებელი მიწის კომპენსაციაზე უარს ეუბნება. მიწის იმ ნაწილზე კი, სადაც უშუალოდ რკინიგზა გადის – პლანტაციის 3 ჰექტრამდე მიწაში – კვადრატულ მეტრში 6 ლარს უხდის.

სესიტაშვილების ოჯახი კომპენსაციის ოდენობას არ ეთანხმება. ისინი ერთ კვადრატულ მეტრ მიწაში 20 ლარს მოითხოვენ და სასამართლოში ჩივიან.

მიწის კომპენსაციის ოდენობა ეფუძნება შეფასებას, რომელიც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ, კომპანია „საქართველოს რკინიგზის“ დაკვეთით ჩაატარა.

სესიტაშვილების ოჯახის კუთვნილი მიწა შეაფასეს, როგორც „ხრიოკი და უნაყოფო“.

„როგორაა მიწა ხრიოკი, როცა 22 წელია ამ მიწაზე კაკლების პლანტაციას ვაშენებთ და ყოველ წელს 8 ტონა კაკალს ვიწევთ?!“ – ამბობს ლია სესიტაშვილი. 7 წელზე მეტია, რაც ოჯახი მაღალი ღირებულების მიწის გადასახადს იხდის.

უკმაყოფილო მოსახლეობის სიაშია ჯუმბერ ჯერიძეც, რომელიც მიწას თბილისის ზღვასთან ფლობს.

„ორი წელია რკინიგზის მშენებლობაზე მიდის საუბარი. მითხრეს, რომ ჩემს ვენახზე გაივლიდა და ისიც მითხრეს, რომ ვენახის დანაკარგის ხარჯებს არავინ ამინაზღაურებდა. ამის გამო, სარწყავი არხები არ გაგვიმართია და ვენახი არ მოგვირწყავს, ამიტომაც გახმა“, – ამბობს ბერიძე.

ბერიძის ნავენახარზე რკინიგზის მშენებლობა გაზაფხულზე დაიწყო. სესიტაშვილების ოჯახის მსგავსად, ჯუმბერ ბერიძის მიწაც „ხრიოკად“ შეაფასეს და ერთ კვადრატულ მეტრში 6 ლარი შესთავაზეს.

ფოტოტესტი (ციურა გვასალია)

„ძალიან დაბალი ფასია. მიწა ნოყიერია, შავი მიწაა, ნახეთ“, – ამბობს ბერიძე და ხელს მიწის გროვისკენ იშვერს, რომელიც მუშებმა ერთ ადგილას დაახვავეს. – „მე და ჩემს ძმას აქ რომ მოსავალი მოგვყავდა, სასუქს არასდროს ვიყენებდით.“

სესიტაშვილმა და ბერიძემ საქართველოს რკინიგზის წინააღმდეგ საჩივრის წერილი დაწერეს, თუმცა ისინი არა ევროპის რეკონსტურქციისა და განვითარების ბანკში, არამედ სასამართლოში ჩივიან.

საოლქო სასამართლომ კომპანია „საქართველოს რკინიგზას“ უკვე მიანიჭა ექსპროპრიაციის უფლება, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს მესაკუთრეებს ქონება ჩამოართვას.

ზაქარია ქუცნაშვილი, რომელიც სასამართლოზე 80–მდე მიწის მესაკუთრის უფლებებს იცავს, ამბობს, რომ კომპანიამ კანონი დაარღვია, როცა ქონების შეფასების აუდიტი მეორედ არ ჩაატარა, რომელსაც მას ქართული კანონმდებლობა ექსპროპრიატორად გახდომის შემდეგ ავალდებულებდა. ქვეყნის კონსტიტუცია კი მოითხოვს, რომ მესაკუთრეებმა „სამართლიანი,

კომპანია „საქართველოს რკინიგზამ“ თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწყობა ამ წლის გაზაფხულიდან დაიწყო

დროული და წინასწარი“ კომპენსაცია უნდა მიიღონ.

„ექვსი ლარი ერთ კვადრატულ მეტრ მიწაში არაა სამართლიანი ფასი“, – ამბობს ქუცნაშვილი.

მიწის ფასებთან დაკავშირებით სასამართლო პროცესის პირველი მოსმენა 2011 წლის სექტემბრისთვისაა დაგეგმილი.

მიუხედავად იმისა, რომ მიწის ფასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა, „საქართველოს რკინიგზამ“ მიწის მესაკუთრეებს კომპენსაცია, ერთ კვადრატულ მეტრში 6 ლარის გაანგარიშებით, უკვე დაურიცხა ნოტარიუსს.

სესიტაშვილებმა წერილი 2011 წლის აპრილში მიიღეს, სადაც აფრთხილებდნენ, რომ კომპენსაციის თანხა აეღოთ. ოჯახი დათანხმდა კომპენსაციის ნაწილის აღებას, თუმცა სექტემბერში კვლავ განაგრძობს ბრძოლას ერთ კვადრატულ მეტრ მიწაში 20 ლარის მოთხოვნით.

„ის ფაქტი, რომ მიწის მესაკუთრეებმა თანხა აიღეს, არ ნიშნავს, რომ მათ კანონი დაარღვიეს. ეს მათ ხელს არ უშლის, რომ სამართლიანი ფასის მოთხოვნისთვის ბრძოლა გააგრძელონ“, – განმარტავს ზაქარია ქუცნაშვილი.

„როდესაც კომპენსაციის ოდენობაზე შეთანხმება ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, თანხის გადმორიცხვა არ ნიშნავს, რომ კომპანიას თავისი მოვალეობა შესრულებული აქვს“, – ამბობს ლიკა წიკლაური, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი.

„ორი წელია რკინიგზის მშენებლობაზე მიდის საუბარი. მითხრეს, რომ ჩემს ვენახზე გაივლიდა და ისიც მითხრეს, რომ ვენახის დანაკარგის ხარჯებს არავინ ამინაზღაურებდა. ამის გამო, სარწყავი არხები არ გაგვიმართია და ვენახი არ მოგვირწყავს, ამიტომაც გახმა“.

დარიუშ პრაზეკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის უფროსი, 2011 წლის მაისში აღნიშნავდა, რომ აუდიტორების მიერ გამოტანილი დასკვნები ბანკსა და კომპანიას შორის მოლაპარაკების საფუძველი უნდა გახდეს.

„ვეცდებით, ისეთი გამოსავალი ვიპოვოთ, ყველა მხარეს რომ აწყობს“, – აღნიშნავდა პრაზეკი.

„თავიდან, როდესაც ეს პროექტი შევაფასეთ, ვიფიქრეთ, რომ კარგი იდეაა. გარემოსთვის საშიში ტვირთის ქალაქის ცენტრიდან გარეუბანში გადატანა, ზოგადად, დადებითი მოვლენაა. მაგრამ ასეთი დონის პროექტებს მუდმივად თან სდევს პრობლემები“, – თქვა პრაზეკმა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტს სექტემბერში მოუწევს ყველა ამ პრობლემის ახლიდან შესწავლა და 100 მილიონიანი სესხის მიზანშეწონილობა სწორედ ამის შემდეგ გადაიხედება.

„საქართველოს რკინიგზაში“ კი „ლიბერალის“ კითხვები უპასუხოდ დატოვეს.

ტურიზმი

ტურიზმის პოლიტიკა

ქვეყანას, რომელიც მსოფლიო ტურისტულ გიგანტს – თურქეთს ესაზღვრება, საკმაოდ ბევრი ფიქრი მოუწევს იმაზე, თუ რა შესთავაზოს ტურისტებს.

მანანა ვარდიაშვილი

ფოტო: გიორგი ბუზაძე

ორიოდე კვირის წინ, ბათუმში სასტუმრო Radisson Blu–ს გახსნის ცერემონიაზე მიხეილ სააკაშვილი ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“ დაბეჭდილ სტატიას გამოეხმაურა, რომელშიც ხელისუფლების არქიტექტურულ-ურბანული პოლიტიკა იყო გაკრიტიკებული.

„ვაი შენს პატრონს!..“ – მიმართა გაბრაზებულმა პრეზიდენტმა სტატიის ავტორს.

სოციალურ ქსელებში ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილნი წერდნენ, რომ პრეზიდენტი მტკივნეულად განიცდის, როცა მშენებლობებს აკრიტიკებენ, რადგან „ჰგავს ბავშვს, რომელმაც ლეგოს კონსტრუქტორით სახლი ააშენა და ვიღაცებმა უთხრეს, შენი სახლი არ ვარგაო“.

საქართველოს ტურისტულ მარგალიტად გადაქცევა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყველაზე ამბიციური იდეაა, რომელიც მან პრეზიდენტობის პირველივე დღიდან ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა.

„ტურიზმი არის საშუალება, ყველაზე მოკლე ვადებში გამოვაცოცხლოთ ეკონომიკა. ჩვენი გეგმა ამბიციურია, მაგრამ ჩვენ მას აუცილებლად შევასრულებთ. 2015 წლისთვის საქართველოში 5 მილიონი ადამიანი ჩამოვა“, – განაცხადა სააკაშვილმა პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლისას.

განახლებული სიღნაღი; ქუთაისისა და მცხეთის რესტავრირებული ძველი უბნები; მესტიასა და აჭარაში ახალი სამთო-სათხილამურო კომპლექსები; გუდაურში ახალი საინვესტიციო პროექტები; სათაფლიისა და პრომეთეს გარემონტებული მღვიმეები; დაუჯერებლად სახეშეცვლილი ბათუმი; აქამდე ყველასგან მივიწყებული პატარა სოფელი ანაკლია, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე ახალ კუ-

სიღნაღი

რორტად უნდა იქცეს – ეს იმ პროექტების არასრული სიაა, რომელთა განხორციელება რეკორდულად მოკლე დროში მოესწრო.

თუმცა სპეციალისტები, რომლებიც ამ პროცესს აკვირდებიან, მთავარ პრობლემას სწორედ ამ პროცესის სისწრაფეში და მის აშკარა სპონტანურობაში ხედავენ. მათი თქმით, ქვეყანას, რომელსაც ტურიზმის განვითარების ამბიცია აქვს და ამ ბიზნესში საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავს, განვითარების გრძელვადიანი, თანმიმდევრული გეგმა არ გააჩნია და პროცესს პოლიტიკური ელფერი აქვს, რადგან მას უშუალოდ ქვეყნის პირველი პირი ხელმძღვანელობს.

ბოლო წლებში საქართველოში არ აშენებულა არცერთი დიდი სასტუმრო, რომლის გახსნასაც სააკაშვილი პირადად არ დასწრებია. ასეთი პრეზენტაციები, როგორც წესი, პირდაპირ ეთერში გადაიცემა ხოლმე და პოლიტიკური განცხადებების მიზეზი ხდება. რა თემაზეც უნდა საუბრობდეს პრეზიდენტი – ოპოზიციის უნიათობაზე, რუსულ საფრთხესა თუ ინფლაციის მაღალ მაჩვენებელზე, მის ყველა გამოსვლაში ტურისტული პროექტების ხსენება თითქმის აუცი-

საქართველოს ტურისტულ მარგალიტად გადაქცევა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყველაზე ამბიციური იდეაა, რომელიც მან პრეზიდენტობის პირველივე დღიდან ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა.

ლებელ შემადგენელ ნაწილად იქცა. „როგორი დაბრმავებული უნდა იყო, რომ ვერ დაინახო როგორ ვითარდება საქართველო“, – ამ ფრაზას იგი ხშირად იმეორებს, როცა რომელიმე ახალ ტურისტულ ობიექტს ხსნის. ახლადაშენებულ სასტუმროებს პრეზიდენტი ხშირად უწოდებს „ისტორიულ მოვლენას“, „ქვეყნის განვითარების სიმბოლოს“, „რუსეთის აგრესიაზე ღირსეულ პასუხს“.

გასულ წელს ჟურნალ ჟურნალ GQ -სთვის მიცემულ ინტერვიუში კი პრეზიდენტმა, რამდენჯერმე იამაყა იმით, რომ პირადადაა ჩართული ბათუმის მშენებლობის პროცესში: „ახლა მე თქვენ განახებთ სახლს, რომლის ფასადიც მე თვითონ დავხატე. შევაგროვე ყველა ჩემი საყვარელი არქიტექტურული ელემენტი და ამ სახლის ყველა ფანჯარა, ყველა აივანი სხვადასხვანაირად გავაკეთე“.

ბათუმი საქართველოს ტურისტული მომავლის მთავარი პროექტია. ის, ვინც ამ ქალაქში ორიოდე წელი არ ყოფილა, მას დღეს ვერ იცნობს. ზამთარ-ზაფხულ აქ ამწეების გუგუნი ისმის, ზღვის ჰაერს კი ცემენტისა და გაჯის სუნი სჭარბობს – ბათუმში ნამდვილი სამშენებლო ბუმია.

„მინდა გითხრათ, დღესაც ბათუმი მთელი რიგი კომპონენტებით ნიცას უკვე სჯობია და ორ–სამ წელიწადში ყველა პარამეტრით ჩაისვამს ჯიბეში ნიცასაც და კანსაც“, – განაცხადა სააკაშვილმა ივლისში ბათუმში სასტუმრო „რედისონის“ გახსნისას. „რედისონი“ რიგით მეორე მაღალი კლასის სასტუმროა „შერატონის“ შემდეგ, რომელიც ბათუმში ბოლო წლებში გაიხსნა.

პრეზიდენტმა თქვა, რომ ბათუმში სხვა საერთაშორისო ბრენდებიც შემოდის – როგორიცაა Holiday Inn, Kempinski, Novotel, Hilton, Conrad, Ritz-Cariton.

მიუხედავად ამ სამშენებლო ბუმისა, საშუალო შეძლების მქონე დამსვენებლები ამბობენ, რომ მათთვის აჭარაში ბევრი არაფერი შეცვლილა, რადგან ახლად აშენებული სასტუმროები სიძვირის გამო ხელმისაწვდომი არ არის და მხოლოდ ვიზუალური დატვირთვა აქვს.

„ბათუმი ძალიან გალამაზებულია, თვალს უხარია, მაგრამ დასვენების მხრივ აქ უკეთესი სიტუაცია არ არის. შევარდნაძის დროსაც „კოიკას“ ვქირაობდი და ახლაც „კოიკას“ ვქირაობ. პატარა სასტუმროები სეზონზე სულ გადაჭედილია, თანაც მაინც ძვირი გამოდის იმ სერვისთან შედარებით, რასაც გთავაზობენ. სულ თურქეთს ვადარებ, სადაც სამი წლის წინ დავისვენე – ძალიან მაგარი სერვისი აქვთ, ამიტომ აჭარაში ბევრი ფულის დახარჯვა ძალიან მენანება,“ – ამბობს 28 წლის თბილისელი თეა ყუფუნია.

ტურისტული ინდუსტრიის განვითარების შემაფერხებელ მთავარ ფაქტორებად ექსპერტებს ქვეყანაში კონფლიქტური ზონების არსებობა მიაჩნიათ. ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას ძვირი საბანკო კრედიტი, 2-3-ვარსკვლავიანი სასტუმროების არარსებობა და ავიაბილეთების მაღალი ფასიც აფერხებს.

ქვეყანას, რომელიც მსოფლიო ტურისტულ გიგანტს – თურქეთს ესაზღვრება, საკმაოდ ბევრი ფიქრი მოუწევს იმაზე, თუ რა შესთავაზოს ტურისტებს.

დავოსის ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველოს ტურიზმის განვითარების დონით 134 ქვეყანას შორის 73-ე ადგილი უკავია. ამ რეიტინგში თურქეთი 50-ე ადგილზეა. სწორედ თურქეთია რეგიონში საქართველოს მთავარი კონკურენტი.

საქართველოსგან განსხვავებით, თურქეთი, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ტურისტულ სფეროში, მომხმარებელს სერვისის მაღალ ხარისხს და დაბალ ფასს სთავაზობს. ამ მომგებიანი კომბინაციის წყალობით არათუ უცხოელი, ხშირად ქართველი დამსვენებელიც არჩევანს მეზობელი თურქეთის იაფი და კომფორტული კურორტების სასარ-

ვინ ჩამოდის საქართველოში

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საქართველოში ჩამოსული ტურისტების 54% ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის შესახებ გადაწყვეტილებას მეგობრებისა და ნათესავების რჩევის შედეგად იღებს. ტურისტების 30% გადაწყვეტილებას წინა ვიზიტებზე დაფუძნებით იღებს. ვიზიტორთა 10 პროცენტი საქართველოს შესახებ ინფორმაციას ინტერნეტის მეშვეობით იღებს. ტურისტების დანარჩენი ნაწილი ინფორმაციას სხვადასხვა მედია საშუალებით, ტურისტული სააგენტოების მეშვეობით და საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობებიდან იღებს. საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტების 32% ქვეყანას დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით სტუმრობს. ტურისტების 28% ბიზნეს-ვიზიტორია – ისინი საქართველოში კონფერენციებზე და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის მიღების მიზნით ჩამოდიან. ტურისტების 24% საქართველოში მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად ჩამოდის. საქართველოში ჩამოსული ტურისტი საშუალოდ 1590 აშშ დოლარს ხარჯავს.

ტურიზმის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 4 პროცენტია.

2010 წელს სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში 34 506 151 აშშ დოლარის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა.

გებლოდ აკეთებს.

ექსპერტთა შეფასებით, დასვენების ტურიზმის სფეროში უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო თურქეთს კონკურენციას ვერ გაუწევს, რადგან ტურიზმი მაშინ არის მომგებიანი, როცა ქვეყანა იმპორტზე ნაკლებადაა დამოკიდებული და თავს ადგილობრივი წარმოებით ირჩენს. ეს ფაქტი თავად პრეზიდენტმაც აღიარა: „თუ ჩვენ არ გავზარდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გაზრდილი ტურიზმის პირობებში სოფელი, პრაქტიკულად, ვერ იხეირებს. რეალურად, საკუთარ თავსაც ვერ გამოვკვებავთ, აღარაფერს ვამბობ 3 მილიონ ტურისტზე, რომელსაც ველოდებით. მათ შემოაქვთ ფული, რომლის გარკვეული ნაწილი სასტუმროებსა და მათ მომსახურებაზე დაიხარჯება, მაგრამ დანარჩენი ნაწილი წავა ისევ რომელიმე მეზობელ ქვეყანაში, საიდანაც პროდუქტები უნდა შემოვიტანოთ“.

ეკონომიკური ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ქვეყნის განვითარების მთავარ პრიორიტეტად ტურისტული ინდუსტრიის განვითარების დასახვა შეცდომაა, რადგან თუ ქვეყანაში არ განვითარდა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ძვირადღირებული ტურისტული პროექტები მხოლოდ წამგებიანი გახდება.

„მსოფლიო პრეცედენტებით ვიმსჯელოთ: ესპანეთმა და საბერძნეთმა მთავარ პრიორიტეტად ტურისტული ინდუსტრიის განვითარება დაისახეს. დღეს ეს ორივე ქვეყანა უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაშია. ტურისტები კი ყველაზე დიდი რაოდენობით საფრანგეთსა და აშშ-ში ჩადიან. არც საფრანგეთის და არც აშშ-ის ეკონომიკა ტურიზმის სფეროდან მიღებულ შემოსავალს არ ეყრდნობა. ტურიზმი ამ ქვეყნებს მხოლოდ ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვაში ეხმარება და უფრო სარეკლამო-მარკეტინგული საშუალებაა, ვიდრე ეკონომიკის ქვაკუთხედი. ტურიზმი ძალიან ხანგრძლივი ბიზნესია და მისი უკუგების ხარისხი ძალიან დაბალია,“ – ამბობს ეკონომიკის ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე:

სვანეთი, მესტია

ფოტო: ეთერ ბარიშვილი

ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი, გააზრებული გეგმა რომ არ არსებობს, ამის კარგ მაგალითად კრიტიკოსებს სიღნაღი მიაჩნიათ – „სიყვარულის ქალაქი“ – რომელიც რამდენიმე თვეში მოუვლელი, ყველასგან დავიწყებული ქალაქიდან ქვეყნის მთავარ ტურისტულ ობიე-

ექსპერტთა შეფასებით, დასვენების ტურიზმის სფეროში უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო თურქეთს კონკურენციას ვერ გაუწევს.

ქტად იქცა. დღეს სიღნაღის გაპრიალებული, კოხტა ქუჩები თითქმის ცარიელია, რადგან მეორედ იქ დაბრუნების მოტივაცია ტურისტებს არა აქვთ:

„აქ ქორწინების გასაფორმებლად თუ ჩამოდიან. ქალაქს სხვა დატვირთვა და ფუნქცია, ფაქტობრივად, არ აქვს. სასტუმრო ისეთი ძვირია, ცხვირს ვერ შეყოფ. სხვადასხვა სახის ტურები და ღონისძიებები თუ არ მოეწყობა, ჩვენთვის – ადგილობრივი მოსახლეობისთვის რეაბილიტირებულ სიღნაღს არანაირი სარგებელი არ ექნება, რადგან აქ არავინ მოვა“, – ამბობს სიღნაღელი თამარ ბეიტრიშვილი.

იმის გამო, რომ ტურისტული ობიექტების აღდგენა მშენებლობა ზევიდან ქვემოთ ხდება და ამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობა და მცირე ბიზნესი არ არის ჩართული, ელიტური დასვენების ადგილებად იქცა კახეთის ახალი კურორტები – ყვარლის ტბა და ლოპოტა.

საქართველო, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი და ახალი ბრენდი, საერთაშორისო ბაზარზე პირველად 2007 წელს გავიდა.

„რას ეძებთ თქვენ ამ ზაფხულს? დახვეწილ ევროპას, სუნთქვისშემკვრელ ზღვის სანაპიროებს, თანამედროვე ინფრასტრუქტურას, გიჟურ ღამის ცხოვრებას, ველურ ბუნებას, აბსოლუტურ რელაქსაციას, ეგზოტიკურ კულტურას? ან იქნებ ამ ყველაფერს ერთად? – ეს არის ზაფხული საქართველოში, რომლითაც თქვენ აღფრთოვანდებით“ – სარეკლამო კლიპი, რომელიც ტურისტებს საქართველოში ეპატიჟება უკვე რამდენიმე თვეა ტელეკომპანია „სი ენ ენ“ -ზე ტრიალებს.

მსგავსი კლიპების მომზადება და საქართველოს, როგორც ტურისტული ბრენდის მსოფლიოსთვის გაცნობა, საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, რომელზეც საქართველოს ხელისუფლება უარს არ ამბობს.

მეტი ინვესტიციის მოზიდვის მიზნით, შეიცვალა კანონმდებლობაც. ანაკლია-ზუგდიდი და ქობულეთი თავისუფალ ტურისტულ ზონებად გამოცხადდა და ინვესტორები, რომლებიც აქ ფულს ჩადებენ, 15 წლის განმავლობაში ქონების და საშემოსავლო გადასახადებისგან თავისუფლდებიან. სასტუმროების პროექტსა და სამშენებლო ნებართვებს სახელმწიფო უფასოდ გადასცემს. ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასაც საკუთარ თავზე სახელმწიფო იღებს. ის, ვინც ანაკლია-ზუგდიდის თავისუფალ ტურისტულ ზონაში 100-ზე მეტი ნომრის მქონე სასტუმროს ააშენებს, კაზინოს ლიცენზიას უფასოდ მიიღებს. ხოლო ის ვინც, სვანეთში სასტუმროს ააშენებს, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მიწას სიმბოლურ ფასად – 1 ლარად მიიღებს.

რა თანხები იხარჯება ტურისტული პროექტების ასაშენებლად, ეს ინფორმაცია გამჭვირვალე არ არის და შესაბამისად, ამ პროცესებზე საზოგადოებრივი კონტროლი მინიმალურია. არც ის არის ცნობილი, რა ფინანსური წვლილი შეაქვს ამ პროცესებში თავად სახელმწიფოს. რა დაუჯდა ადგილობრივ ბიუჯეტს ბათუმის პიაცას მოწყობა, მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც იგი აუქციონზე გასაყიდად გაიტანეს. ობიექტი, რომლის ასაშენებლად ბიუჯეტიდან 11 მილიონი ლარი დაიხარჯა, სახელდახელოდ დარეგისტრირებულმა უცნობმა კომპანიამ მხოლოდ 8 მილიონად შეიძინა.

ქვეყანაში, სადაც 12 000 ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი, 2400 მინერალური სამკურნალო წყარო, 150 მუზეუმი, 182 კურორტი, 19 ნაკრძალი და 7 ეროვნული პარკია – მრავალფეროვანი ტურიზმის განვითარების კარგი საფუძველი არსებობს.

საბჭოთა დროს, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე არანაკლებ პოპულარული ქართული სამკურნალო კურორტები იყო.

საქართველოში, სადაც მსოფლიოში არსებული ყველა სამედიცინო პროფილის კურორტია, სამკურნალო ტურიზმი თითქმის ჩამკვდარია. ბორჯომი, წყალტუბო, საირმე, ნაღვერი და სხვა ცნობილ სამკურნალო კურორტებზე მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა ჩადის და გაუმართავი ინფრასქტრუქტურისა და სერვისის გამო, როგორც წესი, იქიდან უკმაყოფილო ბრუნდება.

2010 წელს საქართველოს კურორტებზე მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით უცხოელი ტურისტების მხოლოდ 1% იყო ჩამოსული. მკურნალობის მიზნით ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 9%–მა იმოგზაურა. ქართული ტურისტული სააგენტოების უმრავლესობა, ცუდი ინფრასტრუქტურის გამო ტურისტებს სამედიცინო ტურებს არც კი სთავაზობს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიაში ტურიზმის საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორი მარინა მეტრეველი ამბობს, რომ საქართველოში არც აგრარული ტურიზმის პოტენციალია ათვისებული და გამოყენებული: „საქართველოს ტერიტორიის 2/3 სოფელს

თბილისი - ტურისტების საყვარელი ადგილი

ვიზიტორთა რაოდენობის მხრივ, ტურისტულ ადგილებს შორის საქართველოში თბილისი ლიდერობს. თბილისს ტურისტების 75% სტუმრობს. მას მცხეთა და ბათუმი მოსდევს.

ტურიზმის სტატისტიკა

2003 წელი – 313 442 ტურისტი
2004 წელი – 368 312
2005 წელი – 560 021
2006 წელი – 983 114
2007 წელი – 1 051 779
2008 წელი – 1 290 107
2009 წელი – 1 500 049
2010 წელი – 2 320 586
2011 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში საქართველოს 1 108 914 ტურისტი ესტუმრა. რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 45 პროცენტით მეტია.

ბათუმი

ფოტო: ბოგდანა ბუზარიკი

უკავია. ფოლკლორი, წყალი, ბუნება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, სამკურნალო მცენარეები, ყველაფერი გვაქვს ეკოტურიზმის გასავითარებლად. ვერ წარმოიდგენთ, ეს როგორ ფასობს დღეს მთელ მსოფლიოში! თუმცა არ გვაქვს სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით. არ არსებობს ქსელი, რუკა და კოორდინაცია უწყებებს შორის. რაჭაში რამდენიმე ოჯახმა საოჯახო სასტუმრო მოაწყო. ხალხი დაიხარჯა, მაგრამ იქ არავინ ჩადის, რადგან პოტენციურ ტურისტს არ აქვს ინფორმაცია, სად, ვისთან და როგორ უნდა ჩავიდეს. სასოფლო ტურიზმის განვითარება კარგი შანსია იმისთვის, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ტურისტულ ინდუსტრიაში ჩაერთოს და სიღარიბიდან ამოვიდეს."

2011 წელს საქართველოში 3 მილიონი ტურისტის ჩამოსვლას ელიან.

„3–მილიონიანი გეგმა, რა თქმა უნდა, ამბიციური განაცხადია. მაგრამ ჩვენ უნდა დავისახოთ ამბიციური გეგმები, რომ შედეგის მიღწევა შევძლოთ", – ამბობს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე მაია სიდამონიძე.

აშკარაა, რომ ტურისტული ცენტრები დიდი რაოდენობის ტურისტების მასპინძლობისთვის მზად არ არის. მაგალითად, სვანეთში, რომელიც პრეზიდენტის ახალი საკურორტო პროექტია, საოჯახო ტიპის სასტუმროთა უმეტესობა შესაბამის სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს, რადგან მათი მფლობელები უსახსრობის გამო სველი წერტილების გაკეთებას ვერ ახერხებენ. მესტიაში ნაგავსაყრელი არ არსებობს – საყოფაცხოვრებო ნარჩენები პირდაპირ ხევებსა და მდინარეში იყრება. ასევე ცუდ მდგომარეობაშია გზა, რომელიც ახლა რეაბილიტაციის პროცესშია. მიმდინარე სამუშაოების გამო ის ხშირად იკეტება, რაც ტურისტებს დისკომფორტს უქმნის. მოუგვარებელია წყლის, კანალიზაციისა და შიდა გზების პრობლემაც. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა მხოლოდ სვანეთის თავისტკივილი არ არის. ასეთ პირობებში, ხელისუფლებას ბევრად მეტი სამუშაოს გაწევა მოუწევს, რადგან საქართველოდან უკმაყოფილოდ წასული ტურისტის დაბრუნება, ბევრად უფრო რთული საქმე იქნება.

„ბათუმი ძალიან გალამაზებულია, თვალს უხარია, მაგრამ დასვენების მხრივ აქ უკეთესი სიტუაცია არ არის. შევარდნაძის დროსაც „კოიკას" ვქირაობდი და ახლაც „კოიკას" ვქირაობ".

თვალსაზრისი

ურბანული ღირსშესანიშნაობები

ქალაქებისგან ტურისტული სანახაობების მოწყობა კარგი იდეაა, ოღონდ მთავარია, ამ პროცესში არ დავარღვიოთ ბალანსი ბუნებრივ ისტორიულ გარემოს, მოსახლეობას და მათი ქმედების არეალს შორის.

კოკა ამირეჯიბი, არქიტექტორი

ფოტო თეგი ბარძიმაშვილი

ისტორიული, გამორჩეული არქიტექტურის მქონე ქალაქების რეკონსტრუქციის პროცესი ჩვენთან 2005-06 წლებში დაიწყო და ახლაც გრძელდება. სახელმწიფო უზარმაზარ თანხებს გამოჰყოფს ახალი მშენებლობებისა და ისტორიული მემკვიდრეობის აღდგენისთვის. ეს დადებითი პროცესია – თუკი, წლების მანძილზე ამ სფეროში არაფერი კეთდებოდა, ახლა ერთდროულად ბევრი პროექტი მიმდინარეობს. თუმცა, ამ ყველაფერს ერთდროულად ვერც მხოლოდ დადებით და ვერც მხოლოდ ნეგატიურ ძვრებს ვუწოდებთ. ამ ცვლილებებს გააზრება სჭირდება და, რაც მთავარია, საზოგადოების მხრიდან მეტი ჩართულობა, რადგან ახლა, ძირითადად, მხოლოდ სახელმწიფო აქტიურობს, ის გეგმავს და ის აკეთებს, ინფორმაციის საჯაროობა, პროექტების განხილვა, ექსპერტებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა კი, ჩემი აზრით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მაშინ ხდება აქტუალური, როცა გვსურს, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობითა და ახალი ურბანული პროექტებით ტურისტებს მოვაწონოთ თავი. ამ

პროცესში მთავარია, მოვინდომოთ და ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე – როგორ უნდა შევქმნათ ახალი სანახავი ადგილები ქალაქში ისე, რომ მისი ისტორიული არქიტექტურული ღირებულება არ დავჩრდილოთ.

ამ მხრივ, ვფიქრობ, ურთიერთსაწინააღმდეგო შთაბეჭდილებებს იწვევს თბილისის ახალი ხიდი რიყეზე. ეს ხიდი, თავისთავად ლამაზია, თანამედროვე ნაგებობა, თანამედროვე ტექნოლოგიებით გაკეთებული. ამიტომ მგონია, რომ ის უცხოელი ტურისტებისთვის პრაქტიკულად ატრაქციონადაც იქცა. ისინი მიდიან ხიდზე და ამ თანამედროვე ნაგებობიდან უყურებენ ძველ თბილისს.

თუმცა, წმინდა ურბანული თვალსაზრისით, ხიდი საერთო ლანდშაფტისთვის შეუფერებელი მეჩვენება. ის უფრო მოკრძალებული ზომის უნდა ყოფილიყო, რათა არ დაეჩრდილა მეტეხი, ნარიყალა, დარეჯანის სასახლე, სიონი და ბარათაშვილის აღმართი. ეს კი ზედმეტად აქტიურობს და ამიტომ ცოტათი თრგუნავს კიდეც ისტორიულ გარემოს.

არა მგონია, თბილისის მოსახლეობას, ანდა ტურისტებს მოსწონდეთ ის კიტჩური ელემენტები, რომლებიც ზოგიერთი აღდგენილი თუ ახლად დაპროექტებული შენობის შემთხვევაში გვხვდება. მაგალითად, ბარათაშვილის ხიდის კუთხეში მდგარ შენობას, რომელსაც ძეგლის სტატუსი აქვს, საერთოდ არ სჭირდებოდა ხელოვნურად გალამაზება და თავზე გუმბათის დადგმა. ნაჩქარევი მეჩვენება ნარიყალას უბნის რეაბილიტაციაც, რადგან ეს სახლები ძალიან დაემსგავსა ერთმანეთს. არის კიდევ უფრო მწვავე მაგალითებიც, რომლებიც თბილისს, როგორც ტურისტული დანიშნულების წერტილს, ძალიან აკლდება. მაგალითად, იმელის შენობის გაურკვეველი ბედი, მირზა შაფის ქუჩის ნგრევა, პირველი სკოლის უკან აშენებული უზარმაზარი საცხოვრებელი სახლი. არადა, ეს იყო ადგილი, საიდანაც, ილიას და აკაკის ძეგლის გასწვრივ, ყოველთვის ჩანდა მთაწმინდა და მადავითი. ახლა კი ამ ხედის ნაცვლად აბსოლუტურად გაურკვეველი სილუეტი შეიქმნა.

სწორედ იმიტომ, რომ უკვე გვაქვს მსგავსი მაგალითები, ვფიქრობ, საჭიროა, უფრო მეტი გავიგოთ იმ პროექტების შესახებ, რომლებიც თბილისში ახლა უნდა განხორციელდეს. მაგალითად, რა მოხდება ჯავახიშვილის დაღმართზე, ანდა ყოფილი მხატვრის სახლის ტერიტორიაზე?

არა მგონია, თბილისის მოსახლეობას, ანდა ტურისტებს მოსწონდეთ ის კიტჩური ელემენტები, რომლებიც ზოგიერთი აღდგენილი თუ ახლად დაპროექტებული შენობის შემთხვევაში გვხვდება. მაგალითად, ბარათაშვილის ხიდის კუთხეში მდგარ შენობას, რომელსაც ძეგლის სტატუსი აქვს.

იგივე სტრატეგიაა საჭირო ბათუმში – ქალაქში, სადაც კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს მშენებლობისა და ძველი შენობების რეკონსტრუქციის პროცესი. ფაქტია, რომ იქ ბევრი რამ გამოვიდა ზედმეტად მანერისტული, ეკლექტური მაშინ, როცა ბათუმი ასეთი არასდროს ყოფილა. ამ ქალაქს ძალით გალამაზება არ სჭირდებოდა, მას ისედაც ფანტასტიკური არქიტექტურა გააჩნდა. ახლა კი იქმნება ვითომ ახალი წარსული, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ აწმყოა. ამიტომ მგონია, რომ ტურისტი არ მოტყუვდება ამ ეკლექტიკითა და ახლად შექმნილი სიძველეებით. მას ორიგინალური, ავთენტური სიძველეების დათვალიერება სურს და არა შენობების, რომლებიც გენეტიკურად იმ კონკრეტულ გარემოს არ ეკუთვნის.

ჩემთვის სიძველის არომატი დაკარგა სიღნაღმაც – ქალაქმა, სადაც ახალი ძალების მოსინჯვა პირველად დაიწყეს. ზოგადად, ცხადია, კარგია ეს კომპლექსური რეკონსტრუქცია რომ განხორციელდა, მაგრამ მთელ გარემოს ახლად გაკეთებულის იერი დაეტყო. იგივე მოხდა მცხეთაშიც, გაჩნდა რეაბილიტირებული სახლები, მაგრამ ისინი ისე დაემსგავსნენ ერთმანეთს, რომ საერთოდ დაიკარგა სიძველის შეგრძნება და ყველაზე თვალშისაცემი ტურისტისთვის ამ ისტორიული დასახლებების ერთფეროვნება გახდა. არადა, თავისუფლად შეიძლებოდა არც მცხეთას და არც სიღნაღს ისტორიული სიღრმე არ დაეკარგა, ამას პროექტის ავტორები სხვადასხვა ფერის, ტონის კედლის მოპირკეთებით, სხვადასხვა მასალის კრამიტის გამოყენებით შეძლებდნენ და მივიღებდით „ხალიჩას“ და არა ამ ერთფეროვნებას.

ამიტომ მგონია, რომ მთლიანობაში დადებით ტენდენციას – ძველის აღდგენასა და ახლის შენებას – კიდევ უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. სასურველია მეტი დისკუსია, მეტი წინასწარი განხილვა უსწრებდეს წინ თითოეულ გადაწყვეტილებას, რათა არ დავარღვიოთ ძალიან ფაქიზი ბალანსი ბუნებრივ ისტორიულ გარემოს, მოსახლეობასა და მათი ქმედების არეალს შორის. მაგალითად, ბათუმში ამის გაკეთება სამგზავრო ტურისტული ხომალდებისა და ლაინერების გააქტიურებით შეიძლება. თუ რეგულარული მისვლა-მოსვლა გააქტიურდება, სულ სხვა იერსახეს მიიღებს ეს საპორტო ქალაქი და დაიბრუნებს იმ ძველ იდეასაც, რაც მისი დაარსების საფუძველი გახდა. ტურისტული თვალსაზრისით, თბილისს არანაკლებ წაადგება ფუნიკულიორისა და საბაგირო გზის აღდგენა – ტრადიციის, რომელიც დედაქალაქის იდენტობას წლების განმავლობაში განსაზღვრავდა.

თვალსაზრისი

ჩუ აჩრიუ საქართველოს ინოვაციური ტურიზმის დასანერგად

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ბოლო ანგარიშის თანახმად, წლის ბოლომდე ყველაზე მასშტაბურ ზრდას იმ ქვეყნებში უნდა ველოდოთ, რომლებიც ახლა ჩნდებიან ტურისტულ რუკაზე. როგორ გამოიყურება საქართველოს რეალური მიღწევები ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე და რამდენად თანმიმდევრულია ბოლო დროს განხორციელებული ტურისტული პროექტები.

კობა არაბული, ტურიზმის მენეჯმენტის, რეგიონალური განვითარებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეროვნული უნივერსიტეტის დირექტორი

ცოტა ხნის წინ ექსპერიმენტი ჩავატარეთ და 15 სხვადასხვა კომპონენტით დავოსი და შოვი შევადარეთ ერთმანეთს. თითქმის 15-ივე ასპექტში შვეიცარიის ამ ცნობილ კურორტს შოვმა აჯობა. თუმცა დავოსი მაინც დავოსია – მსოფლიო ცენტრი; ადგილი, სადაც „დიდი რვიანი" იკრიბება და სხვა მსოფლიო დონის ღონისძიებები ტარდება, ეს კი შოვია, სადაც საბჭოთა კავშირის დროს რაც იყო, ისიც კი აღარ არის შემორჩენილი – მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კურორტი შეიძლება, მსოფლიოში მეორე ვერც ნახო. აი, მაგალითად, შოვის ნებისმიერ ხეობაში 20-მეტრიანი

მონაკვეთი რომ მონიშნოთ და მიწას სულ 5-ჯერ ჩაარჭოთ ბარი, 5-ჯერვე წყალი ამოასხამს, თანაც სულ სხვადასხვაგვარი. თუმცა, შოვი მაინც ვერ გახდება დავოსი, ვიდრე იქ არ გვექნება გზა, ინფრასტრუქტურა და კომფორტი, რაც დასვენებას სჭირდება. რაც მთავარია, შოვი ვერ გახდება ცნობილი, ვიდრე იქ არ იცხოვრებენ გაღიმებული და ბედნიერი რაჭველები, რომელთაც არ აწუხებთ მწვავე სოციალური პრობლემები და აქვთ ტურისტების გასამასპინძლებლად საჭირო განათლებაც და მზაობაც.

მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი ტოვებს საკუთარ

პოლონეთმა ბრწყინვალე სასოფლო ტურიზმი შექმნა, ჩამოაყალიბა აგრო და ეკო ტურიზმის კონცეფცია. და დღეს იქ ჩასული ტურისტების დიდი ნაწილი სწორედ პოლონურ სოფლებს უქმნის ფეხზე დადგომის საშუალებას.

ქვეყანას და ახალი შთაბეჭდილებების დასაგროვებლად უცხო ქვეყანაში მიდის. მხოლოდ 2011 წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში საერთაშორისო მასშტაბით ტურისტების რაოდენობამ 268 მილიონს მიაღწია. ვიზიტორების სიჭარბით წლის პირველ ნახევარში ევროპის ქვეყნები გამოირჩეოდა, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ბოლო ანგარიშში გამოთქმული ვარაუდის თანახმად კი, წლის ბოლომდე ყველაზე უფრო მასშტაბურ ზრდას ტურიზმის სექტორში იმ ქვეყნებში უნდა ველოდოთ, რომლებიც ახლა ჩნდებიან ტურისტულ რუკაზე.

ამ ფონზე საინტერესოა, როგორ გამოიყურება საქართველოს რეალური მიღწევები ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე და რამდენად საკმარისი და თანმიმდევრულია საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო დროს განხორციელებული ტურისტული პროექტები.

ცხადია, ახალი ღირსშესანიშნაობების შექმნისა და კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის გარეშე, ასევე სასტუმროების ინფრასტრუქტურის დახვეწის გარეშე, არაფერი გამოვა. თუმცა, შეუძლებელია, უკონტექსტოდ განვავითაროთ ტურიზმი და პარალელურად და წინმსწრებად არ ვიზრუნოთ სოფლის მეურნეობაზე, კვების მრეწველობაზე, სუვენირების წარმოებასა და სხვა დარგებზე. თუ ქვეყნის ეკონომიკურმა მანქანამ გამართულად არ იმუშავა, გამოვა, რომ ჩვენთან ჩამოსული ტურისტისთვის საინტერესო დავრჩებით, როგორც მხოლოდ უნიკალური ძეგლი, უნიკალური ნამარხი, თავისი ისტორიული ღირებულებით, მაგრამ არა, როგორც მზარდი, განვითარებადი და ინოვაციებზე ორიენტირებული ტურისტული დანიშნულების წერტილი.

მაგალითის აღება თუნდაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისგან შეიძლება, რომლებმაც კარგად ისარგებლეს თავიანთი სტრატეგიული მდებარეობით, იმით, რომ ევროპული ოჯახის წევრები არიან და ტურიზმის სექტორში სულ უფრო მზარდი მაჩვენებლები აქვთ. პოლონელებმა, ჩეხებმა, რუმინელებმა ეს საკუთარი სიმდიდრის გამოყენებითაც მოახერხეს. მაგალითად, პოლონეთმა ბრწყინვალე სასოფლო ტურიზმი შექმნა, ჩამოაყალიბა აგრო და ეკო ტურიზმის კონცეფცია. და დღეს იქ ჩასული ტურისტების დიდი ნაწილი სწორედ პოლონურ სოფლებს უქმნის ფეხზე დადგომის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ კრაკოვი,

ვარშავა, აქვთ ოსვენციმი, ტურისტული ღირსშესანიშნაობები შექმნეს პატარ-პატარა სოფლებისგანაც. ჩვენ კი გვინდა, ქართულ სოფლებში ტურიზმი განვავითაროთ ისე, რომ თვითონ სოფლების განვითარებაზე არ ვიზრუნოთ.

იმის დასტურად, რომ ქვეყანაში ტურიზმის ბაზარი ფართოვდება, ხშირად ვიშველიებთ სტატისტიკას, ვამბობთ, რომ შარშანდელთან შედარებით ტურისტების რიცხვი გაიზარდა, ვაკეთებთ გათვლებს, რომ მომავალ წელს ეს რიცხვი მინიმუმ გაორმაგდება. თუმცა, რეალურად, რას ნიშნავს ეს მზარდი სტატისტიკა ქვეყნის ფინანსებისთვის, ამას არ ვითვლით. არ გვაქვს პასუხი მთავარ კითხვაზე – რეალურად რამდენად რენტაბელურია ეს სფერო, რამდენი შემოაქვს ტურიზმს ქვეყნის ბიუჯეტში? ამ ეკონომიკური პარამეტრებით ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ შემდეგში გავაანალიზოთ, რამდენად სწორად ვავითარებთ მთელ სექტორს.

იმ ტურისტების უმრავლესობა, რომლებიც ჩვენთან ჩამოდიან, საერთო ჯამში, უკან უკმაყოფილოები არ უნდა ბრუნდებოდნენ. საქართველოში ერთხელ სტუმრობა ყველას აინტერესებს, რადგან ჩვენი ქვეყანა თანამედროვე მოგზაურისთვის სრულიად ახალი და განსხვავებული ტურისტული სანახაობაა, უძველესი კულტურით, ხალხითა და გარემოთი. თუმცა, განვითარებული ტურიზმი გაცილებით ბევრს ნიშნავს, ვიდრე ამ სამი ფაქტორის ერთობლიობაა. განვითარებული ტურიზმი არ აქვს ქვეყანას, რომელსაც მხოლოდ ერთჯერადად სტუმრობენ. წარმატებასა და მიღწევებზე რომ გვქონდეს პრეტენზია, უნდა ვიცოდეთ, რომ ტურისტები უკან რეგულარულად დაბრუნდებიან, რადგან აქ ყოველ მორიგ ვიზიტზე განსხვავებულ შთაბეჭდილებებს ელიან. მე კი გამიჭირდება იმის მტკიცება, გვაქვს თუ არა საერთოდ, მონაცემები საქართველოში მეორედ ჩამოსული ტურისტების შესახებ.

თუმცა, დავუშვათ, თბილისს მეორედაც ვეწვიე და ამ ქალაქის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო, ნარიყალა ვნახე. დამხვდება იქ რამე ახალი იმავე კედლების, იმავე ფასადისა და არტეფაქტების გარდა, რომლებიც ერთხელ უკვე დავათვალიერე?

განვითარებული ტურიზმის ქვეყნებში, ნებისმიერ ისტორიულ ობიექტზე, არა მარტო არქიტექტურაა სანახავი – ანუ ის, რაც მუდმივია, არამედ მასში გაცოცხლებული ისტორიაც, რომლის ამსახველი ექსპოზიციებიც ამ ძეგლებზე მუდმივად იცვლება და ტურისტებიც უკან სწორედ მათ სანახავად ბრუნდებიან. შეიძლება, ამა თუ იმ ძეგლის მონახულება, შიგნით შესვლა, იაფი ღირდეს, მაგრამ ყველაფერი ისე იყოს მოწყობილი, იმდენი ნივთი გელოდეს, რომელიც სახსოვრად გინდა წამოიღო, რომ დაუგეგმავად ბევრს ხარჯავ.

■ დავუშვათ, თბილისს მეორედაც ვეწვიე და ამ ქალაქის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო, ნარიყალა ვნახე. დამხვდება იქ რამე ახალი იმავე კედლების, იმავე ფასადისა და არტეფაქტების გარდა, რომლებიც ერთხელ უკვე დავათვალიერე?

მაგალითად, შოტლანდია ავიღოთ და გავიხსენოთ ფილმი „მამაცი გული“, რომელიც ამ ქვეყანამ საკუთარი ტურისტული ბრენდირებისთვის ძალიან ეფექტურად გამოიყენა. როცა შოტლანდიაში ჩადიხარ და რობერტ ბრუსის ციხესიმაგრეში შედიხარ, ყველა დარბაზში შოტლანდიის გაცოცხლებული ისტორია გხვდება. აქ გმასპინძლობენ გმირები, რომელთაც „მამაცი გულიდან“ უკვე იცნობთ. და თქვენც ვერ უძლებთ ცდუნებას, უილიამ უოლასთან ერთად გადაიღოთ სურათი. შეგიძლიათ, იმ ეპოქის კოსტუმი თავადაც მოირგოთ და შოტლანდიის გმირს გვერდით ასე ამოუდგეთ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ფული ღირს და როცა გარეთ გამოხვალთ, დაგხვდებათ ალბომი, შიგნით ჩალაგებული ფოტოებითა და ქვითრით.

ეს ყველაფერი სანახაობაა, რომელიც თვეში ერთხელ იცვლება და რომლის გასამართავადაც მთელი ინდუსტრია მუშაობს – სპეციალისტები, რომლებიც შოტლანდიის გმირების თოჯინებს ამზადებენ, ისტორიკოსები, რომლებიც კონკრეტული ისტორიული ეპიზოდის სცენარებს წერენ, ამ ობიექტზეა მიბმული განათლების სისტემაც, რადგან ციხე-სიმაგრეში ხშირად დადიან სკოლის მოსწავლეები და ისტორიის გაკვეთილებს იქ ისმენენ. ესაა შემთხვევა, როცა ისტორიული ძეგლი, რომელიც შეიძლებოდა მხოლოდ ფასადურ სანახაობად დარჩენილიყო, ფეხზე დგას, გამართული ინდუსტრიასავით მუშაობს და იქით ასაქმებს მოსახლეობას. ჩვენთან კი რა ხდება? ჩვენ არანაკლებ ძველი და საინტერესო ძეგლები გვაქვს, მაგრამ ისინი ჩვენი შესანახია და, რაც უფრო სამწუხაროა, ერთჯერადი ნახვის ობიექტებია და მეტი არაფერი.

ისევ შოტლანდიას რომ დავუბრუნდეთ, გავიხსენოთ თუნდაც ლოხნესის ზონა, სადაც 4 ნახევარი მილიონი ტურისტი ჩადის ყოველწლიურად. ამ მითს, ურჩხულის შესახებ, ამ ზღაპარს ისე კარგად ფუთავენ შოტლანდიელები, რომ იქაურობა სულ სავსეა ტურისტებით. ყველაფერს ურჩხული ახატია, უბრალო საშლელიც რომ ავი-

შოტლანდიელების თეატრალიზებული მსვლელობა

ღოთ, ერთი ღირს 1 ცენტი, მეორე – 15 ცენტი მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე ურჩხულია გამოსახული.

სულ ცოტა ხნის წინ ოდესაში ჩატარდა ტურისტული ბაზრობა და ყველაზე გაყიდვადი სუვენირის სახელი კონსერვის ქილაში ჩატვირთულმა ჰაერმა მოიპოვა. ჩვეულებრივ ქილას სერტიფიკატი ჰქონდა დაკრული წარწერით, რომ მასში დაგროვებულია ოდესის ისტორიით, იუმორითა და ენაკვიმატობით გაჟღენთილი ჰაერი.

ვფიქრობ, რომ ბევრი რამაა შესაცვლელი ზოგადად ჩვენს დამოკიდებულებაში ისტორიული ძეგლების მიმართ. ჩვენ ძალიან სტოიკურად ვუდგებით ამ თემას, მასში ახლის შეტანის სურვილი არ გვაქვს და გვგონია, რომ ჩარევა აკრძალულია, რადგან ეს ძეგლის შეურაცხყოფას ნიშნავს. არ გვაქვს კულტურული ძეგლების გარშემო განვითარებული დასასვენებელი ინფრასტრუქტურა – კაფეებითა და სუვენირების მაღაზიებით. ბევრგან ევროპაში კი ნახავთ შუასაუკუნეებში აგებულ ციხე-სიმაგრეს, რომელშიც ახლა თანამედროვე ოფისებია განთავსებული და ის ადამიანებიც, რომლებიც ამ ოფისებში მუშაობენ კულტურული ექსპოზიციის ნაწილნი ხდებიან. თვითონვე გიყვებიან, როგორ გრძნობენ თავს იქ, იმ ციხე-სიმაგრეში, როგორ თანაარსებობენ ძველ კულტურასთან...

ტურიზმის ასე განვითარების პოტენციალს, ცხადია, საქართველოშიც ვხედავ, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ და უკვე ბევრჯერ ნაცად მიდგომებს, ახალ ტენდენციებს ქართულ რეალობას მოვარგებთ გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი კონცეფციის სახით.

ამ კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილი კი არა მარტო კულტურული მემკვიდრეობის გაცოცხლება უნდა იყოს, არამედ, პირველ რიგში, იმის გათვლა, თუ რა ტიპის ტურიზმს ვაკეთებთ და შესაბამისად, რა ტიპის და რამდენი სასტუმრო გვჭირდება ტურისტების მისაღებად. ჩვენ კი, რატომღაც, არ ვავითარებთ მრავალფეროვანი ტიპის და ბევრი ფენისთვის ხელმისაწვდომ სასტუმროებს. აქ იშვიათად ნახავთ ახალგაზრდულ სასტუმროებს, ოჯახურ დასვენებაზე გათვლილ დასასვენებელ კომპლექსებს. თუნდაც ბაზალეთის ტბის საკურორტო ბაზა ავიღოთ. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს ბაზაა მოწყობილი ისე, რომ დატვირთვა არ აქვს და როდის ამოიღებს დანახარჯებს, არავინ იცის.

ჩვენ გვავიწყდება ისიც, რომ სერვისის პრობლემაც გვაქვს. მომსახურე პერსონალი, რომელმაც იცის თავისი ფუნქცია და მოვალეობა, თითქმის არ გვყავს, არადა, ამ პერსონალის მომზადებას უფრო მეტი დრო უნდა, ვიდრე ტურისტული ობიექტების აშენებას და ამას ვერ ვხვდებით. სულ სხვა შედეგი გვექნებოდა, თუკი ჩვენი ქვეყნის ინფრასტრუქტურას ტურისტული თვალსაზრისით შევაფასებთ და დავაკვირდებით, სად შეიძლება, ტურისტმა დახარჯოს ფული, გარდა იმისა, რომ ფეშენებელურ სასტუმროში გაათიოს ღამე. ამ პრობლემებს, რომლებიც ქართულ ტურიზმზე საუბრისას, ნებისმიერი მიმართულებით იჩენს თავს, მხოლოდ მწყობრი და თანმიმდევრული კონცეფციით თუ გადავწყვეტთ. საჭიროა, ეს სფერო გრძელვადიანი გეგმის მიხედვით ვითარდებოდეს, ხოლო ხელისუფალთა გემოვნებისა და პოლიტიკური ნების ნაცვლად, თანამედროვე ტენდენციებსა და ჩვენს რესურსებზე იყოს დამოკიდებული.



ტურიზმის პოლიტიკა

ტურისტული მაჰმუტები - "ლიბერალის" ათეული

გთავაზობთ „ლიბერალის“ მიერ შედგენილ ტოპ ათეულს, რომელიც საქართველოში ტურისტებისთვის ნაკლებად ცნობილ, მაგრამ საინტერესო ადგილებს წარმოგიდგენთ

ნინო ჩიმაკაძე

ფოტო ვასო გაბუნია

პრომეთეს მღვიმე – იმერეთი

წყალტუბოს რაიონში, სოფელ ყუმისთავში რამდენიმე მღვიმეა ერთად თავმოყრილი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა თავისებურად საინტერესოა, განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც პრომეთეს მღვიმე იქცევს. ის ერთ-ერთი უმდიდრესია განზომილებით, გამკვრივების მრავალსახეობით, მიწისქვეშა მდინარეებით, ტბებით და პეიზაჟის მრავალფეროვნებით. აქ 16 დარბაზია აღმოჩენილი და თითოეული მათგანი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც მასშტაბებით, ისე ჩამონაღვენთების ფორმებით და მთლიანი არქიტექტურით.

სპეციალისტების აზრით, თანამედროვე დაგეგმარების შემთხვევაში, „პრომეთე“ შესაძლებელია საერთაშორისო ტურისტულ მღვიმედ იქცეს. ამჟამად აქ კეთილმოწყობითი სამუშაოები მიმდინარეობს. დაგეგმილია ინსცენირებული მარშრუტის გაკეთებაც: ტბაზე ტურისტები ნავებში ჩასხდებიან და არგონავტების კოსტუმებში გამოწყობილები საწმისის გატაცების თანამონაწილეები გახდებიან. პროექტის მიხედვით, ქუთაისსა და ბათუმს შორის „დირიჟაბლის“ ფრენაცაა განსაზღვრული. დამთვალიერებელთა მოზიდვის მიზნით აქ უშუალოდ მღვიმეში დაამზადებენ ღვინოს, სტალაქტიდმოკიდებულ ბოთლებში ჩამოასხამენ და იქვე იმერულ ყველსაც ამოიყვანენ. მღვიმესთან ახლოს უკვე გახსნილია რესტორანი, სადაც დამთვალიერებელს შეუძლია დაისვენოს და ადგილობრივი კერძებიც დააგემოვნოს.

ფოტო: ალექსანდრ ტარასენკო

აბულის ციხე ჯავახეთში

ლანდშაფტისა და ისტორიული ძეგლების გამო, ჯავახეთი, წესით, ფეხით უნდა შემოიარო. თუმცა ამდენ ღირსშესანიშნაობას შორის მაინც გამოირჩევა სოფელ პატარა აბულთან, ზღვის დონიდან 2670 მეტრზე მდებარე, ლოდებით ნაშენი ციხე, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულით თარიღდება. აბულის ციხე, რომელსაც სხვანაირად ქოროღლის ციხესაც უწოდებენ, ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ უნიკალურ ნაგებობად ითვლება. იმ ეპოქიდან დღეს მსოფლიოში სულ რამდენიმე ქვით ნაშენი ნაგებობაა შემორჩენილი. ლეგენდის თანახმად, აბულის ციხე ციკლოპებმა ააგეს – ამ სიმაღლეზე ასეთი ზომის ლოდების ატანას მხოლოდ ისინი თუ შეძლებდნენო, – ნათქვამია ლეგენდაში.

აბულის ციხე ზღვის დონიდან 2670 მეტრზე მდებარეობს. აქ მთელი ქედი ქვის ნამტვრევებითაა დაფარული. ამით უსარგებლიათ ძველთაგანვე და ლოდების მცირე გადაადგილებით სამალავები გაუკეთებიათ, რომლებსაც ვიწრო, დაბალი შესაძრომი აქვს. საკმარისია ერთი ლოდის აფარება და ვერავინ გიპოვის. თან ქვევით გაშლილ წარმოუდგენელ სანახაობას – ფარავნის ტბასაც დააკვირდები.

ფოტო: ზაზა ბერაძეს

გოდერძის უღელტეხილი

ეკოტურიზმის მოყვარულთათვის მეტად საინტერესო ადგილია. მისი საშუალებით შესაძლებელია მესხეთიდან პირდაპირ მთიან აჭარაში მოხვდეთ. გარდა იმისა, რომ უღელტეხილი განსაკუთრებული სილამაზით და მდებარეობით გამოირჩევა, ის ყურადღებას ჰავისა და ლანდშაფტის მრავალფეროვნებითაც იქცევს: თუ მესხეთის მხარეს მშრალი ჰავაა, როგორც კი აჭარისკენ იწყებთ დაშვებას, ჰავა ნოტიო ხდება და მაშინვე იგრძნობა ზღვის გავლენა. მესხეთის მხარეს არის ულამაზესი მწვანე ტბა და მეორე, არანაკლებ საინტერესო სანახაობა – გაქვავებული ტყე, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ოდესღაც ვულკანის ლავამ დაფარა. დღეს აქ პალმები, მაგნოლიები და სხვა ხეები გაქვავებული სახითაა შემორჩენილი. ვულკანური მასის ქვეშ კი ღეროებისა და ფოთლების ანაბეჭდებსაც კი შეიძლება მიაგნოთ.

ფოტო თეიმურ ბარიძისაგან

მუცო

მუცოს კომპლექსი კავკასიის მაღალ მთიან დასახლებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მიუვალი სიმაგრეა. გადმოცემის თანახმად, მუცოს ხეობა ოდითგანვე აკონტროლებდა კავკასიის ქვეყნების დამაკავშირებელ გზას და იცავდა საქართველოს საზღვარს.

ზღვის დონიდან 1880 მეტრზე მდებარე სოფელში დღეს 4 ციხე-კოშკი და რამდენიმე საცხოვრებლის ნანგრევებია შემორჩენილი. სიპი ქვისგან ნაგებ ტერასულად განვითარებულ განაშენიანებაში, ძლიერი ნგრევის მიუხედავად, ჯერ კიდევაა შემორჩენილი ურბანული, კონსტრუქციული და საფორტიფიკაციო ელემენტები: ვიწრო ქუჩათა ქსელი, მცირე მოედნები, ქვის კიბეები, თავდაცვითი დანიშნულების სხვადასხვა დეტალები — სალოდეები და სათოფურები. ეს დღემდე შემორჩენილი ნაგებობები, სავარაუდოდ, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება.



ფოტო: ვასო გბაუნის

გაჭედილის კანიონი სამეგრელოში

მარტვილის რაიონში, სოფელ „გაჭედილთან“, მდინარე აბაშის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე კანიონი, ტურისტული თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილია. გარდა იმისა, რომ კანიონი საოცრად ლამაზია, აქ ინახება 75 მილიონი წლის წინ დედამიწაზე მცხოვრები ცხოველების გაქვავებული ძვლები. აღსანიშნავია, რომ ეს მსოფლიოში მესამე აღმოჩენაა, სადაც პრეისტორიული ცხოველების ნაშთები ერთად ასეთი დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. გაჭედილის კანიონი ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულებსაც დააინტერესებთ: აქ საქართველოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერებია და ადვილი მისადგომის გამო, მათზე თოკებით დაშვებაც შეიძლება. აქვე შესაძლებელია კანიონზე ნავებით დაშვებაც. გარდა ამისა, ჩანჩქერები უზარმაზარი მღვიმეებიდან გამოდის და სპელეოლოგიით დაინტერესებული ადამიანები არაერთ თავშესაქცევს ნახავენ. გაჭედილის კანიონი 2010 წელს ნაკრძალად გამოცხადდა. ამჟამად აქ ისევ გრძელდება კვლევითი სამუშაოები. სპეციალისტებს კიდევ არაერთი საინტერესო აღმოჩენის იმედი აქვთ.

ფოტო: თემო ბარიძე/ვეფილი

საირმე

ერთ დროს ძალიან პოპულარული კურორტი საირმე, სადაც 90-იანი წლებში ბევრი რამ განადგურდა და დაზიანდა, დღეს უკვე რეაბილიტირებულია. უნიკალური სამკურნალო წყლების, ფიჭვნარისა და სუფთა ჰაერის გარდა, საირმეს დღეს თანამედროვე ინფრასტრუქტურითაც შეუძლია იამაყოს. თუ ადრე წყლის ასაღებად რიგში დგომა და წვალება გიწევდათ, ახლა ეს მარტივად და კომფორტულად: ღილაკზე თითის დაჭერით შეგიძლიათ გააკეთოთ. წყალი ერთდროულად რამდენიმე ადგილზე მოდის და ამიტომ არც ლოდინი დაგჭირდებათ. განახლებულია სასტუმროებიც: „იმერეთსა“ და „უდაბნოს“ კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა. სასტუმრო „ბაღდადი“ კი კაპიტალურად გარემონტდა. მას ახლა „საირმე“ ჰქვია და სამვარსკვლავიანი სასტუმროს შესაბამისი სერვისიც აქვს. გაკეთდა სკვერები და სათამაშო-სპორტული მოედნებიც. აქაური წყლების განსაკუთრებული სამკურნალო თვისებებიდან გამომდინარე აქ გამაჯანსაღებელი პროცედურები ტარდება – თირკმლების, კუჭის და ნაღვლის ბუშტის პრობლემების მქონე ადამიანებისთვის საირმის წყლები ნამდვილი მისწრეაა. ტემპერატურა აგვისტოში აქ საშუალოდ 20 გრადუსია. ამიტომ თუ გინდათ ცხელ ზაფხულს გაექცეთ და ოჯახთან ერთად გრილ, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ადგილზე დაისვენოთ, საირმე ამისთვის ნამდვილად შესაფერისი ადგილია.

ფოტო: გიორგი ხუციშვილი

აბუდელაურების ტბები – ხევსურეთი

პირაქეთა ხევსურეთში, სოფელ როშკასთან ახლოს, ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მეტრზე განსაკუთრებულ ყურადღებას სამი მომცრო ზომის ტბა იქცევს. ალპურ ზონაში მდებარე ტბები მთებითაა გარშემორტყმული და აქედან რამდენიმე მწვერვალიც მოჩანს, მათ შორის ალპინისტებისთვის კარგად ნაცნობი ვაჟა-ფშაველას, აღმაშენებლის და რჩეულიშვილის მწვერვალები.

ხეობის სხვადასხვა ნაწილში წარმოქმნილი სამი ტბა ერთმანეთისგან ფერებითაც განსხვავდება: ერთ-ერთს „მწვანე ტბა" ჰქვია – ამ შეფერილობას მას ფსკერზე ამოსული სხვადასხვა სახის მცენარეები აძლევს. მეორე ტბა ლურჯია – მასში გახსნილი სპეციფიკური მთის მინერალის გამო. მესამეს, ყველაზე მოშორებულს კი, „თეთრ ტბას" უწოდებენ – ტბა, ძირითადად, ყინულებითაა გარშემორტყმული და ფსკერიც ყინულების გამო თეთრ შეფერილობას იძენს.

ამ ტბებისა და მწვერვალების ერთობლივი ლანდშაფტი მთლიანობაში საოცარ სანახაობას ქმნის, რაც ამ ადგილს ხევსურეთის ერთ-ერთ გამორჩეულ ზონად აქცევს.

ფოტო: გიორგი ბუბუსაძე

დალის წყალსაცავი

დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე დალის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორია საინტერესოა როგორც ეკოტურიზმით დაინტერესებულთათვის, ისე თევზაობის მოყვარულთათვის. ყოველწლიურად აქ 100 000-მდე ლიფსიტას უშვებენ. თეთრი ამური, ჭანარი, ხრამული, ლოქო, ლეშა – ამ და სხვა სახეობებზე თევზაობა აქ შეღავათიან ფასებშია შესაძლებელი. აქვე შესაძლებელია ნავით გასეირნება და ულამაზესი ადგილების წყლიდან დათვალიერება. დალის წყალსაცავის შემოგარენში ნახავთ როგორც მთებს, ისე ნახევრად უდაბნოებს.

ფოტო თემო ბარაბაშვილი

ჭიათურა – ექსტრემ-ტურიზმი

ჭიათურის ხსენებაზე, პირველ რიგში, ალბათ, ყველას მანგანუმის საბადოები და საბაგირო გზები ახსენდება, რითაც ქალაქის უბნები ერთმანეთს უკავშირდება. თუმცა ბოლო წლებში ეს ადგილი ექსტრემალური სპორტის, კერძოდ კი კლდეზე ცოცვის მოყვარულთათვისაც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. სოფელ კაცხში, მე-5-6 საუკუნეებში აშენებულ ისტორიულ კაცხის სვეტთან ახლოს, საქართველოსთვის იშვიათი ტიპის საცოცი კლდეებია. 50-60 მეტრი სიმაღლის კლდეების გამორჩეული ფაქტურა და სპეციფიკური ქანები საშუალებას იძლევა მინიმალური დაცვით იცოცო: არამტვრევად, მყარ კედლებს ნასვრეტები აქვს, სადაც მოხერხებულად შეიძლება დაცვის დამაგრება. კლდის ქანები აქ განსაკუთრებულად მყარია, ამიტომ პატარა კენჭსაც შეიძლება ენდოთ. ამ კლდეებზე უკვე სპეციალური საცოცი ტრასებიც არის გაკეთებული, ამიტომ, პროფესიონალ მეკლდეურებთან ერთად, უკვე დამწყებებსაც შეუძლიათ, თავი შეიქციონ. კლდეებთან ახლოს არის პატარა კანიონიც, რომელიც განსაკუთრებულ ხიბლს მატებს ამ ადგილს.

ფიჩორის ხეობა – სამეგრელო

კოლხეთის ეროვნულ პარკში არსებული ფიჩორის ხეობა უნიკალურ ადგილად ითვლება. მას სპეციალისტები პატარა ამაზონსაც კი უწოდებენ გამორჩეული სილამაზისა და ბიომრავალფეროვნების გამო. მდინარე ფიჩორი, რომელიც პალიასტომის ტბაში ჩაედინება, ენდემური ჯიშის იშვიათი ხეებითაა გარშემორტყმული. ასევე ცნობილია, რომ ჩიტები გადაფრენის დროს სწორედ ამ ადგილზე იყრიან თავს და ისვენებენ. გაუვალი ტყეები კიდევ უფრო მეტ ხიბლს და ორიგინალურობას მატებს ხეობას ისევე, როგორც მთლიანად პარკს.

ფოტო: დავითი, ფიჩორიზორეების საპატენტოს არქივიდან

ბაოხებული ამეხიტა

დემოკრატ პრეზიდენტსა და რესპუბლიკურ კონგრესს შორის შეთანხმება შედგა. თუმცა, ამისთვის ორი პირობა უნდა აღსრულდეს – რესპუბლიკელები სახელმწიფო ხარჯის შემცირებას, პრეზიდენტი ობამა კი აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის სესხების უფლების 2013 წლამდე შენარჩუნებას ითხოვს.

გიორგი ცხადაია

2 აგვისტოს, შუაღამის დედლაინამდე რამდენიმე საათით ადრე, კონგრესმა როგორც იქნა, მიიღო გადაწყვეტილება ე.წ. „სესხის ჭერის“ (debt ceiling) გასაზრდელად. კონგრესმა ამით ნება დართო აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ ისესხოს მეტი ფული საკუთარი თავის დასაფინანსებლად და დეფოლტის ასაცილებლად. ამერიკის პრეზიდენტებს მსგავსი თხოვნით კონგრესისთვის ადრეც არაერთხელ მიუმართავთ, მაგრამ ახლანდელი დაპირისპირება პრეზიდენტსა და წარმომადგენლობით ორგანოს შორის უპრეცედენტოა.

რესპუბლიკელების იმ ნაწილმა, რომლებიც პრეზიდენტთან დათმობაზე არ მიდიოდნენ, ყველას დაანახეს, რომ მათ შეუძლიათ მსოფლიოს ყველაზე დიდ ეკონომიკას ეგზისტენციური საფრთხე შეუქმნან. ეს ყველაფერი მხოლოდ იმის გამო ხდება, რომ რესპუბლიკელები არ არიან მზად, თავიანთ მდიდარ ამომრჩევლებს გადასახადების გაზრდა შესთავაზონ. დემოკრატებს, თავის მხრივ, უჭირთ დათანხმება ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების შემცირებაზე, მაგრამ საბოლოო ჯამში, ახლანდელ ბრძოლაში გამარჯვებულები მაინც რესპუბლიკელები გამოდიან.

რესპუბლიკელების ტრიუმფი 2010 წლის კონგრესის შუალედურ არჩევნებზე დაიწყო. არჩევნების შემდეგ, ისინი წარმომადგენლობითი პალატის უმრავლესობას აკონტროლებენ და სენატში მყოფ დემოკრატების უმრავლესობას სერიოზულ პრობლემებს უქმნიან.

ბუშის მიერ მიღებულ გადასახადების შემცირების პროგრამას 2011 წელს გაუვიდა ვადა და რესპუბლიკელების კონგრესმა მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ შემცირებული გადასახადები ძალაში დაეტოვებინა. ობამას ადმინისტრაცია წელიწადში 250 000 დოლარზე მეტი შემოსავლის მქონე ამერიკის მოქალაქეებისთვის გადასახადების გაზრდას მოითხოვდა და დღესაც იმავე პოზიციას ინარჩუნებს.

რესპუბლიკელების ნაწილმა არჩევნებამდე ე.წ. „ფიცი ამერიკის წინაშე“ დადო, რომელიც ბევრ სხვა რამესთან ერთად, გადასახადებთან მიმართებაში შეუვალი პოზიციის დაჭერას გულისხმობს. დემოკრატების მთავარი წინასაარჩევნო დაპირება კი ჯანდაცვის რეფორმა და უმუშევრობის აღმოფხვრაა.

ვაშინგტონში გამართული პოლიტიკური ბატალიები ზიანს აყენებს არა მხოლოდ ამერიკის სოციალურ მდგომარეობას, არამედ საფრთხეს უქმნის მის ფინანსურ ბაზარს და მთლიან ეკონომიკას.

2011 წლის ივლისში ობამამ საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების თამამი პროგრამა წამოაყენა, რომლის მიხედვითაც დემოკრატები თანხმდებოდნენ სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის სფეროს დაფინანსების შემცირებაზე და სანაცვლოდ რესპუბლიკელებისგან გადასახადების გაზრდას მოითხოვდნენ. თავდაპირველად, წარმომადგენლობითი პალატის რესპუბლიკური უმრავლესობის ლიდერმა ჯონ ბეინერმა ამ პროგრამით დაინტერესება გამოთქვა, მაგრამ მოგვიანებით, პარტიის კონსერვატორი წევრებისა და მდიდარი ლობისტების ზეწოლის გამო, უკან დაიხია.

წარუმატებლად დამთავრდა ობამას და ბეინერის 22 ივლისის შეხვედრაც. ბეინერმა პრეზიდენტის კაბინეტი უკმაყოფილოდ დატოვა და განაცხადა, რომ ობამა მას ისევ გადასახადების გაზრდას სთხოვდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ 22 ივლისის ჩაშლილი შეხვედრის შემდეგ, „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ჰარვარდისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტის სამართლის პროფესორები ობამას კონსტიტუციის მე-14 შესწორების მიხედვით ქმედებას თხოვდნენ. მე-14 შესწორებით, პრეზიდენტს უფლება აქვს, ქვეყანას ეგზისტენციური საფრთხე (მათ შორის, ვალის გადაუხდელობა და დეფოლტი) ყველა საშუალების გამოყენებით აარიდოს თავიდან.

საბოლოო შეთანხმება წარმომადგენლობითმა პალატამ 269 ხმით 161-ის წინააღმდეგ მიიღო. შეთანხმებაში გაითვალისწინეს რესპუბლიკელების ლიდერის – ბეინერის მთავარი მოთხოვნა – სახელმწიფო ხარჯის შემცირება და პრეზიდენტ ობამას მთავარი მოთხოვნა – აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის სესხების უფლების 2013 წლამდე შენარჩუნება.

სახელმწიფო ხარჯის შემცირებას რესპუბლიკელები ინფლაციის შესაჩერებლად ითხოვენ. გაზრდილი სახელმწიფო ხარჯი, ერთი მხრივ, აუცილებელია ეკონომიკის დეპრესიიდან გამოსაყვანად (ხელს უწყობს დასაქმებას, ქმნის ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ახალისებს ბიზნესებს), მაგრამ მეორე მხრივ, ფულის გაზრდილი მასა იწვევს ინფლაციას. ინფლაციამ შესაძლოა, თავის მხრივ, ექსპორტზე დადებითი გავლენა მოახდინოს (დოლარის ღირებულების დაწევით, ამერიკის საექსპორტო პროდუ-

ობამა და ბეინერი

ქციის კონკურენტუნარიანობა გაზარდოს), მაგრამ მეორე მხრივ, ფასების საყოველთაო ზრდა მოსახლეობის ყველა ფენას დააწვება ტვირთად.

ჯერჯერობით, ფედერალური სარეზერვო ბანკის მონაცემებით, ამერიკაში ინფლაციის დონე ყოველწლიურად 2%-ით, სტაბილურად, იზრდება. ფინანსისტების აზრით, ამგვარი ზრდა ნორმალურია.

სახელმწიფო პროექტების შედარებით უმტკივნეულოდ დაფინანსებისა და საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების ერთადერთი გზა ბუშის მიერ შემცირებული გადასახადების გაზრდაა. ამ ნაბიჯზე კი, როგორც ჩანს, რესპუბლიკელები არასდროს წავლენ.

ამ ფონზე, 2 აგვისტოს შეთანხმება უფრო პრობლემის გადავადებაა, ვიდრე გადაწყვეტა. ამ შეთანხმების მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამერიკის მთავრობას უფლება მიეცემა ფული 2013 წლამდე ისესხოს, თუმცა ამავე დროს, სახელმწიფო ხარჯი თანდათანობით შეამციროს.

ხარჯის შემცირების პირველი ეტაპი დაუყოვნებლივ შევა ძალაში და ფედერალურ მთავრობას დაახლოებით 900 მილიარდ დოლარს ჩამოაჭრის. პირველ ეტაპზე სოციალური დაცვის და ჯანდაცვის პროგრამები არ შემცირდება. მეორე ეტაპი დაახლოებით შემოდგომაზე დაიწყება და მის განსახორციელებლად სენატი ე.წ. „სუპერ კომიტეტს“ შექმნის.

„სუპერ კომიტეტში“ კონგრესმენი დემოკრატები და რესპუბლიკელები თავიანთი რიგებიდან ექვს წარმომადგენელს აირჩევენ და ვადას მადლიერების დღემდე (ნოემბრის ბოლო კვირა) მისცემენ. „სუპერ კომიტეტს“ უფლება ექნება, იმსჯელოს და ხმა მისცეს გადასახადების გაზრდის საკითხსაც. თუ ვერც ერთი წამოყენებული პროექტი საკმარის ხმას ვერ დააგროვებს, მაშინ სახელმწიფო ხარჯი ავტომატურად შემცირდება.

ყველა პროექტის ჩავარდნის შემთხვევაში, ხარჯის შემცირება ძირითადად თავდაცვის ბიუჯეტს შეეხება. ესე იგი, თუ დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა შემოდგომაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ამერიკის ბიუჯეტი მომდევნო 10 წლის განმავლობაში ავტომატურად 1.2 ტრილიონით შემცირდება. ამ სეკვესტრის დაახლოებით ნახევარი კი უშუალოდ პენტაგონის ბიუჯეტს შეეხება.

პენტაგონის ბედი ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ თავდაცვის ბიუჯეტს რესპუბლიკელები პატრიოტულ მოტივებზე აპელირებით მაინც გადაარჩენენ. მთავარი ბრძოლა უმუშევრობის შემცირებისთვის გაიმართება. აქ კი დემოკრატებმა უკვე დრამატულად წააგეს, რადგან დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტის – „ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეფასებით, სახელმწიფო ხარჯის შემცირება 2012 წლისთვის დაახლოებით 1.8 მილიონი სამუშაო ადგილის დაკარგვის ტოლფასი იქნება.

ევროპის სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ამერიკას რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების კარდინალურად განსხვავებული ინტერესები მომავალში მუდმივ პოლიტიკურ არასტაბილურობას ჰპირდება. ამერიკული პოლიტიკური ბრძოლები იმით გამოირჩევა, რომ ისინი ამ ქვეყნის სოციალური კონტრაქტის სისუსტესა და საზოგადოების გახლეჩაზე მიუთითებენ. პარადოქსულია, მაგრამ ამ სოციალური გახლეჩის მიუხედავად, პოლიტიკური რიტორიკა მაინც უფრო მეტად ნაციონალური და „კულტურული“ მოტივებით არის გაჯერებული, ვიდრე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე დავით.

ვაშინგტონში გამართული პოლიტიკური ბატალიები ზიანს აყენებს არა მხოლოდ ამერიკის სოციალურ მდგომარეობას, არამედ საფრთხეს უქმნის მის ფინანსურ ბაზარს და მთლიან ეკონომიკას. როგორც ამერიკის ხაზინის მდივანმა ტიმოთი გეიტნერმა 2 აგვისტოს ინტერვიუში განაცხადა, „ამ სპექტაკლით“ ამერიკის მსოფლიო იმიჯი მნიშვნელოვნად ზარალდება.

სეხვები სიზმარსა და სხეულში

დავით ბუხრიკიძე

სცენა სპექტაკლიდან „პინა“

ვიმ ვენდერსის დოკუმენტურ ფილმს მოკლე და გასაგები სახელწოდებით, „პინა“ ლეგენდარულ ქორეოგრაფზე, პინა ბაუშზე, უკვე ხვატით გაბრუებულ თბილისში უჩვენებენ! „ამირანში“ ამ ლეგენდის უკეთ გაცნობისთვის უკვე გაჭუჭყიანებულ 3D სათვალეებს არიგებენ. მაგრამ მხოლოდ სამგანზომილებიანი ეკრანი საკმარისი არ არის ცეკვის მთლიანობის, განცდისა და გადმოცემის შესაძლებლობაში დასარწმუნებლად.

სიუჟეტური სქემა მარტივია, მაგრამ დეტალებით დატვირთული და გამდიდრებული: ცნობილი ქორეოგრაფის მოწაფეები მისი გარდაცვალების შემდეგ საკუთარ განცდებს აღწერენ, რომლებიც სხვადასხვა სპექტაკლებით ფრაგმენტებადაა გადმოცემული. მაგრამ ყველაზე არსებითი ამ თხრობის მიღმა დარჩენილი თუ აღმოჩენილი სამყაროა, რომელსაც ცეკვისა და არქიტექტურის უჩვეულო რითმა აკავშირებს.

ფილმი „პინა“ არტ-ჰაუზის მიერ კინოენის ათვისებისა და თეატრის, ცეკვისა და კინოს ერთ კოორდინატთა სისტემაში მოქცევის მცდელობაა. ისევე, როგორც 3D-ფორმატით ცეკვის სიმულანტური ბუნების გადმოცემის ეფექტური შესაძლებლობა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვენდერსის ახალი ფილმი არტ-ჰაუზთან დამეგობრებისა და დიდი კინოექსპერიმენტის დასაწყი-

სია. კინომანებმა ისიც იციან, რომ „პინა“ ბერლინალეს ერთ-ერთ მთავარ მოვლენად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი საკონკურსო პროგრამაში არც მონაწილეობდა.

ვენდერსს ფილმის გადაღება დიდი ხანია სურდა, თუმცა მუდამ რაღაც საბედისწერო და აუხსნელი მოტივები უშლიდა ხელს. ჯერ კიდევ 1985 წელს, როცა ვენდერსმა ვუპერტალის „ცეკვის თეატრის“ სპექტაკლი „კაფე მიულერი“ ვენეციის ბიენალეზე ნახა, გადაწყვიტა სახელგანთქმული ქორეოგრაფის კინოპორტრეტი გადაეღო. იდეა ბევრჯერ ჩაიშალა. თითქოს მათი ახლო მეგობრობაც კი, რომელიც 70-იანი წლებიდან მოყოლებული პინა ბაუშის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა, უფრო ართულებდა გადაღების დაწყებას.

ქორეოგრაფის უეცარმა სიკვდილმა შეიძლება ითქვას, რომ დამატებითი იმპულსი შესძინა თავად ვენდერსის ფილმის დანაწევრებულ, ბოლომდე თავშეკავებულ, მაგრამ მაინც დრამატულ თხრობას. ეს იგრძნობა გამოსახულებაში, მრავალგანზომილებიან საუნდ-ტრეკში, არქიტექტურისა და ცეკვის სინთეზში, ვუპერტალის დასის მოცეკვავეთა ჩუმ, მაგრამ სასოწარკვეთილ პაუზებში... ოდნავ დაბნეული მოცეკვავეების მსხვილი ხედი, მათი მონოლოგები თქვენს თვალწინ დაახლოებით საათნახევრის განმვალობაში ჩაივლის და ხვდებით, რომ ისინი ჯერ კიდევ ვერ გამოსულან დანაკარგის შეუცნობელი დრამიდან.

ფერი, საუნდი, მუსიკა, ფრაგმენტები სპექტაკლებიდან, ვუპერტალის ხმაურიანი ქუჩები, ოპერატორის ნამუშევარი, ლანდშაფტური არქიტექტურა და ქუჩაში დადგმული ცეკვის სცენები – ეს ყველაფერი ერთ, მთავარ მოტივად იკვრება, რომლის სახელი პინას აჩრდილია და რომელიც ფილმში უდიდეს და ნოვატორ ქორეოგრაფად წარმოჩინდება.

შესაძლოა ვიდავოთ ვენდერსის ფილმის ესთეტიკაზე. შესაძლოა მოცეკვავეთა მონოლოგების გამოყენება პინა ბაუშის სიკვდილის შემდეგ, სპეკულაციადაც მოგეჩვენოთ, ხოლო მხატვრული რეკონსტრუქციის მეთოდი – უკვე მოძველებულ ფორმად. მაგრამ ერთი რამ უდავოა: ამ ფილმით ვენდერსმა უკვდავყო ცეკვის თეატრის მაგია, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, სიფრიფანა, მწვანეთვალება, მუდამ სევდიანმა და გაწონასწორებულმა ქალმა შექმნა... გერმანული ქვანახშირის აუზის პატარა, უსახური და პროვინციული ვუპერტალიდან.

პინა ბაუშის სპექტაკლების არქეტიპებად ქცეული პერსონაჟები: ქუსლებზე შემდგარი, საღამოს კაბებში გამოწყობილი და მტაცებლური ინსტინქტებით შეპყრობილი ასაკოვანი ქალები გაცილებით არტისტულები არიან, ვიდრე დღეს მოდური ქალბატონი-ქორეოგრაფის, საშა ვალიცისა და მაგი მარენის ტექნიკურად სრულყოფილი და უსახური „რეზინის ბალერინები“. ისინი ბევრად უფრო კარგად ცეკვავენ, მაგრამ ვერც უნებლიე ცოდვებს ინანიებენ ისე მომხიბვლელად და ვერც ჯადოსნურ ჟესტებს ეუფლებიან. მოკლედ, ახალი თაობის ქორეოგრაფებს ცეკვის თეატრის მაგიის „შესწავლა“ კიდევ დიდ ხანს მოუწევთ, თუმცა ეს უკვე სხვა საუბრის თემაა.

პინა ბაუში

აგვისტოს ხვატით გაბრუებულ თბილისს კინემატოგრაფიული ნათელი დაადგა: ცნობილი გერმანელი რეჟისორის, ვიმ ვენდერსის დოკუმენტური ფილმი ლეგენდარულ ქორეოგრაფზე, პინა ბაუშზე, ცეკვის, თეატრისა და კინოს ერთ საკოორდინატო სივრცეში მოქცევის მცდელობაა.

ფილმში „პინა“ სპექტაკლ „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვის“ შთამბეჭდავი ირონიით გაჯერებულ „ნუსხასაც“ აღმოაჩენთ და „კაფე მიულერის“ პოეტურ დეპრესიასაც. ორივეგან მხოლოდ უიმედო ქალები და მამაკაცები მოძრაობენ. კამერა მათ ნათელ, მაგრამ ისტერიულ ჟესტებსა და მოძრაობას ერთნაირი უშუალობით ასახავს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ეპიზოდი, როცა „კაფე მიულერის“ ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი სცენის მაკეტს ზემოდან დაჰყურებს და შემდეგ მოულოდნელად გადაინაცვლებს სპექტაკლის ეპიზოდში.

სხვათა შორის, ფრანგულ-გერმანულმა ტელეარხმა „არტემ“ 1986 წელს მართლაც სანიმუშოდ გადაიღო ფილმი-სპექტაკლი „კაფე მიულერი“ (თავად პინა ბაუშის მონაწილეობით) რომლის ფრაგმენტები ვენდერსის ფილმშიც მოხვდა. ხოლო ამ სპექტაკლით შთაგონებულმა პედრო ალმოდოვარმა კი თავის ფილმში „ესაუბრე მას“ მთელი ეპიზოდი გამოიყენა „კაფე მიულერიდან“

რასაკვირველია, ზოგი რამ გადაჭარბებულია და გროტესკული, ხოლო თეატრალური ხერხი – მაგალითად, ერთი და იმავე მოძრაობის რამდენიმეჯერ გამეორება – მოსაბეზრებელი, მაგრამ სპექტაკლის შექმნიდან 32 წლის შემდეგაც რჩება რაღაც უხილავი და უსიტყვო, რაც არასოდეს წაიშლება მაყურებლის მეხსიერებიდან.

პინა ბაუშმა ნამდვილად შეარყია ტრადიციული ცეკვის სამყარო და შეცვალა მისი ლანდშაფტი. მაგრამ ის, რაც რევოლუციურად გამოიყურებოდა გუშინ, დღეს ტრადიციად იქცა. უბრალოდ, ვენდერსის ფილმმა კიდევ ერთხელ მიაგო პატივი დიდ ქორეოგრაფს და დაამტკიცა, რომ მისი არჩევანი თუნდაც 3D ფორმატით შემთხვევითი არ ყოფილა... დრო, სივრცე საზღვარი წაიშალა და ხელოვნება დარჩა.

ხოლო ვისაც უნახავს და ახსოვს პინა ბაუშის დაუვიწყარი ხელები „კაფე მიულერში“, ალბათ, არც ის დაავიწყდება, რომ ეს მარადიული და სრულყოფილი ჟესტია.

RIM-მა ახალი სმარტფონები წარადგინა

RIM-მა BlackBerry-ს სამი ახალი სმარტფონის პრეზენტაცია გამართა. ყველა მოწყობილობა ახალ მობილურ ოპერაციულ სისტემა BlackBerry OS 7-ზე მუშაობს.

სმარტფონი BlackBerry Torch 9810 „ვერტიკალური სლაიდერია". ტელეფონს 3,2 დიუმიანი სენსორული ეკრანი და QWERTY კლავიატურა აქვს. აპარატები BlackBerry Torch 9850 და BlackBerry Torch 9860 კი სენსორულ მართვას ითვალისწინებს. RIM-ში აღნიშნავენ, რომ მათ BlackBerry-ს სმარტფონებს შორის ყველაზე დიდი – 3,7 დიუმიანი ეკრანები აქვთ.

ყველა აპარატი ორბირთვიანი პროცესორითა და HD ფორმატის მხარდაჭერის კამერითაა აღჭურვილი. მოწყობილობები გაყიდვაში მიმდინარე თვეში გამოჩნდება. აპარატების ფასი ჯერჯერობით უცნობია.

ამ სამი სმარტფონის გარდა, აგვისტოში BlackBerry Bold 9900-ისა და BlackBerry Bold9930-ის გაყიდვებიც დაიწყება. აპარატები RIM-მა მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში, კონფერენცია BlackBerry World-ზე დააანონსა. ისინი კომპანიის ყველაზე თხელი სმარტფონები იქნება – აპარატების კორპუსის სისქე 10,5 მილიმეტრია.

Google+-ზე 25 მილიონი მომხმარებელია

ახალი სოციალური ქსელის, Google+-ის აუდიტორიამ 25 მილიონ უნიკალურ მომხმარებელს გადააჭარბა. კომპანია comScore-ის მონაცემებით, გაშვებიდან ერთი თვის განმავლობაში სოციალური ქსელის აუდიტორია დღეში საშუალოდ მილიონით იმატებს.

აუდიტორიის ზრდის ტემპით Google+-მა უკვე გადააჭარბა Facebook-ის, MySpace-ისა და Twitter-ის მაჩვენებელს. 25 მილიონი მომხმარებლის რეგისტრაციისთვის მარკ ცუკერბერგის სოციალურ ქსელს 3 წელზე მეტი დასჭირდა, Twitter-ს – 2,5 წელი, MySpace-ს კი წელიწადი და 9 თვე.

ყველაზე ბევრი, 6,44 მილიონი მომხმარებელი Google+-ს აშშ-ში ჰყავს. მეორე ადგილს 3,62 მილიონიანი აუდიტორიით ინდოეთი იკავებს. ხუთეულში ასევე შედის დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ბრაზილია, საფრანგეთი და ტაივანი.

სმარტფონების ბაზრის ნახევარი Android-ს ეკუთვნის

2011 წლის მეორე კვარტალში სმარტფონების მსოფლიო ბაზარზე Android-ის წილმა 48% შეადგინა. ოპერაციულ სისტემას, რომელიც ინტერნეტ-გიგანტმა 2007 წელს წარადგინა, მიმდინარე წლის აპრილ-მაისში გაყიდული 51,9 მილიონი მობილური ტელეფონი იყენებდა. ეს

მაჩვენებელი კი 379%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს. განსაკუთრებით პოპულარული Android აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონშია: სამხრეთ კორეაში მისი წილი 85%-ს, ტაივანში კი-71%-ს შეადგენს.

რაც შეეხება Apple-ს, 2011 წლის მეორე კვარტალში კომპანიამ 20,3 მილიონი iPhone გაყიდა და მისმა ოპერაციულმა სისტემა iOS-მა სმარტფონების მსოფლიო ბაზარზე 19% შეადგინა, რეიტინგში კი მეორე ადგილი დაიკავა. ექსპერტები ამბობენ, რომ iPhone-მა Apple-ს უზარმაზარი ფინანსური წარმატება მოუტანა, ბაზრის განვითარებაში კი ისტორიული როლი შეასრულა. მათი ვარაუდით, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში, ახალი iPhone-ს სავარაუდო გამოსვლასთან ერთად კომპანიის პოზიციები კიდევ უფრო გამყარდება.

სპეციალისტების მონაცემებით, Symbian-ის პლატფორმა მესამე პოზიციაზე განთავსდა. 11%-ით გაიზარდა BlackBerry-ს გაყიდვები, თუმცა მიუხედავად ამისა, კომპანიის საბაზრო წილი 33%-დან 12%-მდე შემცირდა. Windows Phone-ს ბაზაზე 1,5 მილიონი სმარტფონი გაიყიდა, რითაც ამ პლატფორმამ ბაზრის 1% დაიკავა. წარმატებები აქვს Samsung-ს: კომპანიამ სმარტფონების გაყიდვები 421%-ით გაზარდა.

Google სასტუმროებს ეძებს

Google-მა მოგზაურებისთვის ახალი სასარგებლო სერვისი Hotel Finder

გაუშვა. სერვისი სასტუმროების მარტივი და მოსახერხებელი ძიებისთვის არის შექმნილი. სასტუმროს მოსაძიებლად მომხმარებელმა ქალაქი, ჩასვლის თარიღი, ფასი და ვარსკვლავების სასურველი რაოდენობა უნდა მიუთითოს.

სასტუმროს შერჩევა შესაძლებელია რუკაზეც, რომელზეც Hotel Finder პოპულარულ რაიონებსა და ქალაქებს დაიტანს. სასტუმროზე „დაკლიკების" შემდეგ მისი ფოტოები, მისამართი, ტელეფონი და მომხმარებლების შთაბეჭდილებები გამოჩნდება. ამას გარდა, Google დაითვლის, თუ რამდენი პროცენტითაა ნაკლები ან მეტი ამ სასტუმროს ნომრის ფასი ბაზარზე არსებულ საშუალო ღირებულებაზე. სერვისი ჯერჯერობით ექსპერიმენტის რეჟიმში მუშაობს და მხოლოდ აშშ-ის სასტუმროებს „ეძებს".

Cosmopolitan მამაკაცებისთვის iPad-ში

Cosmopolitan-ის შემქმნელებმა მამაკაცებისთვის პირველი ელექტრონული ჟურნალი CFG: Cosmo For Guys გამოუშვეს. მისი წაკითხვა მსურველებს მხოლოდ Apple iPad-ზე შეუძლიათ. Cosmopolitan-ის მთავარი რედაქტორი ქეით უაითი დარწმუნებულია, რომ

ახალ გამოცემას წინ დიდი წარმატება ელოდება. უაითის თქმით, Cosmopolitan-ის ქალებისთვის განკუთვნილი ვერსიის მკითხველთა 7,4%-ს მამაკაცები შეადგენენ. ამას გარდა, მამრობითი სქესის წარმომადგენელია cosmo.com-ის ვიზიტორთა მესამედიც.

iPad-ზე ძალიან მალე Cosmopolitan-ის ქალბატონების ვერსიაც გამოჩნდება. ჟურნალის ერთი ნომერი 1,99 დოლარი ღირს, წლიური ხელმოწერა კი – 19,99 დოლარი.

ცოტა ხნის წინ iPad-ზე ჟურნალ Playboy-ს სრული არქივიც გაჩნდა. გამოცემის კოლექცია მთლიანად 130 ათას გვერდს აერთიანებს. iPlayboy-ს გამოწერა თვეში 8 დოლარი, წელიწადში – 60 დოლარი, 2 წლით კი-100 დოლარი ღირს.

Skype iPad-ისთვის მზადაა

ონლაინ მაღაზია App Store-ში iPad-ისთვის განკუთვნილი ოფიციალური Skype გაჩნდა. ცოტა ხნის წინ პროგრამაში შეცდომების აღმოჩენის გამო იგი სერვისის წარმომადგენლებმა უკან გაითხოვეს. მომხმარებლები, რომლებმაც დამატების გადმოწერა მოასწრეს, ამბობდნენ, რომ პროგრამა მათ ონლაინ-სტატუსს არასწორად აჩვენებდა და პერიოდულად ითიშებოდა.

Skype-ს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ყველა ტექნიკური ხარვეზი უკვე გასწორდა და მსურველებს პროგრამით სარგებლობა თავისუფლად შეუძლიათ. დამატება iPad-ის ორივე თაობაზე მუშაობს, თუმცა პირველი თაობის iPad-ის მფლობელებს მოწყობილობაზე კამერის არქონის გამო მხოლოდ ვიდეოს მიღება შეეძლებათ. კიდევ ერთი აუცილებელი პირობა iOS-ის მინიმუმ 4.0-ის ვერსიის ქონაა.

N100-ახალი ნეტბუქი Samsung-ისგან

კომპანია Samsung Electronics-მა ახალი ნეტბუქი N100 წარადგინა. მოდელი მძლავრი Intel Atom-ის პროცესორითაა აღჭურვილი და უახლეს ოპერაციულ სისტემა MeeGo™-ზე მუშაობს. Samsung N100 არამარტო მსუბუქი და მყარი კორპუსით, არამედ ავტონომიურ რეჟიმში ხანგრძლივი მუშაობითაც გამოირჩევა.

„ახალი ნეტბუქი N100 წარმატებული N150-ის ერთგვარი გაგრძელებაა, რომლის გაყიდვებიც ამჟამად 3 მილიონს აჭარბებს", – აცხადებს კომპანიის IT Business Solutions განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი კიუჰო უმი.

ოპერაციული სისტემა MeeGo™, რომელზეც ახალი მოწყობილობა მუშაობს, მომხმარებელს მოხერხებულ ინტერფეისს სთავაზობს. იგი სწრაფად იტვირთება და იდეალურია მობილურ რეჟიმში მუშაობისთვის. ელეგანტური დიზაინის ნეტბუქი მხოლოდ 1,03 კგ-ს იწონის და სპეციალური DuraCase-ს საფარის დახმარებით განსაკუთრებით მყარია.

მოამზადა ნინო ნატროშვილმა.

საზამთრო

კახა თოლორდავა

ამ რამდენიმე დღის წინ თბილისის დაუნთაუნის ერთ-ერთ რესტორანში 18-ლარიანი საზამთრო მივირთვი. ვიცი, რომ დღეს არც თუ ძალიან სერიოზულ, ლამის ქარაფშუტულ თემას გთავაზობთ, მაგრამ უკვე იმ წამს, როდესაც დამნაშავედ მოღიმარმა მიმტანმა გოგონამ საზამთროს ფასი მითხრა, უკვე ვიცოდი, რომ აუცილებლად დავწერდი იმ საზამთროს შესახებ. ბოლოსდაბოლოს, ზაფხულია, ცხელა და მეპატიება ოდნავი მოდუნება. დაახლოებით ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ და მთელი ამ ხნის განმავლობაში არცერთი შანსი არ გამიშვია ხელიდან, ეს ამბავი სხვებისთვისაც მომეყოლა. ყველას ვუყვები, ახლობლებს, არც თუ ისეთ ახლობლებს, ახლად გაცნობილებს, უცნობებსაც კი და ყველას ერთსა და იმავე შეკითხვას ვუსვამ: როგორ შეიძლება, რომ საქართველოში, მის დედაქალაქში, გაგანია ზაფხულში, საზამთროს სეზონის პიკში, ეს დალოცვილი ხილი სახელგანთქმული TASCHEN-ის მიერ გამოცემული მსოფლიო მხატვრების სერიის დიდებულ წიგნებზე ოთხი ლარით ნაკლები ღირდეს? ან, თუ ეს შედარება უადგილოდ ეჩვენება ვინმეს, მაშინ წიგნების მაგივრად ერთი ბოთლი არცთუ ურიგო ქართული ღვინო ავიღოთ. ის საზამთრო იმ არცთუ ურიგო ქართულ ღვინოზე თითქმის 5-6 ლარით ძვირი ღირდა. მგონი გასაგებად გამომდის, არა? პირველი ნიშანი იმისა, რომ ჩემმა თბილისელმა ნაცნობ-მეგობრებმა ადეკვატურად აღიქვეს ჩემი შეკითხვა ერთი, როგორც გაირკვა არა უკანასკნელი, მეორე დღის სატელეფონო ზარი იყო. ჩემი კარგი ნაცნობი რეკავდა. აინტერესებდა, მაქსიმუმ რამდენ კილოს იწონიდა ის საზამთრო. როგორც ამიხსნა, ის და მისი კალკულატორს ჩაშტერებული ძმა ცდილობდნენ ყველა შესაძლებელი სცენარის გათვალისწინებით (მაგალითად, თუ მოხდა ისე, რომ იმ საღამოს ის საზამთრო საქართველოში ინკოგნიტოდ ჩამოსულ ბრედ პიტს გააჭრევინეს და ასეთი სისულელეები) 18 ლარამდე აეყვანათ 1კგ=30-50 თეთრიანი საზამთრო. რამდენადაც ვიცი, არაფერი გამოუვიდათ, მაგრამ სანამ ისინი ამ რთული დავალებით იყვნენ დაკავებულები, ჩემი ტელეფონი არ ჩერდებოდა. ნაცნობ-მეგობრებს აინტერესებდათ:

ა) სადაა ის რესტორანი;

ბ) რატომ იმავე წამს არ დავტოვე იქაურობა;

გ) ვაგინე თუ არა ვინმეს;

დ) გემრიელი იყო თუ არა საზამთრო;

ე) ჩავატარე თუ არა ჟურნალისტური გამოძიება რესტორნის მეპატრონეებზე;

ვ) იყო თუ არა კიდევ ვინმე ჩემნაირი იდიოტი, ვინც საზამთროს მიირთმევდა;

ზ) საიდან მაქვს ასეთი დიდი შემოსავალი;

თ) „მაგათ შიგ ხომ არა აქვთ?“ (ამას თითქმის ყველა მეკითხებოდა) და ასე შემდეგ.

მოკლედ, ძალიან შევაწუხე ამ ჩემი 18-ლარიანი საზამთროთი ვიღაც-ვიღაცები. არადა, ყველაფერი რა კარგად დაიწყო. იმ საღამოს ჩემს შვილთან ერთად თითქმის მთელი ქალაქი გადავსერეთ ველოსიპედებით და რაღაც მომენტში დაღლილ-დაქანცულებს ცივი, ტკბილი საზამთრო მოგვინდა. ჰოდა, შევედით კიდეც პირველსავე რესტორანში. „საზამთრო გაქვთ?“ – შევეკითხე მიმტან გოგონას. „რა თქმა უნდა, – ღიმილით მიპასუხა მან, მერე კი უეცრად ნაღვლიანად შემომხედა და დაამატა: „ოღონდ მინდა გაგაფრთხილოთ, რომ პორცია 18 ლარი ღირს. მე არ ვეთანხმები ამ ფასს, მაგრამ...“ „მოგვიტანეთ!“ – დაუფიქრებლად ვუპასუხე. „Они что, охренели?“ – შემეკითხა ვაჟიშვილი. ის მოსკოვში ცხოვრობს. ერთი პორცია საზამთრო მთელი საზამთრო აღმოჩნდა; ძლივს მოათრია უზარმაზარი თეფში გოგონამ ჩვენს მაგიდამდე, ორივეს დამნაშავედ გადმოგვხედა და სულ რაღაც წამებში ჩვენი მაგიდა საზამთროიან თეფშად გადაიქცა. ჩემმა შვილმა გარშემო მიმოიხედა. ვიცი, რასაც ფიქრობდა. მეც მეგონა, რომ ყველა ჩვენ გვიყურებდა. „მანიაკებს ვგავართ!“ – ჩურჩულით მითხრა. – „იქნებ ჩამოვიაროთ და სხვებსაც ვუწილადოთ? ყველას ეყოფა!“ „მორჩი ლაპარაკს“, – შევუღრინე, – „ბოლომდე შევჭამთ. გადაიღე.“ უეცრად თითქოს რაღაცას მიხვდაო. „ააა, ვიცი, გინდა ამაზე დაწერო და ამიტომაც შეუკვეთე, არა?“ „ქალაქი ძნელად გჩუქნის საწერ მასალას, მაგრამ როდესაც გჩუქნის, უნდა მიიღო, არა აქვს მნიშვნელობა დიდი თემაა თუ პატარა. დამიჯერე“, – წავიფილოსოფოსე. „ჰო, მივხვდი.“ – მიპასუხა მან და ჩანგალი საზამთროს ნაჭერს ჩაარჭო. – „შენ რომ რესტორნების კრიტიკოსი ყოფილიყავი, დააქცევდი ამ ბიზნესს!“ „ოღონდ ვინმემ შემომთავაზოს!“ – ვუპასუხე და ახლა მე ჩავარჭე საზამთროს ჩანგალი.

ლიბერალი

სპეციალური შეთავაზება

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით, გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ თქვენი ჟურნალი ყოველ ორშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: (599) 48 62 41 ან მოგვაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: subscribe@liberali.ge

ინყეგა

გიო ახვლედიანი

როგორც ერთ დროს თბილისში იტყოდნენ, ცხოვრებას აზრი მიეცა. ჯერ თუ მთლად არ მისცემია, ამ შაბათიდან მიეცემა, რადგან ინგლისის სტადიონებზე ფეხბურთი ბრუნდება.

ყოველთვის ასე ბრუნდება ხოლმე, განა მოულოდნელი რა არის, მაგრამ ყოველი ასეთი დაბრუნება ძალიან ცვლის ათას რამეს. ივსება სტადიონები, პაბები, ქუჩები, იცვლება გაზეთების ბოლო გვერდები, ხასიათი, განწყობა, იმდენი რამ იცვლება, რომ ძნელი წარმოსადგენიც კია. არსებობს ასეთი გაზეთი – „ნონ-ლიგი“, რომელიც სამოყვარულო, რაგინდარა ლიგის გარეთ დარჩენილი და მოთამაშე კლუბების ცხოვრებას აღწერს. ისიც კი ისე იცვლება, რომ სიამოვნებით წაიკითხავ.

მორიგი პრემიერლიგა კი კარს მოგვადგა და უცებ გაორმაგდა ინტერესი ამინდის პროგნოზისადმი. ინგლისელები ყველანაირ ამინდში სიამოვნებით თამაშობენ ფეხბურთს. ქარ-თოვაშიც კი ისე მიერეკებიან სკოლის მოწაფეებს მორიგ შიდასასკოლო მატჩზე, რომ ჩვენს ბებიებს გულები დაუსკდებოდათ, მაგრამ გახსნის დღის ამინდი მნიშვნელოვანია. კარგი იქნებაო, ასე ამბობენ.

საერთოდ კი, სინოპტიკოსთა მიმართ ოხუნჯობა აქ ჩვეული ამბავია და პერიოდულად დიდი გასართობიც შეიქნება ხოლმე.

ამინდის პროგნოზი ჩვეულებრივ ზუსტია, მაგრამ აცდენებიც ხომ ხდება?! შარშანდელივით, როცა გამოცხადდა, წელს დიდი საამო და მზიანი ზაფხული იქნებაო, ნამდვილი ბარბექიუ სამმაო. ეს იმას ნიშნავს, რომ ეზოში თამამად ააშიშხინებ მწვადს, წვიმის შიში არ გექნება. ჰოდა, მთლად ეგრე ვერ გამოდგა. მთლად კი არა, საერთოდ.

მაგრამ პრემიერლიგას რომ მივუბრუნდეთ, გახსნის უქმეებზე მე პირადად შეფჰერდს ბუშზე, ქუფია-ბოლტონის თამაშზე წავალ. ქუფია, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ დიდი პატრონების ხელში ჩავარდნილი ძველი ლონდონური კლუბია, რომელიც, როგორც იქნა, გამოჩნდა პრემიერლიგაში და დასავლეთ მხარის ლონდონს ახალ ხმაურს შესძენს. ფანობაც ხმაურიანი ჰყავს და მენეჯერიც. ბოლტონი კი ბოლტონია. მგონი, ბრიტანეთის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი – რა თქმა უნდა, სკოტი – ოუენ კოილი ჰყავს, რომელმაც შარშან საუცხოო თამაშები გამოაგდო. მოკლედ, ეს კარგი ინგლისური ფეხბურთი იქნება დიდი სახელების გარეშე და ო-ჰო-ჰო, ორშაბათს არის, რაც არის. ვარსკვლავებით და მილიარდებით დახუნძლული „მანჩესტერ სიტი“ „სუონსის“ მასპინძლობს. „სუონსი“ უელსური კლუბია. ეს პირველადაა, რომ პატარა უელსური გუნდი პრემიერლიგაში მოხვდა. სულ პირველად. განწირულია, როგორც ამბობენ, ფეხს ვერ მოიკიდებს, მაგრამ ისტორია კი უკვე შექმნა და უელსურ ქალაქს სტუმრობა ნამდვილად არ იქნება იოლი საქმე.

ისე გამოვიდა, რომ „სუონსის“ თამაში კი ვნახე ამ გაზაფხულზე და თან უემბლიზე.

ეს იყო პრემიერლიგაში გადმოსასვლელი ფინალი „რედინგის“ წინააღმდეგ. ცხადია, „რედინგი“ მინდოდა, იქ ჩვენი ხიზანა თამაშობს, მაგრამ „სუონსიმ“ აჯობა და... ეს გულიანი კლუბია. ბედმა ისე გამიღიმა, რომ მეტროს ვაგონშიაც „სუონსის“ ფანებთან ერთად მოვხვდი. რა სიმღერა, რა ოხუნჯობა, რა სიყვარული. მოკლედ, ეგებ გადარჩნენ.

იცით, რა არის კიდევ კარგი? გარემო ინგლისურ სტადიონზე. გარემოს ხომ ხალხი ქმნის. აი, ისე მოხდა, რომ სამ დღეში ორჯერ მოვხვდი უემბლიზე. პირველად ჩემპიონთა ლიგის ფინალზე და მერე კი ამ სუონსი-რედინგზე. და გარემო იყო სრულიად განსხვავებული ამ მეორე თამაშზე. რაღაცნაირი სითბო და ხალისი იგრძნობოდა. ჰოდა, ეგ ბრუნდება.

ეს გრძელი სეზონია.

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



WWW.LIBERALI.GE